

ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე

ანა ფიფია*

I. შესავალი

როგორც ადამიანია განწირული იმისთვის, რომ დაიღუპოს, ასევე ხელშეკრულება „განწირულია“ იმისთვის, რომ შესრულდეს.¹ ძველი რომის სამართლის რკინის წესი – „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ – გართულებული სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი ნებისმიერ სამართლის სისტემაში თავისთავად პრაქტიკული დატვირთვის მატარებელია. ვითარებაში, როცა მხარის პირველადი მოთხოვნა – შესრულდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას – არ სრულდება, სახელშეკრულებო ურთიერთობაში სახეზეა სრული გარდატეხა ვალდებულების დარღვევის სახით. ასეთ დროს სამართლის სისტემა სახელშეკრულებო ბოჭვისაგან გათავისუფლებისა თუ სახელშეკრულებო ინტერესის დაკმაყოფილების განსაზღვრულ ფორმებს სთავაზობს იმედგაცრუებულ მხარეს – იქნება ეს სპეციალური შესრულება, ზიანის ანაზღაურება თუ ხელშეკრულების გაუქმება ხელშეკრულებიდან გასვლის მნიშვნელობით.² ყოველი ეს უფლება პირველადი მოთხოვნის შეუსრულებლობით მოდიფიცირებულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა ვარიაციაა, რომელთაგან თითოეულს განსხვავებული სამართლებრივი მოწესრიგება ახასიათებს, თუმცა მიზანი ერთი აქვს – მხარეების ინტერესთა ბალანსის უზრუნველყოფა, რაც განაპირობებს კიდევ მეორად მოთხოვნის უფლებათა მთელ კატალოგიზაციას.

წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანია ერთ-ერთი ასეთი მეორადი მოთხოვნის უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის სახით და ყველა მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ორანოზონება თუ დისკომფორტი.

სახელშეკრულებო ვალდებულება დარღვეულია, მხარის ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი ხელყოფილი, შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ცალკეულ მეორად მოთხოვნის უფლებათა სახით დასახელებულ რამდენიმე სამართლებრივ გამოსავალს შორის რა ადგილი უჭირავს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას, რა მიზანი აქვს მას, რა სამართლებრივი შედეგით ხასიათდება და რა შესაძლებლობას ანიჭებს კეთილსინდისიერ მხარეს სახელშეკრულებო რისკთა განაწილების თვალსაზრისით? ნაშრომის მიზანია, თითოეულ ამ და სხვა საკითხზე ცალკეული სამართლებრივი მოდელების წარმოდგენა და ქართულ ანალოგ ინსტიტუტებთან შეპირისპირება. ნაშრომში ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობა მიმდინარეობს კონტინენტურევროპულ და ანგლოამერიკულ სამართლებრივ მიდგომებზე დაყრდნობით, მასში წარმოდგენილია ხელშეკრულებ-

* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

¹ Zimmermann, *The Law of Obligations-Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract*, Chapter 24, Oxford University Press, 1996, 748.

² იქვე.

ბიდან გასვლის ინსტიტუტის ძირითადი მახასიათებლები თითოეული ამ სისტემისათვის და შესაბამის ქართულ გადაწყვეტასთან შედარების გზით მიმოხილულია ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი ქართულ კოდექსში, რაც ავლენს ეროვნული სამართლის არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ხარვეზსა თუ ვაკუუმს. ამ თვალსაზრისით, ნაშრომის მიზანია, განსაზღვრული ნოვატორული წინადადებები წამოაყენოს ქართული საკანონმდებლო სივრცის დასახვეწად.

ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის განხილვა ეტაპობრივად ვითარდება ნაშრომის მიმდინარეობისას: თავდაპირველად მსჯელობაა ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებასა და ადგილზე მეორად მოთხოვნის უფლებებს შორის, შემდგომ ეტაპად დახასიათებულია ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, რასაც უპირობო პრაქტიკული დატვირთვა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობის ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში გადასაყვანად. ნაშრომში ცალკე თავად არის გამოყოფილი ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციფიკა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ინდივიდუალურ ვითარებაში. ამდენად, შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის კონკრეტულ შემთხვევებად არის კლასიფიცირებული. შესაბამისად, განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის მიერ ვადის გადაცილების, ნაკლიანი შესრულებისა და შესრულების შეუძლებლობის დროს, სადაც იკვლევა, თუ რამდენად განხორციელებადია და რა თავისებურებებით ხასიათდება ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება თითოეულ ამ შემთხვევაში. ეს საშუალებას იძლევა, ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი სრულად იყოს წარმოდგენილი. შემდგომ ნაწილში განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი მხარეთა მიერ შეთანხმებულ უფლება-ვალდებულებათაგან გათავისუფლებისა და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ცალკეულ საკითხებად. მოცემული ინსტიტუტის კვლევისას აუცილებელია სახელშეკრულებო ურთიერთობების ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათისა და სპეციფიკის შესწავლა, რათა ის ერთ მთლიან კონტურში იყოს წარმოდგენილი. აღნიშნული კი ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი განსხვავების საჭიროებას განაპირობებს, რაც ქართული კოდექსისათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ნაშრომის ბოლო თავი სწორედ ამ სამართლებრივი რეჟიმების განსხვავების მოკლე დახასიათებას ეძღვნება.

II. ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლება

ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარის თქმა) მხოლოდ გამონაკლისია ძველრომაული წესიდან – „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ – *pacta sunt servanda*. ყოველი სახელშეკრულებო პირობა შესაბამის მოლოდინს ბადებს დაპირების ადრესატისათვის.³ სახელშეკრულებო ბოჭვით განპირობებული ასეთი ლეგიტიმური მოლოდინი განსაკუთრებული სიკეთეა სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, როგორც კონტინენტურ, ისე ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში. ამ სახელშეკრულებო ვალდებულების შეწყვეტის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ბუნებრივი გზაა მისი შესრულება, სხვაგვარად, ხელშეკრულებით დათქმული ურთიერთობის გეგმური განვითარება. თუმცა ხშირად ეს ასე არ ხდება, არსებობს სახელშეკრულებო ვალდებულების შეწყვეტის სხვა გზებიც, ე.წ. პათოლოგიური შემთხვევები,⁴ როცა ილახება ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მოლოდინი. მაგალითად, გამყიდველი უარს აცხადებს თავისი ვალდებულების შესრულებაზე, მიანოდოს საქონელი

³ იქვე.

⁴ იქვე, 748-749.

მყიდველს ან გამქირავებელი ნებას არ რთავს დამქირავებელს, ხელშეკრულებით დათქმულ დღეს შევიდეს საცხოვრებელ სახლში. ასევე „პათოლოგიურია“ შემთხვევა, როცა მინოდებული საქონელი თუ გადაცემული საცხოვრებელი სახლი გამოუსადეგარია ხელშეკრულებით დათქმული მიზნისა თუ ჩვეულებრივი გამოყენებისათვის,⁵ ანუ შემთხვევა, როცა დაპირებული და განხორციელებული შესრულება არ ემთხვევა ერთმანეთს. ყველა ამ სიტუაციას ერთი ფაქტორი აერთიანებს – შესრულების ნორმალური მსვლელობის შეფერხება. თითოეული ასეთი და მსგავსი შემთხვევა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ცნებაში – თავსდება. სამართლის სისტემების სამართლებრივი დამოკიდებულება განსხვავებულია იმ საკითხთან მიმართებით, თუ რა უფლებებითაა აღჭურვილი მხარე, რომელიც ვალდებულების დარღვევას ამტკიცებს.⁶

1. ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი⁷ (შემდგომში – სსკ) აიგივებს ცნებებს – „ხელშეკრულებიდან გასვლა“ და „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“. მასში ცალკე თავია გამოყოფილი სათაურით – „ხელშეკრულებიდან გასვლა“. მოცემულ თავში კანონმდებელი პირველსავე, 352-ე, მუხლში ტერმინს – „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“ „ხელშეკრულებიდან გასვლის“ სინონიმად იყენებს. სტრუქტურული თვალსაზრისით, კოდექსს ბევრი ხარვეზი აქვს. აღნიშნული მუხლი (ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები) ორ ბლანკეტურ მითითებას შეიცავს 405-ე და 394-ე მუხლებზე. ორივე ეს მუხლი – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას და დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას – მოცემულია ვალდებულების დარღვევის ნაწილში (III კარი), მაშინ როდესაც თავი „ხელშეკრულებიდან გასვლა“, რომელიც ვალდებულების დარღვევის შემდგომი ეტაპია, სახელშეკრულებო სამართლის შესავალ I კარშია განთავსებული.

სსკ-ში ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი მონესრიგება ორ ძირითად მუხლშია მოცემული: 352-ე და 405-ე მუხლებში. პირველი მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს, ხოლო მეორე – ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობას. ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი.

პირველადი მოთხოვნის შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების აღმოცენების სამართლებრივი საფუძველია, ისე, რომ შეუსრულებლობა ამ კონტექსტში იურიდიულ ფაქტად შეიძლება იყოს განხილული.

ხელშეკრულებიდან გასვლა უპირატესად კანონისმიერი მეორადი მოთხოვნის უფლებაა, რომელსაც რისკი, შეთანხმების თანახმად, დაზარალებულ მხარეს რომ უნდა ეტვირთა, ვალდებულების დამრღვევ პირზე გადააქვს,⁸ უპირატესად იმდენად, რამდენადაც კანონი

⁵ *Zweigert/Kötz*, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by *Tony Weir*, Oxford, 1987, 178-179.

⁶ *Reimann/Zimmermann*, eds., The Oxford Handbook of Comparative Law, *Farnsworth*, Comparative Contract Law, Part III, Oxford University Press, New York, 2006, 922.

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, „უნეებანი“, 31, 1997.

⁸ *Zimmermann*, Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations, Saagi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 34.

უშუალოდ და ზუსტად განსაზღვრავს ამ უფლებით სარგებლობის წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგს. ამასთან, როგორც გერმანული, ისე რომანული და ანგლოამერიკული სამართალი აღიარებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის სახელშეკრულებო გენეზისს, როცა მხარეები შეთანხმებით განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობის სახეცვლილებას, მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებადობის კონტექსტში. მიუხედავად ამისა, კონტინენტურ ევროპაში კანონი, ხოლო ანგლოამერიკულ სივრცეში განსჯადი სასამართლო ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სახელშეკრულებო წესით მოწესრიგების ფარგლებს და ზრუნავს იმისთვის, რათა მხარეთა ეს თავისუფლება თვითნებობად არ იქცეს.

რომაული სამართლის რკინის წესს, რომლითაც ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლება იკრძალებოდა, რომელი კლასიკოსი იურისტები მტკიცედ იცავდნენ.⁹ თუმცა აქაც არსებობდა გამონაკლისი, რადგან პრინციპი – ხელშეკრულება ყოველთვის უნდა შესრულდეს, – ბუნებრივია, ვერ იქნებოდა დაცული ნებისმიერ შემთხვევაში.¹⁰ მაგალითად, იმპერატორები მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ანიჭებდნენ უფლებას, უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, თუკი მის შედეგად ნაკვეთი რეალური ღირებულების ნახევარზე ნაკლებად ჰქონდა გაყიდული. ეს დამოკიდებულება დიდხანს დომინირებდა *ius komunes* სამართალში და გარკვეულწილად გერმანულ სამოქალაქო კოდექსშიც (შემდგომში – გსკ) აისახა.¹¹ 2002 წლის მასშტაბურ რეფორმამდე კოდექსი შეიცავდა არა ხელშეკრულებაზე უარის თქმის ზოგად უფლებას, არამედ ადგენდა მეტად დანაწევრებულ და ფრაგმენტულ რეჟიმს.¹² დღეს გსკ-ში შემოღებულია ვალდებულების დარღვევის ერთიანი კონცეფცია, რომელიც, როგორც ბაზისი, გსკ-ის 280-ე და 323-ე პარაგრაფებშია მოცემული,¹³ და შესრულებაში ცდომილების ყველა შემთხვევას აერთიანებს, ამით გერმანული სამოქალაქო სამართალი უფრო მეტად ფოკუსირებულია ვალდებულების დარღვევის შესაბამის შედეგზე და არა მის გამოვლენაზე, ანგლოამერიკულ სამართლებრივ სისტემასთან მიახლოებით.¹⁴

გერმანული სამართლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების საფუძველია ნამდვილი ხელშეკრულების შეუსრულებლობა და შემხვედრი შესრულების ვალდებულებისაგან კრედიტორის გათავისუფლების კანონიერი ინტერესი.¹⁵ ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლა შეიძლება აღქმული იყოს როგორც კეთილსინდისიერი კონტრაპენტის ძალაუფლება, ცალმხრივად შეცვალოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი.¹⁶

ბუნებითი სამართლის სკოლა იცავდა პოზიციას, რომ მხარეთა ვალდებულებები ურთიერთდამოკიდებულია და ერთ-ერთის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას მეორე ავტომატურ რეჟიმში თავისუფლდება ვალდებულებისაგან, შეასრულოს ხელშეკრულების კუთვნილი ნაწილი და, ამგვარად, იქნეს უფლებას, თავი შეიკავოს მოქმედებისა თუ უმოქმედობისაგან.¹⁷

⁹ Zimmermann, The Law of Obligations-Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Oxford University Press, Clarendon, 1996, 801-802.

¹⁰ იქვე, 802-803.

¹¹ იქვე, 35.

¹² Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract-A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 830.

¹³ German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

¹⁴ Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract-A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 379.

¹⁵ იქვე, 419-420.

¹⁶ იქვე, 420.

¹⁷ Zimmermann, The Law of Obligations-Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Oxford University Press, 1996, 803.

ეს პირობა ნაგულისხმევია ორმხრივ ხელშეკრულებაში იმ ექსტრაორდინარული შემთხვევისათვის გამოსაყენებლად, როცა ერთი მხარე არღვევს ხელშეკრულებას. ეს პოზიცია გაზიარებულია ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მიერ¹⁸ (შემდგომში – ფსკ), კერძოდ, ის ასახულია მის 1183-ე და 1184-ე მუხლებში. 1183-ე მუხლს შემოაქვს ხელშეკრულების თანამდევნი, იგივე რეზოლუტიური, პირობის ცნება. კოდექსის ეს მუხლი განმარტავს, რომ რეზოლუტიურია პირობა, რომელიც შეუსრულებლობის შემთხვევაში შემხვედრი ვალდებულების გამოხმობას განაპირობებს, ისე, თითქოს ხელშეკრულება საერთოდ არ დადებულიყოს. კოდექსის 1184-ე მუხლის თანახმად კი, ასეთი რეზოლუტიური პირობა, რომ ორმხრივი ვალდებულებები სათანადოდ იქნება შესრულებული,¹⁹ ყოველ ხელშეკრულებაში იგულისხმება. ეს ე.წ. კანონისმიერი ნაგულისხმევი პირობაა. თუმცა შემხვედრი ვალდებულებისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმი ავტომატურად ირთება. ამავე 1184-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებული თვითონ ირჩევს, განაგრძოს სახელშეკრულებო ურთიერთობა და მიაღწიოს მის შესრულებას (ცხადია, თუ ეს შესაძლებელია), თუ მიმართოს სასამართლოს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.²⁰ ორივე შემთხვევაში კეთილსინდისიერი მხარე უფლებამოსილია, არ იზრუნოს შესრულებისათვის, ვიდრე კონკრეტული სამართლებრივი რეჟიმი არ გამოიკვეთება, ანუ ნაგულისხმევი პირობა მხოლოდ პირველადი მიმართვისაა მხარის ნების ავტონომიის წინაშე, რადგან ხელშეკრულების ბედს განსაზღვრავს თვითონ მხარე, რომლის მიმართაც არ შესრულდა ვალდებულება.

რომანული სამართლის სისტემა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებას უქვემდებარებს სასამართლო კონტროლს, რაც მეტად აძნელებს მის განხორციელებას. ასეთ მიდგომას კონკრეტული მოტივაცია აქვს, კერძოდ კი, ძველი რომაული სულისკვეთება – ხელშეკრულება უნდა შესრულდეს. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში – ნსკ), რომელიც ბოლო დროის ყველაზე პროგრესულ კოდექსად ითვლება, ცალკე სექციას უთმობს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს, მასში ასევე ცალკე სექციადაა გამოყოფილი ორმხრივი ხელშეკრულების სამართლებრივი მონესრიგება. საინტერესოა აღინიშნოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელების თავისებური მექანიზმი. განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც ხელშეკრულებიდან გასვლა მთლიანად მხარის კერძო ავტონომიის სფეროშია და ასევე განსხვავებით საფრანგეთისაგან, სადაც ამ უფლების განხორციელება მოსამართლის დისკრეციას განეკუთვნება მცირე გამონაკლისებით, ნსკ-ის 267-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა რეალიზდება როგორც უფლებამოსილი მხარის განცხადებით, ისე სასამართლო წესით.²¹ ნსკ-ს ასეთი შუალედური და, ამასთან, გამორჩეული პოზიცია აქვს არაერთ საკითხთან მიმართებით.

ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში ხელშეკრულებებს განსხვავებულ სტატუსს ანიჭებენ, კერძოდ, თითოეული მათგანი კონკრეტული სამართლებრივი შედეგის გარანტიად აღიქმება. ანგლოამერიკულ სამართლის სისტემაში ფაქტი, რომ გარანტირებული შედეგი არ დადგა, ხელშეკრულების დარღვევას აფუძნებს შესაბამისი პასუხისმგებლობით.²²

¹⁸ Civil Code of France, Translated by *Georges Rouhette* with the assistance of *Anne Rouhette-Berton*, 2006.

¹⁹ *Zweigert/Kötz*, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by *Tony Weir*, Clarendon Press, Oxford, 1987, 186-187.

²⁰ *Reimann/Zimmermann* (eds.), The Oxford Handbook of Comparative Law, *Farnsworth*, Comparative Contract Law, Part III, Oxford University Press Inc., New York, 2006, 925.

²¹ New Netherlands Civil Code-Patrimonial Law, Translated by *Haanappel/Mackaay*, Under the Auspices of the Ministry of Justice of the Netherlands, Quebec Centre of Private and Comparative Law, Boston, § 265.

²² *Zweigert/Kötz*, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by *Tony Weir*, Oxford, 186-187.

შეუსრულებლობის ნებისმიერ შემთხვევაში მხარე სასარჩელო უფლებითაა აღჭურვილი. რაც შეეხება ასეთ დროს ხელმისაწვდომ მეორად მოთხოვნის უფლებებს, მათი კატეგორიზაციისათვის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია მხარის შესაბამისი ინტერესი – რა სურს მას? იმ მდგომარეობის მიღწევა, რომელიც ექნებოდა, ხელშეკრულება რომ შესრულებულიყო, თუ ხელშეკრულებამდელი მდგომარეობის აღდგენა.²³ ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლა აღიარებული მეორადი მოთხოვნის უფლებაა კონტინენტურევროპულ თუ ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში. თითოეული ამ სისტემის ფარგლებში ხელშეკრულებიდან გასვლის კონცეფცია ერთ მიზანს ემსახურება – თავი დააღწიოს სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელსაც პერსპექტივა არ აქვს.²⁴

2. ხელშეკრულებიდან გასვლის ადგილი მეორად მოთხოვნის უფლებებს შორის

მეორად მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხი თითქმის ყველა სამართლებრივ სივრცეში განსაზღვრულ იერარქიასა და ეტაპობრიობას ექვემდებარება, ისე, რომ შესაძლებელია მეორად მოთხოვნის უფლებათა დიფერენციაცია პირველადად და მეორადად. გერმანული სამართალი შესრულებაში ცდომილებებისათვის მეორად მოთხოვნის უფლებათა სამწევრიან სისტემას ითვალისწინებს: სპეციალური შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება. წარმართველი პრინციპია ხელშეკრულების შესრულების ინტერესი,²⁵ ამრიგად, ვალდებულების შეუსრულებლობის სახეების ტრადიციული კატეგორიზაცია მეტად პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს. ყოველ კონკრეტულ ვითარებაში შეიძლება კონკრეტული მეორადი მოთხოვნის უფლება იყოს პრიორიტეტული. მაგალითად, ვალდებულების შეუსრულებლობის ისეთი შემთხვევისას, როგორც შესრულების შეუძლებლობაა, შესრულების მოთხოვნა დამატებითი ვადის მიცემით უბრალო ფორმალობა იქნება.²⁶ სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც კონკრეტულ ვითარებაში მიენიჭება მხარეს, უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით მიღებულ გარანტიას.²⁷ მას შემდეგ, რაც ვალდებულების შეუსრულებლობა იდენტიფიცირდება, კეთილსინდისიერ მხარეს შეუძლია, მიმართოს ზემოაღნიშნულ სამ ძირითად მეორად მოთხოვნის უფლებათაგან ერთ-ერთს. გსკ-ის 323-ე I პარაგრაფი დამატებითი შესრულების მოთხოვნის პრიორიტეტულობის დაწესებით იმთავითვე განუსაზღვრავს უფლებამოსილ მხარეს ქცევის მასშტაბს, კერძოდ, როცა კი ეს ობიექტურად შესაძლებელია, კრედიტორმა მეორე შანსი უნდა მისცეს მოვალეს. ეს, ცხადია, ძველრომაული წესის – ხელშეკრულება უნდა შესრულდეს – ერთგულებაა, სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სტაბილურობის სასარგებლოდ. კოდექსის დეტალური რეგლამენტაცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ნათელს ხდის შესრულების მოთხოვნის უპირატესობას მეორად მოთხოვნის უფლებებს შორის. ასეთივე მიდგომაა ქართულ კოდექსში, რაზეც მიუთითებს 405-ე I მუხლის ფორმულირება. კერძოდ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მხოლოდ მაშინ გამოდის წინა პლანზე, როცა ვალდებულების შესრულების მოთხოვნა უშედეგოდ განხორციელდა ან მას იმთავითვე არ აქვს პერსპექტივა სამართლებრივი საფუძვლისა თუ შედეგის თვალსაზრისით.

²³ იქვე, 675.

²⁴ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., *Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 745.

²⁵ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 386.

²⁶ იქვე.

²⁷ *Gordley*, *Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment*, Oxford University Press, New York, 2006, 389.

გერმანულ სამართალში ეს უფლება ოპერატიულია ასევე შეუძლებლობისას, შესრულების ვალდებულებისგან მოვალის გათავისუფლების მიუხედავად. ქართული სამართლისათვის უცნობია ასეთი სამართლებრივი კონსტრუქცია – შეუძლებლობა + ხელშეკრულებიდან გასვლა. შეუძლებლობა საერთოდ არ წესრიგდება კოდექსით, თუ არ ჩავთვლით კომენტარში ცალკეულ გაბნეულ დანაწესს, საიდანაც ირკვევა, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ამ დროს საერთოდ არ გამოიყენება.

რომანული სამართლის სისტემის ქვეყნებში (საფრანგეთისა და ჰოლანდიის მაგალითზე) დამატებითი ვადის კონცეფცია არ არის იმდენად საკვანძო, ვინაიდან აქ ხსენებული სასამართლო დისკრეცია ნარმატებით ასრულებს იმავე შემაკავებელ ფუნქციას. ამიტომ პირველსავე ეტაპზე მხარე რეალური არჩევანის თავისუფლებით არის უზრუნველყოფილი: ერთ შემთხვევაში მას შეუძლია, მიმართოს სასამართლოს შესრულების, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელშეკრულების ანულირების მოთხოვნით, რომელიც, თავის მხრივ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან კომბინაციაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი.²⁸ ფსკ-ის²⁹ 1184-ე II მუხლი პირდაპირ განამტკიცებს ამ ალტერნატივას. შესრულებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებათა ერთგვარ თანაბარ საწყისზე გამოყენების ტენდენციას უთითებს ფრანგული სასამართლო პრაქტიკის წესიც, რომლის მიხედვითაც, ვიდრე სასამართლო ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მხარე უფლებამოსილია, წარადგინოს სარჩელი და მოითხოვოს შესრულება, თუნდაც შესრულების ხარჯი ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იყოს გაზრდილი.³⁰ ასეთი მიდგომა, როგორც ჩანს, იმავე – ხელშეკრულების გადარჩენის – მიზანს ემსახურება, რასაც დამატებითი ვადის იმპერატივი გერმანიაში. საინტერესოა ჰოლანდიური კოდექსის 265-ე II მუხლი,³¹ რომლის თანახმადაც, იმ პირობით, რომ შესრულება არ არის შეუძლებელი (მუდმივად ან დროებით), ანუ თუკი ხელშეკრულება ობიექტურად შესრულებადია, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ აღმოცენდება, ვიდრე გაფრთხილება არ მიეცემა მოვალეს შესრულებისათვის განსაზღვრული დროით, რაც მეორად მოთხოვნის უფლებებს შორის განსაზღვრულ იერარქიულ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს.

ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში მხარეების ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირების ფუნქცია სასამართლოებს აკისრია, მაშინაც, როცა ერთი უარს აცხადებს ხელშეკრულებაზე, ხოლო მეორე ამის წინააღმდეგია. ისინი მხარის ინტერესებს სამ ჯგუფად ყოფენ:³² პირველი – ხელშეკრულებაზე უარის თქმის მეორადი მოთხოვნის უფლება შესაძლოა, ერთადერთი ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალება იყოს კონკრეტულ სიტუაციაში. ვთქვათ, მაშინ, როცა შესრულება შეუძლებელია, მით უფრო, როცა ეს შეუძლებლობა მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული, რადგან ასეთ დროს განუხორციელებელია როგორც შესრულების, ისე ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლებები; მეორე – ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლოა უფრო მომგებიანი იყოს მხარისათვის, ვიდრე მარტოოდენ ზიანის ანაზღაურება. ასეთია შემთხვევა, როცა ხელშეკრულება თავისი შინაარსით არასახარბიელოა

²⁸ *Zweigert/Kötz*, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by *Tony Weir*, Oxford, 186-187.

²⁹ Civil Code of France, Translated by *Georges Rouhette* with the assistance of *Anne Rouhette-Berton*, 2006.

³⁰ *Zweigert/Kötz*, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by *Tony Weir*, Oxford, 186-187.

³¹ New Netherlands Civil Code-Patrimonial Law, Translated by *P.P.C. Haanappel* and *Ejan Mackaay*, under the Auspices of the Ministry of Justice of the Netherlands, Quebec Centre of Private and Comparative Law, Kluwer Law and Taxation Publishers, Boston.

³² *TreiTel*, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 676.

მხარისთვის; და ბოლოს, ხელშეკრულებაზე უარის თქმა ხშირად ოპერატიული და ეფექტური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. მაგალითად, მყიდველი, რომელსაც არ გადაუხდია მინოდებული დეფექტური საქონლის საფასური, როგორც წესი, არჩევს, გავიდეს ხელშეკრულებიდან, ვიდრე შეასრულოს ხელშეკრულების კუთვნილი ნაწილი და შემდეგ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა კონკრეტული საფასურის ოდენობით შემოიფარგლება და არ საჭიროებს დამატებით ძალისხმევას კონკრეტული სამართლებრივი საკითხების – მიყენებული ზიანის ოდენობა, მისი თავიდან აცილებისა თუ შემცირების შესაძლებლობები, მიზეზობრივი კავშირი და სხვ. – გასარკვევად, რაც გარდუვალია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენებისას. მაშასადამე, მეორად მოთხოვნის უფლებათა ურთიერთმიმართების საკითხზე მოცემულ მსჯელობაში ავტორი აქცენტს აკეთებს კეთილსინდისიერი მხარის ინტერესსა და პროცესუალურ ეკონომიაზე. ამრიგად, სამართლის ამ მონყოლაში ხელშეკრულების გადარჩენის იდეა ნაკლებად კონკურენტუნარიანია; მეორე მხრივ, სამართლებრივი დაცვის მიღმა არ რჩება მეორე მხარის ინტერესი. შესაძლოა, მან გარკვეული ფინანსური სახსრები გაიღოს შესრულების პროცესში, ვთქვათ, საქონლის ტრანსპორტირების ხარჯი, ისე, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს მისთვის სერიოზული დანაკარგი შეიძლება აღმოჩნდეს. ნათელი ხდება, ანგლოამერიკული სისტემა, ვალდებულების დარღვევის ფაქტის მიუხედავად, მხარეების ინტერესთა ბალანსის მიღწევას ისახავს მთავარ მიზნად, ისე, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის გადარჩენის პათოსით არ ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ სპეციალური შესრულების მოთხოვნის უპირატესობა ხაზგასმულია ამერიკის ერთიან სავაჭრო კოდექსში (შემდგომში – აესკ), კერძოდ, კოდექსის 2:508-ე მუხლში. ეს უკანასკნელი ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობას ეხება. ასევე საქონლის ნასყიდობის შესახებ ინგლისური კანონის (შემდგომში – სნშკ) რამდენიმე მუხლით,³³ რომლებშიც არსებითი დარღვევის განსაზღვრის კრიტერიუმებია ჩამოთვლილი, მოვალის მიერ ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება.

ანგლოამერიკულ სამართლის სისტემაში სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის ზოგადი პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს.³⁴ აქ, ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ცენტრალურ მეორად მოთხოვნის უფლებად წარმოდგება,³⁵ თუმცა როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში სასამართლო უფლებას არ აძლევს მხარეს, თავი დააღწიოს ხელშეკრულებას ზიანის ანაზღაურების გზით, როცა, ვთქვათ, ხელშეკრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია. ისინი მოითხოვენ მისგან, შეასრულოს ხელშეკრულება.³⁶

III. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები

ამ თავში ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების კონკრეტული წინაპირობებია განხილული. ვინაიდან კრედიტორის მიერ ამ უფლების გამოყენება

³³ *Burton, ed., Contract Law: Selected Source Materials, Restatement of Law, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, §§ 241-242.*

³⁴ *Zweigert/Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Clarendon Press, Oxford, 194.*

³⁵ *Mercédeh Azeredo da Silveira, available online at <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/chengwei.html#07-3>, - Last updated June 6, 2006, Termination of Contract under the Principles of European Contract Law - A Comparative Study, 3-4 (10.12.07).*

³⁶ *Gordley, Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 390.*

სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს მთლიანად ისე ცვლის, რომ თავდაპირველად დათქმულისგან განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს აფუძნებს, შესაბამისად მისი გამოყენების წინაპირობებიც კომპლექსურია. ეს წინაპირობები შეიძლება დაიყოს მატერიალურად – სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, და ფორმალურად – დამატებითი ვადის დაწესება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება.

1. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი საფუძველი

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებაზე უარის თქმის მატერიალური, საბაზისო წინაპირობაა. ასეთ დროს შეუსრულებლობა ერთგვარი იურიდიული ფაქტის შემადგენლობას აფუძნებს. კონკრეტული სამართლის წყარო – კანონი, სასამართლო თუ დოქტრინა – უთითებს, თუ რა შემთხვევაში შეადგენს განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებები ასეთ იურიდიულ ფაქტს.

1.1 არსებითი შეუსრულებლობის ცნება

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული ობიექტური მასშტაბით იზომება. დებულება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, როცა ვალდებულების დარღვევა სერიოზულობის განსაზღვრულ დონეს აღწევს, აღიარებულია თითქმის ყველა ტრადიციული სამართლებრივი სისტემით. ამ იდეას ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ბუნება განაპირობებს. ქართულ კოდექსში არსებითი შეუსრულებლობის კონცეფცია, როგორც ასეთი, გამოკვეთილი არ არის. ამ შემთხვევაში აშკარაა გერმანული გავლენა, რადგან დამატებითი ვადის კონცეფციაა აღიარებული, მაგრამ, მეორე მხრივ, სსკ-ის 405-ე III(ა) მუხლით განმარტებულია, რომ ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარეობს, რომ თუნდაც დამატებითი ვადა უშედეგოდ გავიდეს, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, თუკი დარღვევა უმნიშვნელოა, მაშინ როცა გერმანულ სამართალში მიდგომა სხვაგვარია – არსებითია თავისთავად ყველა სახელშეკრულებო დარღვევა, რომლებიც დამატებით ვადაში არ გამოსწორდება. ამასთან, ქართული კოდექსი ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობის შეფასების არავითარ ორიენტირს არ იძლევა, შეფასება მეტად აბსტრაქტულია. გსკ-ის შესაბამის პარაგრაფებში³⁷ არ იკვეთება მოთხოვნა ვალდებულების დარღვევის არსებითობის შესახებ. მისი ცენტრალური 323-ე პარაგრაფით უფლება ენიჭება კეთილსინდისიერ მხარეს, გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუკი მეორე არ შეასრულებს ორმხრივ სახელშეკრულებო ვალდებულებას. ეს არის ამ უფლების სუბსტანცია, ისე, რომ შეუსრულებლობა ხელშეკრულების დარღვევის ობიექტურ შემადგენლობას ქმნის. არსებითობის შესახებ ვაკუუმს კოდექსი დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნით ავსებს. ეს ინსტიტუტი ყველაზე მეტად სწორედ გერმანულ სამართალშია წარმოდგენილი. მხარისათვის მეორე შანსის მიცემა იმპერატივია, კრედიტორის ეს ვალდებულება ცენტრალურ 323-ე I პარაგრაფშივეა მოცემული. რაც შეეხება მითითებას შეუსრულებლობის შედეგსა თუ ხასიათზე, ასეთს შეიცავს 323-ე V ი პარაგრაფი მხოლოდ ნაკლიანი შესრულებისათვის, ანუ მოთხოვნა შეუსრულებლობის არსებითობის შესახებ აქ დამატებითი ვადის დაწესების

³⁷ §§ 323, 326 of the German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად შემოდის, თუმცა დოქტრინაში კეთდება აქცენტი იმაზე, რომ დარღვევა ზოგადად არ უნდა იყოს ტრივიალური.³⁸

რომანულ სამართლის სისტემაში სასამართლო დისკრეცია ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით მოცემულ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ნსკ-ის ცენტრალური 265-ე მუხლში განმარტებულია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლას აფუძნებს ნებისმიერი შეუსრულებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გაუმართლებელია შეუსრულებლობის სპეციფიკისა თუ მისი ნაკლები მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამრიგად, შეუსრულებლობის არსებითობის მოთხოვნა აქ დამოუკიდებლად მოქმედებს.

არსებითი შეუსრულებლობის კონცეფცია განსაკუთრებით განვითარებულია ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში. ზოგადი პრინციპი ასეთია – ვალდებულების დარღვევა რეალურად და არსებითად უნდა ართმევდეს მხარეს იმას, რასაც კანონიერად მოელის იგი ხელშეკრულებიდან.³⁹ ერთ-ერთ საქმეში საკითხი ეხებოდა მინის ნაკვეთის ნასყიდობას. ნაკვეთი გაიყიდა მასზე არსებულ ტყის მასივთან ერთად. ვიდრე ნაკვეთი გადაეცემოდა მყიდველს, გამყიდველმა გაჩეხა ტყის მასივი, რის გამოც მყიდველმა უარი განაცხადა, შეესრულებინა ხელშეკრულების თავისი ნაწილი – გადაეხადა საფასური და საკუთრებაში მიეღო ნაკვეთი. გამყიდველმა ხელშეკრულების საჯარიმო პირობაზე მითითებით სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაკვეთზე არსებული ტყის მასივი შესაძლოა, მყიდველის ძირითადი მამოძრავებელი მოტივი იყო, როცა ხელშეკრულებას დებდა გამყიდველთან და მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მისცა. მიუხედავად იმისა, ტყის მასივი ამ შემთხვევაში გამყიდველის დანაპირების მხოლოდ ნაწილს შეადგენდა (საკუთრების უფლება მყიდველს ნაკვეთზე სრულად გადაეცემოდა), სასამართლომ ეს გადამწყვეტად არ მიიჩნია. გამოითქვა საწინააღმდეგო აზრიც იმის შესახებ, რომ ასეთ დროს კეთილსინდისიერი მხარის დანაკარგი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით შეიძლება გაიქვითოს. აღნიშნულმა მსჯელობამ სასამართლო პრაქტიკაში შემდეგი ტენდენცია გამოკვეთა: მხარე, რომელმაც ხელშეკრულებისათვის შეუსაბამოდ შეასრულა ვალდებულება, უფლებამოსილია, ხელშეკრულების კუთვნილი ნაწილის შესრულება მოსთხოვოს მეორე მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესრულების ნაკლი არსებითად ხელყოფს კონტრაქტის ლეგიტიმურ მოლოდინს.⁴⁰ ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ფუნდამენტური დარღვევის შესახებ კონცეფციაში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მიხედვით, აქცენტი კეთდება მხარის ინტერესზე ვალდებულების შესრულებაში, ობიექტურად დამდგარი ზიანის მიუხედავად.⁴¹ საუბარია მხარის ობიექტურ მოლოდინზე, რომელიც ხელშეკრულების პირობებშია ასახული.⁴² ასე რომ, ფუნდამენტურ დარღვევად განსაზღვრულია დარღვევა, რომელიც არსებითად ართმევს მხარეს იმას, რისი მოლოდინის უფლებაც აქვს მას ხელშეკრულების მიხედვით.⁴³ აქვე შემოდის სუბიექტური ელემენტიც – ვალდებულების დამრღვევმა მხარემ იცოდა, ან შეეძლო და უნდა სცოდნოდა მოსალოდნელი შედეგის შესახებ. ორივე ეს პირობა კუმულაციურია, რაზეც მიუთითებს ცენტრალური, 25-ე, მუხლის დანაწესი,

³⁸ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 422.

³⁹ *TreiTel*, *The Law of Contract*, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 676.

⁴⁰ იქვე, 676-677.

⁴¹ *Schlechtriem*, *Uniform Sales Law-The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods*, available at www.law.pace.edu/cisg/text/treaty, 1-3, (05.01.08.).

⁴² იქვე, 3.

⁴³ *United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) CISG*, The UN-certified English text is published in 52 *Federal Register* 6262, 6264-6280 (March 2, 1987); art. 25.

რომლის თანახმადაც, თუკი მხარეს არ განუჭვრეტია და არც შეეძლო განეჭვრეტა შეუსრულებლობის კონკრეტული შედეგი, დარღვევა ფუნდამენტური არ არის. უნდა ითქვას, რომ ფუნდამენტური დარღვევის ერთიანი კონცეფცია მაინც ბუნდოვანი რჩება, რადგან დამოკიდებულება იცვლება კონკრეტული გარემოებების შედეგად.⁴⁴

1.2 ინგლისური სასამართლო პრაქტიკა არსებითი შეუსრულებლობის ცნების განსაზღვრისათვის

ინგლისური სასამართლოები მიმართავენ არსებითი და მიმდინარე პირობის კონცეფციას. ყოველი სახელშეკრულებო პირობა, გამომხატული თუ ნაგულისხმევი, არის მიმდინარე პირობა, ვიდრე არსებითად არ დაკვალიფიცირდება მხარის, კანონისა თუ სასამართლოს მიერ. მიმდინარე პირობის დარღვევა აფუძნებს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მეორად მოთხოვნის უფლებას ისე, რომ მხარე ვალდებული რჩება, განახორციელოს შესრულება. მიმდინარე პირობა შეეხება ხელშეკრულების სუსიდიურ ელემენტებს, რომელთა დარღვევა მხარეს არ ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას იმ თეზის საფუძველზე, რომ მცირე მნიშვნელობის დარღვევა ფულადი თანხითაც შეიძლება ანაზღაურდეს. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას სასამართლოები უკავშირებენ მხოლოდ არსებითი პირობის შეუსრულებლობას, ანუ პირობას, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა შესრულებისათვის.⁴⁵ სახელშეკრულებო პირობათა ასეთ დაყოფას შესაძლოა მივუსადაგოთ გერმანული კონცეფცია ძირითად და დამატებით ვალდებულებათა შესახებ, თუმცა საერთო სამართლის სისტემაში აღნიშნულ დაყოფას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის. სახელშეკრულებო პირობის იდენტიფიკაცია უმეტეს შემთხვევაში მხარეთა გამომხატულ განზრახვაზე დამოკიდებულია. ამიტომ პასუხი კითხვაზე, თუ რომელ კატეგორიაში ექცევა ესა თუ ის სახელშეკრულებო დანაწესი, თვითონ ხელშეკრულების შინაარსში უნდა ვეძიოთ.⁴⁶ თუკი მხარეთა განზრახვა ამოუცნობია, სასამართლო სუბსტანციური შეუსრულებლობის⁴⁷ ზოგად წესს მიმართავს, კერძოდ, იკვლევს, რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული პირობის შესრულება ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით, მაგალითად, როცა მხარე აცხადებს, რომ არ გადაიხდის საქონლის საფასურს, ვიდრე საქონელი სრული ოდენობით კონკრეტული განსაზღვრული თვისების შესაბამისი არ იქნება. ამ შემთხვევაში პირობის არსებითად დაკვალიფიცირების განზრახვა აშკარაა.⁴⁸ სხვა შემთხვევაში სასამართლო შემოდის ობიექტური დამკვირვებლის სტატუსით, ვინაიდან იკვლევს სახელშეკრულებო პირობის კომერციულ მნიშვნელობას.⁴⁹

საქმეში – *Wickman v. Schuler*⁵⁰ – საკითხი ეხებოდა ოთხწლიან სადისტრიბუციო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც დისტრიბუტორს ექვსი დასახელებული მომხმარებელი კვირაში ერთხელ განრიგის მკაცრი დაცვით უნდა მოენახულებინა. მხარეებმა აღნიშნული პირობა არსებითად დაანესეს. ლორდთა პალატამ დაადგინა, რომ დაგეგმილი 1400 ვიზიტიდან

⁴⁴ Huber, CISG-The Structure of Remedies, Reproduced with Permission of 71 *Rebels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht* (January 2007) 13-34, Presentation at seminar: The Convention on the International Sale of Goods. The 25-th Anniversary: Its Impact in the Past; Its Role in the Future, German Society of Comparative Law, Private Law Division, Conference 2005 (22-24 September) Wurzburg, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2007.

⁴⁵ Zveigert/Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford, 194-195.

⁴⁶ Treitel, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 704.

⁴⁷ Substantial Failure in Treitel, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 686-693.

⁴⁸ იქვე, 706-707.

⁴⁹ იქვე, 708-709.

⁵⁰ See www.isurv.com/site/scripts/documents_info (15.01.08).

ერთის ჩაყარდნა არ შეიძლება არსებით შეუსრულებლობად მიჩნეულიყო, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ეს ასე ჰქონდათ განზრახული. ამრიგად, მხარეთა დისკრეცია, თვითონ განსაზღვრონ, სახელშეკრულებო პირობათაგან რომელია არსებითი და რომელი მიმდინარე, ერთგვარ განუსაზღვრელობას წარმოშობს, იქმნება ამ დისკრეციის ბოროტად გამოყენების რეალური საფრთხე. სწორედ ასეთ დროს სუბსტანციური შეუსრულებლობის შესახებ კონცეფცია მნიშვნელოვან იარაღად იქცევა სასამართლოს ხელში. ამრიგად, ამ პირობათა დახარისხების საბოლოო მიზანია, დადგინდეს, აქვს თუ არა მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

საქმეში – *Pust v. Dowie*⁵¹ – სასამართლომ დაადგინა, რომ თუკი მხარე, რომელსაც პირობის დარღვევის შედეგად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აქვს, არ გამოიყენებს ამ უფლებას და განაგრძობს შესრულების მიღებას, პირობა აღარ არის სასიცოცხლო, არსებითი და ურთიერთობის შემდგომ ეტაპზე მხოლოდ დამატებითი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი, ხდება.⁵²

ხშირად ძნელია დაადგინო, სახელშეკრულებო პირობა რომელ კატეგორიას განეკუთვნება – არსებითისას თუ მიმდინარესას. ასეთ შემთხვევებში სასამართლოები მიმართავენ შუალედური, ე.წ. უსახელო, პირობის კონცეფციას. ეს არის პირობა, რომლის დარღვევა მხარეს არ ანიჭებს უპირობოდ ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას, მაგრამ არც მარტოდენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით ზღუდავს მას. ასეთ დროს მთლიანად შეფასებითაა კატეგორია. საქმე – *Hong Kong Fir Shipping Co Ltd v. Kawasaki*⁵³ – გამოკვეთა, რომ პირობების დახარისხების თეორია ვალდებულების დარღვევის შეფასების ექსკლუზიური მეთოდი სულაც არ არის. მთავარია არა ის, თუ რა კატეგორიაა პირობა, არამედ მისი დარღვევის ეფექტი მთელი ხელშეკრულების მიმართ.⁵⁴

2. დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნა

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისადმი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ანგლოამერიკულ და კონტინენტურევეროპულ სამართლის ხედვას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლების იმპერატიულ ხასიათთან დაკავშირებით. ინგლისური სამართლებრივი მონესრიგების საფუძველია კონცეფცია იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მხარეებმა შესაძლოა, „მიატოვონ ხელშეკრულება“ და სხვაგვარად ეძიონ კუთვნილი დაკმაყოფილება, მაშინ როდესაც გერმანული სამართლებრივი დამოკიდებულების იდეა საპირისპიროა. კერძოდ, ვიდრე მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობას სხვაგვარ სამართლებრივ რეჟიმს განუსაზღვრავდნენ, ისინი ერთხელ მაინც უნდა შეეცადონ, გადაარჩინონ ხელშეკრულება.⁵⁵ ამიტომაცაა, რომ მოვალისათვის დამატებითი ვადის მიცემა ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი მონესრიგების უდავო ლაიტმოტივია კონტინენტურ და, განსაკუთრებით, გერმანულ სამართალში.⁵⁶

⁵¹ See Codification of the Doctrine of Rescission, available at www.links.jstor.org/sici (10.01. 08).

⁵² Anson, D.C.L, Principles of the English Law of Contract and of Agency in its Relation to Contract, 9th ed., Oxford, London and New York, 1899, 304-316.

⁵³ Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 765.

⁵⁴ იქვე, 764-765.

⁵⁵ Markesinis/Unberath/Johnston, The German law of Contract-A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 380-381.

⁵⁶ იქვე.

2.1 დამატებითი ვადის კონცეფცია

დამატებითი ვადა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია შესრულებაში ცდომილებების სამართლებრივი მონესრიგებისათვის. გერმანულ სამართალში, გარდა იმისა, რომ ხელშეკრულების შესრულების ინტერესია პრიორიტეტული, დამატებითი ვადის მოტივაცია სხვადასხვა: კერძოდ, კონტინენტური ევროპისათვის დამახასიათებელია ტენდენცია, დაიცვას მოვალე, რომელსაც, ვთქვათ, განსაზღვრული შესაგებელი აქვს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინაშე. აღნიშნული წინაპირობა მოქმედია ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლებისთვისაც.

სსკ-ის შესაბამის კომენტარში აღნიშნულია, რომ „კრედიტორი შებოჭილია დამატებითი ვადის გამოყენების ვალდებულებით“⁵⁷ მაგრამ ცენტრალური 405-ე მუხლის ფორმულირება: „მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე“ – დისკრეციულ უფლებამოსილებას უფრო უსვამს ხაზს, ვიდრე მის ვალდებულებას. სწორი იქნებოდა ფორმულირება: „...მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.“ ქართულ სამართლებრივ მონესრიგებაში ასევე ნარჩუნდება დამატებითი ვადა წინაპირობად ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლებისათვის, 394-ე მუხლის სახით, თუმცა აქაც გარკვეული სამართლებრივი ორაზროვნებაა: მუხლში მითითებაა კრედიტორის უფლებამოსილებაზე მოვალისთვის დამატებითი ვადის დაწესების შესახებ. აქაც ფორმულირება – კრედიტორს შეუძლია, დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, საშუალებას იძლევა, ივარაუდო, რომ კრედიტორს უფლება აქვს, არც დაუნიშნოს მოცემული ვადა. მართალია, დასკვნა მცდარია, მაგრამ მისი წყარო ხსენებული მუხლია. თუმცა 394-ე III მუხლი ისეთ შემთხვევათა აღნიშვნით, როცა დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არ არის, აბათილებს ამ დასკვნას და ამტკიცებს, რომ ქართული სამართალი გერმანულის მოზიარება ამ ნაწილშიც.

დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულებას ითვალისწინებს გსკ-ის 323-ე I პარაგრაფი, რომელიც არ განიხილავს მხარის არსებით დანაკარგს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დასაფუძნებლად, მთავარია, დაცული იყოს მოთხოვნა დამატებითი ვადის დაწესების შესახებ. ამრიგად, დამატებითი ვადის კონცეფციას გერმანულ სამართალში არაერთი ფუნქცია ეკისრება: იქნება ეს სახელშეკრულებო ინტერესის დაკმაყოფილების ძიება კრედიტორისათვის, მეორე შანსის მიცემა მოვალისთვის, თუ ვალდებულების დარღვევის არსებითად ტრანსფორმაციის ფუნქცია. მაშასადამე, გერმანულ სამართალში დამატებითი ვადის დაწესება კრედიტორის ვალდებულება და ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელი წინაპირობაა.

ფრანგული კოდექსიც უფრო მეტად ამ ხაზს მიჰყვება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელშეკრულებით შესრულების ზუსტი დროა განსაზღვრული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, დროის განსაზღვრულ მონაკვეთშია შესრულებადი. ფრანგული სამართალი მოსამართლის დისკრეციას უთმობს გადასაწყვეტად საკითხს დამატებითი ვადის დაწესების შესახებ. და თუკი ის ამას აკეთებს, იმავდროულად გამოსცემს სასამართლო ნებართვას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, გადაწყვეტილებით განსაზღვრული დროის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში.⁵⁸ რომაული სპეციალური გაფრთხილება მოვალისა – „ინტერპელაცია“⁵⁹ – კლასიკური ფორმითაა წარმოდგენილი ნსკ-ში. კოდექსის 82-ე I მუხლის თანახმად, შეუსრულებლობა ფუძნდება მას შემდეგ, რაც კრედიტორი

⁵⁷ *ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 434.

⁵⁸ "To put the debtor in default", in: *Zweigert/Kötz*, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by *Tony Weir*, Clarendon Press, Oxford, 187.

⁵⁹ "Interpellatio" in: *Zimmermann*, The Law of Obligations-Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Oxford University Press, 1996, 792.

გაუგზავნის მოვალეს სპეციალურ გაფრთხილებას შესრულებისათვის განსაზღვრული გონივრული დროის მითითებით, რომელიც უშედეგოდ სრულდება.

ინგლისური სამართლის მიდგომა მოდელური კი არ არის, არამედ კაზუისტურია. შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელიც ასე გარდუვალია გერმანულ სამართალში, ანგლოამერიკული მიდგომით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია მინიჭებული მხარისათვის.⁶⁰ ინგლისელები პრაქტიკული მოსაზრებით ხელმძღვანელობენ და უმეტესად გამორიცხავენ ამ მოთხოვნის უფლებას, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. ინგლისური სამართლის მიხედვით, მხარე უფლებამოსილია და არა ვალდებული, გარკვეული დრო მისცეს მოვალეს.⁶¹ გერმანულისაგან განსხვავებით, სადაც დამატებით დათქმული დროის უშედეგოდ გასვლა ავტომატურად ხელშეკრულებაზე უარის თქმის მეორად მოთხოვნის უფლებას აღმოაჩენებს, ინგლისურ სამართალში ასე არ არის.⁶²

უნდა ითქვას, რომ კონვენცია, რომელიც ერთგვარ კომპრომისად ითვლება საერთაშორისო დონეზე, ხელშეკრულებიდან გასვლის ძირეულ, ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობად არსებით დარღვევას ასახელებს. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ასეთი დარღვევის ობიექტურ ფაქტზე აღმოცენდება.⁶³ არავითარი დამატებითი ვადა ამისთვის საჭირო არ არის, თუმცა მოთხოვნა შეუსრულებლობის არსებობის შესახებ აკომპენსირებს მხარის შესაძლებლობას, დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან. ერთადერთი შემთხვევა, როცა დამატებითი ვადის დანიშვნა სავალდებულო ხდება, ტოტალური შეუსრულებლობის შემთხვევაა. კონვენციის 49-ე II მუხლი საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევას ცალკე გამოყოფს და მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ანიჭებს მხოლოდ შესრულებისათვის განსაზღვრული დამატებითი დროის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ასე არ არის ნაკლიანი შესრულების დროს⁶⁴ – აქ ნაკლმა თავისთავად უნდა შეადგინოს ფუნდამენტური დარღვევის ტიპი, ასე რომ, ტოტალური შეუსრულებლობის მსგავსად, დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლა ასეთად არ დააკვალიფიცირებს მას.

2.2 დამატებითი ვადის გონივრული ხანგრძლივობა და კრედიტორის უფლებამოსილებითი შეზღუდვა ამ ვადის მოქმედებისას

სსკ დამატებითი ვადის გონივრულ ხანგრძლივობაზე არც ერთ მუხლში არ უთითებს, თუმცა მისი გონივრულობის თაობაზე განმარტებები ლიტერატურაში არსებობს. აღინიშნება, რომ დამატებით ვადას განსაზღვრავს კანონი ან კრედიტორი, ხოლო იმის მაგალითად, რომ დამატებითი ვადის ხანგრძლივობას განსაზღვრავს კანონი, მოყვანილია საკრედიტო და სადაზღვევო გრძელვადიანი სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობები, რაც არ არის მართებული. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევებში კანონით დადგენილი ვადები ხელშეკრულების მოშლას უკავშირდება, როცა მხარეებს სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადა არ დაუთქვამთ, რაც კონცეპტუალურად არსებითად განსხვავდება დამატებითი ვადის ხანგრძლივობისაგან. ამრიგად, გაუმართლებელია ითქვას, რომ კანონი განსაზღვრავს დამატებითი ვადის ხანგრძლივობას.

⁶⁰ *Ebke and Finkin*, Introduction to German Law, Kluwer Law International, The Hague-London-Boston, 1996, 183-187.

⁶¹ *TreiTel*, The Law of Contract, 9th., Sweet and Maxwell, London, 1995, 742-743.

⁶² იქვე, 744.

⁶³ *Markesinis/Unberath/Johnston*, The German Law of Contract-A Comparative Treatise, 2nd., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 422-423.

⁶⁴ იქვე, 422.

მოთხოვნა იმისა, რომ შესრულებისათვის დამატებით განსაზღვრული ვადა გონივრული ხანგრძლივობისა უნდა იყოს, აღიარებულია ყველა სამართლებრივი სისტემის მიერ. გერმანულ სამართალში ვადა, რომელიც მცირეა, ავტომატურად გრძელდება გონივრულ დრომდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლა ანიჭებს მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ხოლო ის, თუ რა პერიოდს შეადგენს გონივრული ხანგრძლივობა, ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, განსხვავებით კონტინენტური ევროპისაგან, მცირე დროის დამატებითი ვადა იურიდიულ ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულია, ასე რომ, აქ მხარემ ხელახლა უნდა დანიშნოს შესრულებისათვის დრო. მაგალითად, გამყიდველმა, რომლისთვისაც მყიდველს საქონლის საფასური არ გადაუხდია, შეატყობინა ამ უკანასკნელს, რომ განზრახული აქვს გადაყიდოს საქონელი. ამით გამყიდველი, ფაქტობრივად, შესრულების განსაზღვრულ დროს უწესებს მყიდველს, რომელიც იმ ხანგრძლივობის იქნება, რაც სჭირდება საქონლის გადაყიდვის პროცესს. ასე რომ, ინგლისური მიდგომა ამ შემთხვევაშიც კაზუსიტურია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ განჩინებაში ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამატებითი ვადის შესახებ მსჯელობს.⁶⁵ გადანყვეტილებიდან ჩანს, რომ კრედიტორის მიერ მოვალისათვის განსაზღვრულ ვადას გონივრულობის კრიტერიუმში წაყენება. სასამართლო დამატებითი ვადის ათვისების ნერტილად მოვალისათვის დამატებითი ვადის შესახებ შეტყობინების მომენტს მიიჩნევს. გადანყვეტილება ასე განმარტავს გონივრულ დროს: „რაც საკმარისი იქნება ვალდებულების დამრღვევი მხარის ნების სარწმუნოდ გამოსავლენად და მისაღებად.“

აღსანიშნავია, რომ უნიფიცირებული აქტების – როგორც კონვენციის, ისე ევროპული სახელშეკრულებო სამართლის – პრინციპების (შემდგომში – პრინციპები) სამართლებრივ მონესრიგებაში არაერთი მინიშნებაა დამატებითი ვადის გონივრულ ხანგრძლივობაზე. პრინციპები ორ განსაზღვრულ კრიტერიუმს უყენებს დამატებით ვადას, კერძოდ, იგი უნდა იყოს ზუსტი და გონივრული.⁶⁶ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს კრიტერიუმები სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როცა დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულება არსებობს, ხოლო მაშინ, როცა შეუსრულებლობა არსებითია და დამატებითი ვადის დაწესებით კეთილსინდისიერი მხარე გარკვეულ კეთილ ნებას ავლენს, რადგანაც ასეთ დროს მის მხარეს ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლის უფლებაა დაფუძნებული, აღნიშნული „მანსი“ ნებისმიერი ხანგრძლივობისა შეიძლება იყოს, კრედიტორის სურვილისამებრ,⁶⁷ თუმცა კეთილსინდისიერების პრინციპი მხარის ამ თავისუფლებასაც გარკვეულ ჩარჩოში აქცევს.

დამატებით ვადას განსაზღვრული ვალდებულებები შემოაქვს კრედიტორის მხარეს. ადვილი წარმოსადგენია შემთხვევა, როცა კრედიტორი დამატებით ვადას განსაზღვრავს და შემდეგ ცდილობს, უკან გამოითხოვოს იგი, ვინაიდან აღარ სურს შესრულების მიღება, ამიტომაც მხარე შეზღუდულია აღნიშნული დროის განმავლობაში. ის ვერ მიმართავს ვერცერთ მეორად მოთხოვნის უფლებას, რომლებიც დამატებითი ვადის კონცეფციასთან იქნება შეუსაბამო. გერმანული სამართლით, დამატებითი ვადის ამონურვისთანავე მხარეს

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება (20.01.2006წ.) ას-946-1203-05, http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1 (12.02.08.).

⁶⁶ *Lando and Beale*, Principles of European Contract Law, Parts I and II, Combined and Revised, Prepared by The Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 372-377.

⁶⁷ იქვე, 375-377.

ეზღუდება შესრულების მოთხოვნის უფლება, ამიტომ პირმა, რომელსაც შესრულების სახელშეკრულებო ინტერესი აქვს, იმთავითვე უნდა იზრუნოს დამატებითი ვადის გონივრულ ხანგრძლივობაზე, მაშინ, როცა ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში დამატებითი ვადის გასვლით ასეთი სამართლებრივი შედეგი არ დგება, აქ მხარე უფლებამოსილია, ახალი ვადა დაუწესოს მოვალეს. ამ ხაზს იზიარებს საფრანგეთიც, სადაც კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნა დასაშვებია ხელშეკრულებიდან გასვლის მიზნით სასამართლო საქმისწარმოების ინიცირების შემდეგაც. ქართულ სამართლებრივ მოწესრიგებაში სერიოზული ვაკუუმიამ ამ მხრივ, დამატებით ვადასთან დაკავშირებული უფლება-ვალდებულებები ცალკე მსჯელობის საგანი არცაა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ დამატებითი ვადა განსაზღვრული სამართლებრივი მნიშვნელობის, ორმაგი დატვირთვისაა როგორც კრედიტორის, ისე მოვალისათვის, სამართლის უზენაესი – ინტერესთა ბალანსისა და სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურობის უზრუნველყოფის – იდეიდან გამომდინარე.

2.3 გამონაკლისი შემთხვევები დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნისათვის

დამატებითი ვადის წინაპირობა აბსოლუტური არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებს ითვალისწინებს მისთვის. ამ მხრივ ყველაზე მრავალფეროვანი გერმანული სახელშეკრულებო სამართალია, სადაც მოცემული წინაპირობა ყველაზე დეტალურადაა რეგლამენტირებული.

ერთ-ერთი ობიექტური გამონაკლისია შემთხვევა, როცა შესრულება შეუძლებელია და, შესაბამისად, შესრულებისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა ყოველგვარ სამართლებრივ აზრს მოკლებულ, ფორმალურ მოთხოვნად რჩება.

გსკ-ის 323-ე II პარაგრაფში ზუსტადაა ჩამოთვლილი შემთხვევები, როცა დამატებითი ვადის მოთხოვნა დღის წესრიგიდან იხსნება. 323-ე III პარაგრაფის თანახმად, ერთ-ერთი ასეთია ვითარება, როცა, გაფრთხილება ითავსებს დამატებითი ვადის ფუნქციას. როგორც წესი, გაფრთხილება დამატებით ვადას ცვლის მაშინ, როცა ხელშეკრულებით დათქმული ვალდებულება მოქმედებისაგან თავის შეკავებას გულისხმობს,⁶⁸ მაგალითად, დამქირავებლის ვალდებულება, არ დააზიანოს ქირავნობის საგანი. აქ გაფრთხილების იდეა ასეთია: „შენყვიტე დაზიანება რაც შეიძლება ადრე, რამდენადაც ეს შესაძლებელია“. ზოგიერთი ავტორის⁶⁹ აზრით, ძნელია, წარმოიდგინო ვითარება, როცა გაფრთხილებას განსაზღვრული სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ვთქვათ, პირმა დაარღვია ვალდებულება კონკურენციის აკრძალვის შესახებ, ასეთ დროს ვალდებულების დარღვევა შემდგარი ფაქტია და გაფრთხილება ვერ შეცვლის მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგს.

გსკ-ის 323-ე I პარაგრაფის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუკი მოვალე განსაზღვრულ და საბოლოო უარს აცხადებს ვალდებულების შესრულებაზე. რეფორმის შემდგომი კოდექსი ცალკე გამოყოფს ხელშეკრულებიდან გასვლის კონკრეტულ შემთხვევებს, მათ შორის შემთხვევას, როცა შესრულება შეუძლებელია. ქართული შესაბამისი 405-ე II(ა) მუხლის ფორმულირება კი ასეთია: აშკარაა, რომ დამატებით ვადას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რითაც, სავარაუდოდ, აერთიანებს როგორც

⁶⁸ *Zimmermann*, Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations, Saagi, Conferenze e Seminari 48, Roma, 20.

⁶⁹ *Zimmermann*, Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations, Saagi, Conferenze e Seminari, 48, Roma, refers to *Faust and Lorenz/Riehm in Huber/faust*, 33; *Lorenz/Riehm*, 105 f.

შემთხვევას, როცა შესრულება შეუძლებელია, ასევე შემთხვევას, როცა მოვალე უარყოფს ვალდებულებას; გერმანულ სამართალს კი ეს შემთხვევები ცალკე გამოაქვს 275-ე III და 323-ე I პარაგრაფების სახით. ამასთან, თუკი, ერთი მხრივ, ქართული კოდექსის ასეთი ფართო ფორმულირება გამართლებულია, მეორე მხრივ, ის 405-ე II(გ) მუხლით მოცულ შემთხვევასაც ითავსებს და, ამდენად, შეცდომაში შემყვანი შეიძლება იყოს.

შესრულებაზე უარი ხელშეკრულების დარღვევის ცალკე შემადგენლობა ინგლისურ სამართალში.⁷⁰ აქ ცალკეა გამოყოფილი უარი შესრულების ვადის დადგომისას და შესრულების ვადის დადგომამდე.⁷¹ დოქტრინაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების უარყოფას, რაც არ შეიძლება ითქვას მის ანალოგზე ევროპაში. ქართულ სამართლებრივ სივრცეში შესრულების განხორციელებაზე უარი ასევე არსად არ ფიგურირებს სამართლებრივი ურთიერთობის ცალკე ეტაპად, მას ვალდებულების დარღვევის ზოგადი და აბსტრაქტული ცნება შთანთქავს, მაშინ როდესაც ინგლისურ სამართალში ცალკე მსჯელობა ეთმობა საკითხს, რა არის შესრულების განხორციელებაზე უარი – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაცია.⁷²

გსკ-ის 323-ე II პარაგრაფი განმარტავს, რომ დამატებითი ვადის დანესება საჭირო არ არის, როცა კრედიტორი შესრულებაში თავის ინტერესს დროის განსაზღვრული პერიოდით შემოფარგლავს.⁷³ ცხადია, ეს კრედიტორის უფლებაა და არა ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს რჩება შესაძლებლობა, მოითხოვოს შესრულება ნებისმიერ დროს, დათქმული ვადის გასვლის შემდეგაც,⁷⁴ გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულების შინაარსისა თუ მიზნის გათვალისწინებით, ვადის უშედეგოდ გასვლით შესრულება შეუძლებელი ან კრედიტორისათვის ყოველგვარ აზრს მოკლებული ხდება. მაგალითად, ქორნილისათვის ყვავილების შეკვეთისას, ასევე ტაქსის დაქირავებისას კონკრეტულ რეისზე აეროპორტში გადასაყვანად. ამასთან, შესრულების მცირედით დაგვიანება, თუნდაც ხელშეკრულებაში შესრულების ზუსტი დრო იყოს დათქმული, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას არ აფუძნებს. ასეთ დროს 242-ე პარაგრაფით განმტკიცებული კეთილსინდისიერების პრინციპი იწყებს მოქმედებას.

ფრანგული წესი, რომლის თანახმადაც ხელშეკრულება მხოჭავია ორივე მხარისთვის და დაუშვებელია, ის ერთი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენით გაუქმდეს, არ არის აბსოლუტური. გერმანული დამატებითი ვადის კონცეფციის ანალოგს – სასამართლო საქმისწარმოების ინიცირების მოთხოვნის უფლებას – გამონაკლისი შემთხვევებიც აქვს:

1) მხარეებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან უპირობოდ გასვლის შესაძლებლობა. არსებობს ასევე საკანონმდებლო დანაწესები, რომლებიც ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლებას ითვალისწინებს;⁷⁵

2) სასამართლო ინტერვენციის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლა ნებადართულია გადაუდებელ შემთხვევაში, როცა სხვაგვარი გადაწყვეტა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მხარეს. თუმცა საინტერესოა აღინიშნოს, რომ შემთხვევათა გადაუდებლობის შემოწმება

⁷⁰ *TreiTel*, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 746.

⁷¹ *Anson*, Bart., D.C.L., Principles of the English Law of Contract and of Agency in its Relation to Contract, 9th, Clarendon Press, Oxford, London and New York, 1899, 304-316.

⁷² *TreiTel*, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell London, 1995, 704.

⁷³ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 770-773.

⁷⁴ იქვე, 772-773.

⁷⁵ §§ 1794, 1944 of the Civil Code of France, Translated by *Georges Rouhette* with the assistance of *Anne Rouhette-Berton*, 2006.

კვლავ სასამართლო დისკრეციის სფეროა. ანუ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ სასამართლო მოცემულ ვითარებაში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით აღჭურვავდა მხარეს. ესაა პრეზუმფცია, რომელსაც კრედიტორი თავისი რისკით ეყრდნობა.⁷⁶

ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში შესრულების ვადასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო პირობებს ცალკე ადგილი ეთმობა, აქ მიღებული ტერმინია ხელშეკრულებისათვის არსებითი დათქმა,⁷⁷ ანუ სასამართლო სვამს კითხვას, – რამდენად არსებითია დათქმა შესრულების ვადის შესახებ? – როცა ხელშეკრულება აშკარად გამოხატავს ამას, ან თვით კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს დანაწესის ასეთი ხასიათი. კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობათა სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში შესრულების ვადის აღმნიშვნელ სახელშეკრულებო პირობათა კლასიფიცირების ტენდენციაა, მაგალითად, როცა გემის გამჭირავებლის მიერ შეთანხმებული მგზავრობისათვის გემის ადგილზე მიყვანის დაგვიანება არსებითად ითვლება.

2.4 ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლის გამართლებული ინტერესი

ცალკე შეიძლება გამოიყოს ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლის გამართლებული ინტერესი. ესაა შემთხვევა, როცა შესრულება შესაძლებელია – არც მოვალეს განუცხადებია უარი შესრულების განხორციელებაზე და არც ხელშეკრულება შეიცავს მკაცრ დათქმას შესრულების ვადის თაობაზე. ესაა ერთადერთი გამონაკლისი, როცა ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დამრღვევი პირის ინტერესის გათვალისწინებითაც ფუძნდება. კერძოდ, გსკ-ის 323-ე II(3) პარაგრაფი განმარტავს, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრის მოთხოვნა ქარწყლდება, როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც ხელშეკრულებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმა მხარეთა ორმხრივი ინტერესია. თუმცა ასეთ დროს კეთილსინდისიერი მხარე ვალდებულია, დაასახელოს მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი და დაასაბუთოს ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლის ინტერესი. ეს ზოგადი დანაწესია, რომელიც, ცხადია, საპირისპირო აღტერნატივას უტოვებს კრედიტორს.⁷⁸ აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლის ინტერესი 242-ე პარაგრაფით განმტკიცებულ კეთილსინდისიერების პრინციპს უკავშირდება, როცა ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის მოტივით. უნდა ითქვას, რომ გსკ-ის 323-ე II(2) პარაგრაფით განმტკიცებული გამონაკლისი შეუსრულებლობის ისეთი შემთხვევისას გამოიყენება, როგორცაა მოვალის მიერ ვადის გადაცილება, ხოლო 323-ე II(3) პარაგრაფით განმტკიცებული გამონაკლისი უმეტესად ნაკლიანი შესრულების შემთხვევებისთვისაა განკუთვნილი. ორივე შემთხვევაში კრედიტორის ინტერესის ერთგვარი გაზომვის პრინციპი მოქმედებს, მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში ერთი დათქმით – მისი ამ ინტერესის მოვალის ინტერესთან შეპირისპირების უზრუნველყოფით. ქართული სამართალი გერმანულის გავლენით ზუსტად იმეორებს გამონაკლის შემთხვევათა სქემას, თუმცა ტერმინოლოგიური აღრევა აქაც სახეზეა. სსკ-ის 405-ე II(გ) მუხლი იყენებს ტერმინს – „ხელშეკრულების

⁷⁶ *Zweigert/Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford, 188-189.*

⁷⁷ “Essence of the Contract”, see in *Treitel, The Law of Contract, 9th ed., London, Sweet and Maxwell, 1995, 738-739.*

⁷⁸ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 762-763.*

დაუყოვნებლივ მოშლა“, რაც არასწორია, რადგან ხელშეკრულების მოშლას სრულიად განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება.

ანგლოამერიკულ სივრცეში ამგვარ დიფერენციაციას არ იცნობენ, აქ მიდგომა უფრო გენერალურია. დოქტრინული თვალსაზრისით ორი მიდგომა არსებობს:⁷⁹ ერთ შემთხვევაში არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ დათქმა შესრულების დროისა თუ ხარისხის თაობაზე მკაცრია, ხოლო მეორე შემთხვევაში თვით სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკა ადასტურებს ამას დამატებითი ვადისა თუ ნაკლის გამოსწორების არაადეკვატურობისა და მიზანშეუნოლობის სახით.⁸⁰

3. შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ

ხელშეკრულებიდან გასვლის მექანიზმი ერთ-ერთი იმ წინაპირობათაგანია, რომელიც საერთოა შეუსრულებლობის ყველა შემთხვევისათვის. გერმანულ სამართალში ხელშეკრულებიდან გასვლა მხარის განცხადებით ხორციელდება, აღნიშნულს განამტკიცებს გსკ-ის 349-ე პარაგრაფი, რომელიც იმდენად ლაკონიური და უპირობოა, რომ ამკარაა, კოდექსი ამ წესიდან არავითარ გამონაკლისს არ უშვებს. როდესაც მოთხოვნა დამატებითი ვადის დაწესების შესახებ დღის წესრიგიდან იხსნება, კეთილსინდისიერმა მხარემ დროულად უნდა განახორციელოს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება, ეს უკანასკნელი რომ არ გაქარწყლდეს.⁸¹ თუმცა არსებობს შემთხვევა, როცა აღნიშნული შეტყობინება საერთოდ კარგავს სამართლებრივ მნიშვნელობას. ესაა გსკ-ის 326-ე პარაგრაფით განმტკიცებული შესრულების შეუძლებლობა, რომლის დროსაც როგორც კრედიტორი, ისე მოვალე ავტომატურად თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან. ამიტომ შეტყობინება ამის თაობაზე აბსოლუტურად ზედმეტია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა აქ ავტომატურად ფუძნდება. უნდა აღინიშნოს გსკ-ის 350-ე პარაგრაფი, რომელიც განმარტავს, რომ მოვალე უფლებამოსილია, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის კონკრეტული ვადა განუსაზღვროს კრედიტორს ისე, რომ, ამ ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორის ეს უფლება ქარწყლდება.⁸² ეს მნიშვნელოვანი დანაწესია მოვალის ინტერესის დასაცავად, რომელმაც უნდა იცოდეს კრედიტორის არჩევანი, რათა თავისი ქცევა შეუსაბამოს მას. ამ თვალსაზრისით, ანალოგიურია სსკ-ის 405-ე V მუხლი, რომელიც მოვალეს ანიჭებს უფლებას, განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა, ამასთან, აუცილებელია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს დამატებითი ვადისა და შეტყობინების შესახებ მოთხოვნები. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება ქმედითია მას შემდეგ, რაც მისთვის განსაზღვრული წინაპირობები იქნება დაკმაყოფილებული. მოვალის მიერ დათქმული ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. არ შეიძლება მიჩნეული იყოს, თითქოს კრედიტორს, აღნიშნული ვადის გაშვების მიუხედავად, უნარჩუნდება ეს უფლება, დამატებითი ვადის გამოყენების გზით, როგორც ეს ქართულ სინამდვილეშია მოცემული.

⁷⁹ *Huber, CISG-The Structure of remedies*, Reproduced with permission of 71 *Labels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht* (January 2007) 13-34, Presentation at Seminar: "The Convention on the International Sale of Goods. The 25-th Anniversary: Its Impact in the Past; Its Role in the Future", German Society of Comparative Law, Private Law Division, Conference 2005(22-24 September) Würzburg, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2007, 23.

⁸⁰ იქვე, 23-24.

⁸¹ *Lando and Beale, Principles of European Contract Law, Parts I and II, Combined and Revised*, Prepared by The Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/ Boston, 416-417.

⁸² § 350 of the German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

ქართული კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე დანაწესს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების სამართლებრივი ბუნების თაობაზე. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, როგორც აღმჭურველი უფლება, ნებისმიერ დროს შეიძლება იყოს გამოყენებული, თუკი არსებობს ამის საფუძველი. თითქმის ყველა სამართლის სისტემა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დროით შემოფარგვლის საჭიროებას აღიარებს, მიზანშეწონილია, ეს მოთხოვნა გამოიკვეთოს ქართული სამართლითაც. ფსკ-ის 1184-ე III მუხლით განმტკიცებული მიდგომა, რომლითაც ხელშეკრულება ნებისმიერ შემთხვევაში მზოჭავია მონაწილე მხარეთათვის ისე, რომ დაუშვებელია, სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთ-ერთი მხარის ნებით შეწყდეს, სერიოზულ პრაქტიკულ სირთულეს წარმოშობდა, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთგვარად „იყინებოდა“ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამიტომაც დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმადაც, კეთილსინდისიერი მხარე უფლებამოსილია, სასამართლოსათვის მიმართვის მომენტამდე ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განუცხადოს მეორე მხარეს.⁸³ ფრანგული სასამართლო დისკრეცია ასევე შესუსტებულია მხარეთა უფლებით, ხელშეკრულების დადებისთანავე განსაზღვრონ დარღვევები, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს შეადგენენ. ამ დელეგირებულ უფლებამოსილებას, როგორც წესი, ადვოკატები და ბიზნესმენები ახორციელებენ.⁸⁴ აღსანიშნავია, რომ ამ ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია იდეა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის დაუშვებლობის შესახებ, რადგან, ერთ შემთხვევაში, სასამართლო რჩება ბოლო ინსტანციად, ხოლო მეორე შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებაა განმსაზღვრელი. მხარეები შესაძლოა, შეთანხმდნენ ასევე შეტყობინების მანდატორულ ხასიათზე, ასე რომ, ხელშეკრულებიდან გასვლას წინ უნდა უძღოდეს განსაზღვრული პროტესტი.

უფრო პროგრესულია ნსკ-ის სამართლებრივი მოწესრიგება, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლა აქ ხორციელდება როგორც მხარის ცალმხრივი განცხადებით, ისე სასამართლო წესით. ამასთან, ცალმხრივ განცხადებას დამატებითი მოთხოვნა უნესდება – კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, მხარის განცხადება წერილობითი უნდა იყოს, ეს მნიშვნელოვანი დანაწესია, რომელიც სამართლებრივი განსაზღვრულობის სასარგებლოდ მოქმედებს. შეტყობინების შესახებ მოთხოვნა განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს კრედიტორის დისკრეციას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, ამიტომაც შეტყობინების მოვალეობა განსაზღვრულ დამცავ ფუნქციას ასრულებს მოვალისათვის. თუკი კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმა სურს, მან ამის შესახებ განცხადება გონივრულ დროში უნდა გააკეთოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობას კი სერიოზული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გაქარწყლების სახით. მოცემული სამართლებრივი მოწესრიგება ნათელს ხდის, თუ რა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს შეტყობინების ვალდებულებას, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების აუცილებელ პირობას.

IV. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი მოწესრიგება

ამ თავში განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლის თავისებურება შეუსრულებლობის თითოეულ შემთხვევაში, რაც აბსოლუტურად მოუწესრიგებელია ქართული სამართლით.

⁸³ *Zweigert/Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford, 1987, 188-189.*

⁸⁴ იქვე.

1. ხელშეკრულებიდან გასვლა სახელშეკრულებო ვალდებულების მოსალოდნელი არსებითი შეუსრულებლობის შემთხვევაში

სამართალი მონოდებულისა, რეაგირება მოახდინოს ყველა პრაქტიკულ პრობლემაზე. ხშირად წარმოიშობა სიტუაცია, როცა შესრულების ვადის დადგომამდე ნათელი ხდება, რომ მოვალე არ ან ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. მან შესაძლოა, უბრალოდ უარყოს ნაკისრი ვალდებულება, ან თავისივე ქცევით შეუძლებელი გახადოს იგი.⁸⁵ ისმის კითხვა, რამდენად შეიძლება დაფუძნდეს ასეთი უფლება შესრულების ვადის დადგომამდე? ყველა განსახილველი სამართლის სისტემა ამკვიდრებს პრინციპს – დაუშვებელია, მოსთხოვო შესრულება მოვალეს შესრულების ვადის დადგომამდე, თუმცა ამ წესსაც აქვს გამონაკლისი: თუკი კრედიტორის ამგვარი შეზღუდვა უალტერნატივო იქნება, მის მხარეს რეალური სამართლებრივი განუსაზღვრელობის პრობლემა დადგება. კრედიტორი, რომელსაც თავისი სახელშეკრულებო ინტერესის სხვაგვარად დაკმაყოფილება შეუძლია, იძულებულია, დარჩეს კონკრეტულ უპერსპექტივო სამართლებრივ რეჟიმში?; მეორე მხრივ, მოვალის ინტერესი, წინასწარ შეთანხმებული შესრულების ვადით იყოს დაცული, უპირობოდ ანგარიშგასაწევია, განსაკუთრებით, სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამრიგად, შესრულების ვადის დადგომამდე ხელშეკრულებიდან გასვლის დაშვება-არდაშვების საკითხი მჭიდროდ ებმის მხარეების ინტერესთა ბალანსის საკითხს. აღნიშნულ საკითხზე ინგლისურ და გერმანულ სამართალს ერთნაირი მიდგომა აქვს:⁸⁶ თუკი შესრულების ვადის დადგომამდე ნათელი ხდება, რომ მხარე არ/ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას არსებითად, კეთილსინდისიერი მხარე უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ინგლისური სამართლის მიხედვით, თუკი მხარე შესრულების ვადის დადგომამდე გამოხატავს განზრახვას სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შესახებ, ან იმდგვარად მოქმედებს, რომ, გონიერი ადამიანის დასკვნით, გამოხატავს განზრახვას, არ შეასრულოს სახელშეკრულებო პირობა, მოსალოდნელია დარღვევა.⁸⁷ მხარეებს შესრულების ვადის დადგომამდე ერთმანეთის მიმართ სახელშეკრულებო ურთიერთობების შენარჩუნების მოთხოვნის უფლება აქვთ, ისევე, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლება, როცა შესრულების ვადა დგება. გერმანულ სამართლებრივ სივრცეში კი მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მაგრამ შესრულების ვადის დადგომამდე მოთხოვნა განუხორციელებელია. საქმეში – *Frost v. Knight*⁸⁸ – მოსამართლემ დაადგინა, რომ მოსარჩელეს შესრულების ვადის დადგომამდე ვალდებულების შესრულების საწყისი მოთხოვნის უფლება აქვს, რომელიც დასრულებულ სახეს შესრულების ვადის დადგომისას იძენს. შესრულების ვადის დადგომამდე მოსარჩელეს უფლება აქვს, ივარაუდოს ხელშეკრულება, როგორც ნამდვილი და ეფექტური, ხოლო ვალდებულების უარყოფით მხარე არღვევს ხელშეკრულებას, თუნდაც მისთვის შესრულების ვადა ჯერ არ იყოს დამდგარი. ამ წესს ორი შეზღუდვა აქვს:

– მოპასუხის მიერ ვალდებულებების უარყოფა მისთვის დაკისრებულ მთლიან შესრულებას უნდა ეხებოდეს.

– თუკი მოსარჩელე (დაპირების მიმღები) არ მიიღებს მოპასუხის (დამპირებლის) მხრიდან ვალდებულების უარყოფას და დაჟინებით მოითხოვს მისგან დანაპირების შესრულებას,

⁸⁵ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 776-777.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ *HK Contract Law, Repudiation and The Right to Rescind*, Part 17, refers to *Chitty on Contracts*, 28th ed., (1999) Vol 1. available at http://lawprc.com/HK_Contract_Law/HK_Contract_17_repudiation.html (25.12.07).

⁸⁸ იქვე.

ხელშეკრულება რჩება ძალაში ორივე მხარის სასარგებლოდ და თითოეულის რისკით, ასე რომ, სხვა რაიმე მიზეზით შეუსრულებლობისას დამპირებელს შეუძლია, დაეყრდნოს ამ უკანასკნელ დარღვევის საფუძველს.⁸⁹

ვალდებულების მოსალოდნელი უარყოფის შემთხვევა, როცა კეთილსინდისიერ მხარეს უფლება აქვს, შესრულების ვადის დადგომამდე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, დეტალურდაა განხილული⁹⁰ საერთო სამართლის სისტემაში. საქმეში – *Ford v. Tiley*⁹¹ – მხარემ იტვირთა ვალდებულება, კონკრეტული პირისათვის კონკრეტული დღიდან განსაზღვრული ვადით ლიზინგით გადაეცა ნივთი, და შემდეგ, მოცემული ვალდებულების შესრულების დღის დადგომამდე, სხვა პირს გადასცა იმავე პირობებითა და იმავე ვადით საგანი. მხარემ, ფაქტობრივად და აშკარად, შესრულების ვადის დადგომამდე თავისივე ქცევით შეუძლებელი გახადა აღნიშნული ვალდებულების ჯეროვანი – დათქმულ დროსა და დათქმული ვადით – განხორციელება, რაც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. უნდა ითქვას, რომ ვალდებულების დარღვევის დასაფუძნებლად აუცილებელი არ არის, შეუძლებლობის ვითარება შესრულების ვადის დადგომის დღემდე გაგრძელდეს. სხვაგვარად, მართალია, მხარეთა შეთანხმებით ნივთით სარგებლობის ვადა შესაძლოა შემცირდეს კიდევ, ვალდებულება დარღვეულია იმ მომენტიდან, როცა მხარე, თავისი განცხადებითა თუ ქცევით, ნათელს ხდის, რომ განზრახული არ აქვს, შეასრულოს ვალდებულება.⁹² აღნიშნულ სამართლებრივ გადაწყვეტას ლოგიკური ახსნა აქვს. ხელშეკრულების დადებიდან შესრულების ვადის დადგომამდე დროის მონაკვეთში მხარეებს შორის ნდობითი ურთიერთობა მყარდება, კერძოდ, თითოეული გულისხმობს, რომ მომავალში არცერთი მათგანი არ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც დათქმული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეუსაბამო იქნება. საქმეში – *Elderton v. Emmens*⁹³ – სასამართლომ თქვა: თუკი მოცემულ შემთხვევაში კეთილსინდისიერ მხარეს სამართლებრივი დაცვის საშუალება არ მიენიჭება, აღმოჩნდება, რომ შესრულების ვადის დადგომამდე კეთილსინდისიერი მხარე ვალდებული რჩება თავის ნაწილში, რაც განსახილველ შემთხვევაში ნიშნავს, კონკრეტული ნივთით სარგებლობის მსურველმა კრედიტორმა სხვაგან არ ეძიოს დაკმაყოფილება. სულ მცირე, უცნაურია, მიემხრო პოზიციას, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების უარყოფის შემდეგ მოვალეს უნდა მიეცეს საშუალება, „გადაიფიქროს“. შესრულების ვადის დადგომამდე შეუსრულებლობა მხოლოდ განსაზღვრული ფორმით შეიძლება არსებობდეს. ინგლისური დოქტრინის მიხედვით, მოსალოდნელი დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი – როცა მოვალე თავისი ქცევით ან განცხადებით უარს ამბობს შესრულებაზე და როცა ის თავისივე ქცევით შეუძლებელს ხდის მას. ეს ის შემთხვევებია, როცა აშკარაა არსებითი შეუსრულებლობის დადგომა მომავალში. ფაქტობრივად, ამით ინგლისური სამართალი ზღუდავს შეუსრულებლობის სპექტრს შესრულების ვადის დადგომამდე ხელშეკრულებიდან გასვლისათვის, რაც გერმანული „აშკარა პროგნოზის“ პროტოტიპად შეიძლება იყოს მიჩნეული.

⁸⁹ *Anson, D.C.L., Principles of the English Law of Contract and of Agency in its Relation to Contract*, 9th ed., Oxford, London and New York, 1899, 304-316.

⁹⁰ *Reimann/Zimmermann, eds., The Oxford Handbook of Comparative Law, Farnsworth, Comparative Contract Law, Part III*, Oxford University Press, New York, 2006 925.

⁹¹ *TreiTel, The Law of Contract*, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 769-771.

⁹² *Anson, D.C.L., Principles of the English Law of Contract and of Agency in its Relation to Contract*, 9th ed., Oxford, London and New York, 1899, 304-316.

⁹³ *Gringer v. The Eastern Garage, LTD.* 439-D. C. Colombo, 26,503. Contract of Service-Engagement of Services for Three Years-Sufficient Notice- Damages in Lieu of Notice-Assessment of Damage, available at http://www.lawnet.lk/docs/case_law/nlr/common/html/NLR32V281.htm (12.01.08).

ერთი შეხედვით, გაუგებარია, ხელშეკრულებიდან გასვლის რომელ წინაპირობებს უთითებს გსკ-ის 323-ე IV პარაგრაფი მოსალოდნელი დარღვევის სპეციფიკის გათვალისწინებით. არსებითი შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად გამოკვეთილი არ არის არც მოსალოდნელი დარღვევის დროს,⁹⁴ ხოლო დამატებითი ვადის სამართლებრივი ინსტრუმენტი საერთოდ მოკლებულია სამართლებრივ აზრს მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევაში. ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობითი ხასიათი აქ სხვაგვარია. კერძოდ, იგულისხმება, რომ დამატებითი ვადის უშედეგობა იმთავითვე ცხადია, რაც არსებით შეუსრულებლობას და ეს უკანასკნელი კი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას აფუძნებს. ამ კონტექსტში ფუნქციურად მნიშვნელოვანია შესრულების გარანტიის წარმოდგენის ინსტიტუტი, რომელსაც ფულად ვალდებულებებთან მიმართებით გერმანული კოდექსიც ცნობს. გსკ-ის 321-ე II პარაგრაფის თანახმად, თუკი მოვალის გადახდის უნარობა აშკარაა შესრულების ვადის დადგომამდე, კრედიტორი ვალდებულია, შესრულების გარანტიის წარმოსადგენად გონივრული ვადა მისცეს მოვალეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

სსკ-ის 405-ე IV მუხლი მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევას ცალკე გამოყოფს და განმარტავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ აშკარაა, რომ შეიქმნება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი, და რა ქმნის მას? გერმანულის მსგავსად, ქართული კოდექსი არ ცნობს არსებით შეუსრულებლობას ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელ წინაპირობად, შესაბამისად, დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულება, იგივე დამატებითი შესრულების მოთხოვნა, ერთგვარად აკომპენსირებს აღნიშნულს და შეუსრულებლობას არსებითს ხდის. ასე რომ, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, რომელიც არ გამოსწორდება არც დამატებით დროში. თუკი ამ ფორმულირებას ამგვარად განვავრცობთ, მაშინ გამოდის, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება შეუსრულებლობა, რომელიც არ გამოსწორდება არც დამატებით დადგენილ დროში. როგორ მოწმდება, ნამდვილად დადგება თუ არა ასეთი შეუსრულებლობა? რა დამცავი მექანიზმებია მოვალის მხარეს? სსკ-ის 405-ე III მუხლი შესაგებლის წარდგენის უფლებას ანიჭებს მოვალეს, თუმცა რამდენად შესაძლებელია, მოვალემ შესაგებელი წარუდგინოს კრედიტორს მოსალოდნელი დარღვევის დროს? ამასთან, შეზღუდვითი განმარტებით, შესაგებელი მხოლოდ მოთხოვნის უფლებაა, მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევაში ის კარგავს თავის სამართლებრივ დატვირთვას, რადგან, როგორც წესი, ასეთ დროს მოვალის ინტერესია, დაამტკიცოს, რომ სურს და შეუძლია, განახორციელოს შესრულება, რაც თავისი შინაარსით, ცხადია, განსხვავდება უფლებამოსილებისაგან, წარადგინოს საპირისპირო მოთხოვნა კრედიტორის წინაშე. ქართული სამართალი მოვალის შესრულების სახელშეკრულებო ინტერესს არავითარ ბერკეტს არ უტოვებს. ქართული კოდექსი მხოლოდ ერთგან ახსენებს შეპირებული უზრუნველყოფის შემცირებასა თუ არწარმოდგენას, როცა შეეხება კრედიტორის უფლებამოსილებას, ვადის დადგომამდე მოითხოვოს შესრულება. ამდენად, ქართულ სამართლებრივ მოწესრიგებაში არ არსებობს შესრულების გარანტიის წარმოდგენის ინსტიტუტი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სწორედ მოსალოდნელი დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლის დროს.

ეს ინსტიტუტი ცნობილია როგორც პრინციპების, ისე კონვენციისათვის. კონვენციის 72-ე II მუხლი პირდაპირ უთითებს მასზე და განმარტავს, რომ, თუკი დრო ამის საშუალებას იძლევა, კრედიტორმა გონივრული ვადა უნდა მისცეს მოვალეს, რათა ამ უკანასკნელმა შესრულების

⁹⁴ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 430-431.

გარანტია წარმოუდგინოს მას. მხოლოდ მაშინ, როცა დროს განსაზღვრული მაორიენტირებელი მნიშვნელობა აქვს, კრედიტორი უფლებამოსილი ხდება, დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან საფუძვლიანი ეჭვის გამო, რაც გამოკვეთს კონვენციის კომპრომისულ ხასიათს. აღსანიშნავია ისიც, რომ კრედიტორის ეს ვალდებულება ქარწყლდება, როცა მოვალე აშკარად უარს აცხადებს თავისი ვალდებულების შესრულებაზე – 72-ე III მუხლი. ამ მხრივ, პრინციპები უფრო მკაცრ პოზიციაზე დგას, მისი 8:105-ე მუხლი მთლიანად შესრულების გარანტიის ინსტიტუტს ეხება. ამ მუხლის ანალიზიდან ჩანს, რომ კრედიტორი უპირობოდ ვალდებულია, შესრულების გარანტიის წარმოდგენა სთხოვოს მოვალეს და განსაზღვრული დრო მისცეს მას ამისთვის.⁹⁵ შესრულების გარანტია აქ ერთგვარი დამატებითი ვადის პროტოტიპია მოსალოდნელი დარღვევის ამ სპეციფიკურ სიტუაციაში.

ფრანგულ სამოქალაქო სამართალში არ არსებობს დოქტრინა მოსალოდნელი დარღვევის თაობაზე. ფაქტი იმისა, რომ მოვალემ უარი თქვა შესრულებაზე ან თავისივე ქცევით შეუძლებელი გახადა იგი, მხოლოდ შესრულების ვადის დადგომის შემდეგ იძენს მნიშვნელობას.⁹⁶ როგორც ჩანს, ეს მხედველობაში იქნება მიღებული სასამართლოს მიერ იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად შეიძლება დაფუძნდეს ხელშეკრულებიდან გასვლა მოცემულ შემთხვევაში. ნსკ-ის მე-80 მუხლი განმარტავს, რომ სათანადო სარჩელის წარდგენამდე შეუსრულებლობისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი მხოლოდ სამ შემთხვევაში დგება: 1) აშკარაა, შესრულება შეუძლებელი იქნება; 2) თუკი კრედიტორი მოვალის შეტყობინების მიხედვით უფლებამოსილია, დაასკვნას, რომ ეს უკანასკნელი არ შეასრულებს ვალდებულებას; 3) თუკი კრედიტორს საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ მოვალე არ განახორციელებს შესრულების ვალდებულებას და იგი არ პასუხობს კრედიტორის წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს კრედიტორის ეჭვის ყველა საფუძვლიანი მიზეზი და მოთხოვნა – მოვალემ დაადასტუროს თავისი მზადყოფნა, შეასრულოს ვალდებულება გაფრთხილებაში მითითებულ გონივრულ ვადაში. აღნიშნული ფორმულირება, ამომწურავიც და ლაკონიურიც, იმ აშკარა მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევებსაც მოიცავს, როდესაც შეუძლებლობა ან ვალდებულების აშკარა უარყოფა იკვეთება და შემთხვევასაც, როცა მხოლოდ კრედიტორს აქვს ამის საფუძვლიანი ეჭვი.⁹⁷

2. ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში

მოცემულ თავში განხილულია მოვალის მიერ ვადის გადაცილების, როგორც შეუსრულებლობის ერთ-ერთი სახის, სპეციფიკა. კერძოდ, ვადის გადაცილების ცნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ქართულ კოდექსში და ასევე მოვალისთვის სათანადო გაფრთხილებისა თუ დამატებითი ვადის მიცემის ისტორიული წინაპირობები.

2.1 მოვალის მიერ ვადის გადაცილების ცნების ხარვეზი ქართულ კოდექსში

სსკ-ის შესაბამისი ნაწილი (კარი III, თავი 2) მთლიანად ეძღვნება შეუსრულებლობის ისეთ სახეს, როგორცაა მოვალის მიერ ვადის გადაცილება. შეიძლება ითქვას, ეს შეუსრულებლობის ყველაზე ძირითადი შემთხვევაა. სსკ-ის მე-400 მუხლი განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს

⁹⁵ The Principles of European Contract Law-Parts I and II Revised 1998, Part III-2002, available at www.lexmercatoria.org. (08.12.07).

⁹⁶ Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 780-781.

⁹⁷ New Netherlands Civil Code-Patrimonial Law, Translated by P.P.C. Haanappel and Ejan Mackaay, Under the Auspices of the Ministry of Justice of the Netherlands, Quebec Centre of Private and Comparative Law, Kluwer Law and Taxation Publishers, Boston.

მოვალის მიერ ვადის გადაცილება. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვადის გადაცილებად ითვლება შემთხვევა, როცა შესრულების ვადის დადგომისას კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. ეს უკანასკნელი დებულება თავისი სამართლებრივი დატვირთვით გაუგებარია.

საკითხი დგას შემდეგნაირად – როდის აცილებს მოვალე შესრულების ვადას, ანუ რა მომენტიდან ფუძნდება შეუსრულებლობის დამთავრებული შემადგენლობა. ვალდებულება დარღვეულია იმ მომენტიდან, როცა შესრულების დროისათვის შესრულება არ განხორციელებულა. შესრულების დროის დადგომისათვის უმოქმედობა ვალდებულების შეუსრულებლობაა, რის შემდეგაც აბსოლუტურად განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში ექცევა სახელშეკრულებო ურთიერთობა. ხოლო მოვალისათვის გაფრთხილებისა თუ დამატებითი ვადის მიცემა დარღვევის შემდგომი ეტაპია, როცა კრედიტორი პირველად მეორად მოთხოვნის უფლებას მიმართავს, რასაც ხსენებული მუხლი არ შეიძლება ეხებოდეს. ერთადერთი შესაძლო გამართლება, რაც ამ ფორმულირებას შეიძლება ჰქონდეს, ესაა მისი გაგება 365-ე მუხლთან კავშირში, კერძოდ, როცა კრედიტორი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესრულება. ამრიგად, მე-400 II მუხლი შესაძლოა, ამგვარ სამართლებრივ კონსტრუქციას შეიცავდეს: იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის, კრედიტორი შესრულებას სთხოვს მოვალეს და შესაბამის გაფრთხილებას აძლევს მას. ასეთ დროს გაფრთხილების მიცემა მართლაც პირველად მოთხოვნის უფლებასთან არის კავშირში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი ფორმულირება არასწორია, რადგან ამ დროს კრედიტორის მიერ გაფრთხილების მიცემა შესრულების ვადის დადგომის მომენტი, მაშინ როდესაც ზემოაღნიშნული ნაწილი გულისხმობს, რომ შესრულების ვადა უკვე დამდგარია და მას საწყის ნერტილად იღებს. გამართული ფორმულირება იქნებოდა: თუკი შესრულებისათვის ვადა განსაზღვრული არ არის, მოვალის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, როცა კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნის (შემცველი გაფრთხილების) შემდეგაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას.

ასევე განსახილველია სსკ-ის 401-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, შეიძლება ითქვას, რომ არაბრალეული შეუსრულებლობა არ არის ვალდებულების დარღვევა და, შესაბამისად, არ განაპირობებს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას. ფაქტობრივად, ეს ამერიკული ტენდენციის გამოკვეთაა, თუმცა, სავარაუდოდ, არაგააზრებულის. გერმანიაში განხორციელებული რეფორმის შემდგომ ქართული სამართლებრივი მოწესრიგება ამ თვალსაზრისითაც დაშორდა თავის ანალოგს, კერძოდ, გერმანული სამართლის მიხედვით, ხელშეკრულების დარღვევა განსაზღვრულია როგორც შეუსრულებლობა, ობიექტური გაგებით.⁹⁸ თუ შესრულება არ მოხდა, ითვლება, რომ მხარემ დაარღვია ხელშეკრულება, თუნდაც შესრულება შეუძლებელი იყოს დაუძლეველი ძალის შედეგად. შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევას უთანაბრდება, რაც, თავის მხრივ, ხელმისაწვდომს ხდის მეორად მოთხოვნის უფლებათა მთელ სპექტრს. სხვაგვარად, მოვალის ბრალზე აღარ არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა სახეზე თავისი შემდგომი სამართლებრივი შედეგით. ანგლოამერიკული სამართლის ტენდენციით კი: აქ გამიჯნულია შეუსრულებლობა, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა შეუსრულებლობისგან, რომელიც არაბრალეულია და, შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის შემადგენლობას არ ქმნის.⁹⁹ იმ შემთხვევაში, როცა შეუსრულებლობა

⁹⁸ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 386-387.

⁹⁹ *TreiTel*, *The Law of Contract*, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 674-677.

იმავდროულად ვალდებულების დარღვევაცაა, ხელმისაწვდომი პირველადი მეორადი მოთხოვნის უფლებებია შესრულების მოთხოვნა და ზიანის ანაზღაურება, ხოლო როდესაც შეუსრულებლობა არაბრალეულია და საპატიო, უპირატეს მეორად მოთხოვნის უფლებად ხელშეკრულებაზე უარის თქმა ხდება. ამასთან, ინგლისში საპატიო შეუსრულებლობის ისეთ შემთხვევასაც გამოყოფენ, რომელიც ხელშეკრულების მიზნის ხელყოფის დოქტრინის ქვეშ თავსდება, როცა ხელშეკრულება ავტომატურად წყდება – ეს, ფაქტობრივად, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის შემთხვევაა. თუმცადა, საკვლევ საკითხთა ქრონოლოგია იმგვარია, რომ ეს განსხვავებული მიდგომები ერთ პრაქტიკულ შედეგთან ასოცირდება. კერძოდ, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში ვალდებულების შეუსრულებლობა იმთავითვე აფუძნებს ხელშეკრულების დარღვევის პრეზუმფციას და შემდეგ იხილება საკითხი, უნდა გათავისუფლდეს თუ არა მოვალე სახელშეკრულებო პაუზისმგებლობისგან ზიანის ანაზღაურების სახით. ამრიგად, სამართლის ორივე სისტემაში შეუსრულებლობა, მათ შორის შეუძლებლობა, ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას აფუძნებს, მოვალის ბრალის მიუხედავად. სსკ-ის 401-ე მუხლი კი, რომელიც განმარტავს, რომ მოვალის არაბრალეული შეუსრულებლობა არ განაპირობებს მოვალის მიერ ვადის გადაცილებას სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის სახით, ფაქტობრივად ხელმიუწვდომელს ხდის მეორად მოთხოვნის უფლებებთან მიმართებას. თუკი მივმართავთ ნორმის ტელეოლოგიურ განმარტებას და მოცემული სამართლის ნორმის მიზნის დადგენას შევეცდებით, შეფასება ასეთი იქნება: როდესაც შეუსრულებლობა მოვალის ბრალით გამოწვეული არ არის, ის თავისუფლდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუმცა შეუსრულებლობა (ვალდებულების დარღვევა) სახეზეა. ქართული კოდექსი ამ შემთხვევაში ვერ ასხვავებს შეუსრულებლობას შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისგან. სამართლის ნორმის აღნიშნულ მიზანს გამოკვეთს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებაც,¹⁰⁰ რომელიც ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 401-ე მუხლის გამოყენების სისწორეს. მსჯელობაში სასამართლო მიუთითებს, რომ, განსახილველი მუხლის თანახმად, მოვალის პასუხისმგებლობა გამორიცხულია ისეთი ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას. ამ საქმეში ასეთი ობიექტური გარემოება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა იყო. მეორე ხარვეზი – მუხლის ფორმულირებით ვადა გადაცილებულად არ ითვლება, თუ ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ასეთი შეიძლება იყოს როგორც შემთხვევა, როცა შეუსრულებლობა კრედიტორის ბრალითაა გამოწვეული, ისე შემთხვევა, როცა შეუსრულებლობა ობიექტურად შეუძლებელია, განსაზღვრულ გარემოებათა გამო. ვინაიდან 405-ე III(გ) მუხლი მოიცავს პირველ შემთხვევას, სავარაუდოა, რომ 401-ე მუხლი შესრულების დათქმულ ვადაში განხორციელების ობიექტურ შეუძლებლობაზე მიუთითებს, ამაზე მეტყველებს მუხლის სათაურიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მუხლის შინაარსი ამ თვალსაზრისითაც გაუმართავია, ის ასახელებს არა კონკრეტულად შეუძლებლობის შემთხვევას, არამედ განზოგადებულს – ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

და ბოლოს, შეუსრულებლობის ცალკე კატეგორია – შეუძლებლობა მოცემულია შეუსრულებლობის სხვა, ვადის გადაცილების, კატეგორიაში. როდესაც მოვალემ ვადას გადააცილა, რადგან შესრულება დადგენილ დროში ობიექტურად შეუძლებელი იყო,

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება (02.03.2006წ) ას-853-1122-05. http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1 (15.02.2008).

შეუძლებელი იქნება შესრულება შემდგომაც. შესაბამისად, შეუსრულებლობას აფუძნებს არა ვადის გადაცილება, არამედ შესრულების შეუძლებლობა. შეუძლებლობის, როგორც შეუსრულებლობის ცალკე კატეგორიის, საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

2.2 რომაული „ინტერპელაციის“ მნიშვნელობა მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას

რომაული სამართლის მიხედვით, მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობებია: ვადამოსული ვალდებულების არსებობა – შესრულების ვადის დადგომა, მაგრამ ზუსტად არ შეიძლება ითქვას, კლასიკური რომაული სამართალი რა მნიშვნელობას ანიჭებდა ასეთ დროს მოვალის ბრალს და კრედიტორის მიერ შესრულების ვადის დადგომის შესახებ სათანადო შეტყობინებას.¹⁰¹ კლასიკურ სამართალში მოვალის ბრალი გამოიკველოდა – ის დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ან თვითონ შესრულების დაგვიანების ფაქტთან, ან იმ გარემოებასთან, რომელმაც შესრულების შეუძლებლობა განაპირობა, ანუ ბრალზე იყო დამოკიდებული, მოვალის მიერ ვადის გადაცილება რამდენად მიიჩნეოდა ხელშეკრულების დარღვევად. ამასთან, სასამართლო მხოლოდ ამ კრიტერიუმით არ საზღვრავდა ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხს, იგი ფოკუსირდებოდა აგრეთვე მოვალის პიროვნებაზე, ამ შემთხვევაში, იცოდა თუ არა მან, რომ შესრულების ვადა დამდგარი იყო. მაგრამ როგორ შეიძლება, ადამიანი დარწმუნებულიყო, რომ მოვალემ იცოდა შესრულების ვადამოსულობის შესახებ. ყველაზე მიზანშეწონილ გადაწყვეტად მიჩნეულ იქნა სპეციალური გაფრთხილების¹⁰² მიცემა. ასეთი გაფრთხილება საშუალებას აძლევდა მოვალეს, სცოდნოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ეს იმდენად მოსახერხებელი გადაწყვეტა იყო, მოვალეს ეკისრა პასუხისმგებლობა ვადის გადაცილებისთვის, რომ ტერმინები: „გაფრთხილება“ და „ვადის გადაცილება“ თითქმის სინონიმებად გამოიყენებოდა.¹⁰³ ისინი ისე უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, რომ აღარც ხდებოდა სპეციალური მიმართება ბრალის კრიტერიუმზე. ითვლებოდა, რომ, თუკი მოვალემ მიიღო გაფრთხილება, შეუსრულებლობა, როგორც წესი, მისი ბრალია; მეორე მხრივ, სპეციალური გაფრთხილება – ინტერპელაციო არ იყო ერთადერთი მოთხოვნა შემთხვევის შესრულების დაგვიანებად დაკვალიფიცირებისათვის. ის იყო მნიშვნელოვანი ინდიკაცია ამისა, მაგრამ არა ძირითადი წინაპირობა შეუსრულებლობის დასაფუძნებლად. თითოეული საქმის გარემოებები სათანადოდ უნდა გამოკვლეულიყო, ანუ მოსამართლე თვითონ წყვეტდა, რამდენად საჭირო იყო სპეციალური გაფრთხილება, რათა მოვალე შესრულების ვადის დადგომის შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო და, შესაბამისად, ვადის გადაცილება, როგორც ასეთი, დაფუძნებულიყო. შესრულების დაგვიანების ყველა შედეგი მიეწერებოდა დებიტორს.

ვადის გადაცილების შემადგენლობის ელემენტები ასეთია: ობიექტური – არ მოხდა შესრულება და სუბიექტური – მოვალე ინფორმირებულია შესრულების ვადის დადგომის შესახებ კრედიტორის სპეციალური გაფრთხილებით. *ius komunes* პერიოდში განსაკუთრებული მითითება ხდება ბრალზე ისე, რომ მხოლოდ ბრალეული დაგვიანება ითვლება ვადის გადაცილებად. ამასთან, ივარაუდება, რომ ბრალი არსებობს, თუკი ყველა სხვა დანარჩენი წინაპირობა სახეზეა. უმეტესად, ამ პერიოდში ავტორები იხილავენ ბრალის გამომრიცხავ გარემოებებს; მაგალითად, როცა მოვალემ არ იცოდა თავისი ვალდებულების შესახებ

¹⁰¹ *Zimmermann*, The Law of Obligations-Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Oxford University Press, Clarendon, 1996, 783-800.

¹⁰² „Interpellatio“ in: *Zimmermann*, The Law of Obligations-Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Oxford University Press, 1996, 792.

¹⁰³ იქვე, 793-795.

(ვთქვათ, მემკვიდრეობა მიიღო), ან ძნელი აღმოჩნდა დაედგინა, ვინ იყო კრედიტორი; ან, ვთქვათ, კრედიტორი მცირენლოვანია და მას მეურვე არ ჰყავს დანიშნული.

3. ხელშეკრულებიდან გასვლა ნაკლიანი შესრულების დროს

ამ თავში განხილულია ნაკლიან შესრულებასთან დაკავშირებული სპეციფიკა. ასეთ შემთხვევაში დამატებითი შესრულება განსაკუთრებულ სამართლებრივ დატვირთვას იძენს ვალდებულების დარღვევის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამიტომ ცალკეა გამოყოფილი ხელშეკრულებიდან გასვლის პრიორიტეტულობის საკითხი, ასევე ცალკე მსჯელობის საგანია ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება, რომელიც მეტად ემსგავსება ნაკლიან შესრულებას, მით უფრო, როცა შესრულების ნაკლს რაოდენობრიობა განაპირობებს. ამ მიჯნაზე კი ხელშეკრულებიდან გასვლა განსაზღვრული სპეციფიკით ხასიათდება.

3.1 ხელშეკრულებიდან გასვლის პრიორიტეტულობა ნაკლიანი შესრულებისას

ხელშეკრულების შეუსაბამო, ნაკლიანი შესრულება შეუსრულებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა. გსკ-ის მიხედვით, ნაკლიანი შესრულება შეუსრულებლობის ერთადერთი სახეა, რომლისთვისაც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად ცალსახად განსაზღვრულია ვალდებულების დარღვევის სერიოზულობა ისე, რომ დამატებითი ვადა ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნულ მატრანსფორმირებელ ფუნქციას არ ასრულებს. აღნიშნული ასახულია კოდექსის 323-ე V (2) პარაგრაფში. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკლიანი შესრულება, რომელიც თავისი ხასიათით უმნიშვნელოა, არ გადაიქცევა არსებითად დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. სსკ არ თანხდება არც ამ შემთხვევაში რეფორმირებულ გერმანულ კოდექსს. ქართული კოდექსის 405-ე III (ა) მუხლი ზოგად დანაწესს შეიცავს იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. ესაა დანაწესი, რომელიც შეუსრულებლობის ყველა სახეზე ვრცელდება, რითაც ქართული კოდექსის მიხედვით, 405-ე I და 405-ე III (ა) მუხლების კომბინაციით, გართულებული მექანიზმია დადგენილი, კერძოდ, ვალდებულების დარღვევა მნიშვნელოვანი უნდა იყოს და დამატებით ვადაშიც არ გამოსწორდეს. შესაძლოა, აღნიშნული განსხვავება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდეს, მაგრამ გერმანული სამართალი უფრო მოქნილია თავისი სამართლებრივი მიდგომით და დამატებითი ვადის ფუნქცია უფრო გასაგებია მის სამართლებრივ კონსტრუქციაში.

გერმანული კოდექსი ცალკე, 437-ე, მუხლს უთმობს მყიდველის უფლებებს ნაკლიანი შესრულების დროს. ასეთ დროს მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება, ხელშეკრულებიდან გასვლა ან ფასის შემცირება. ქართული კოდექსი ნაკლიანი შესრულების მიმართ ასეთ განცალკევებულ სამართლებრივ რეჟიმს არ ითვალისწინებს. გსკ-ის 437-ე პარაგრაფი ნაკლის გამოსწორების ორ მეთოდს უთითებს: ნაკლის გამოსწორებას ინდივიდუალურად და უდეფექტო ნივთით შეცვლას. სსკ-ის 490-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს აღნიშნულ ნაკლის გამოსწორების საშუალებებს, მხოლოდ ლოგიკურად უკავშირებს მათ ცალკე ინდივიდუალურად და გვაროვნულად განსაზღვრულ ნივთებს. გერმანული პროტოტიპი ასეთ მინიშნებას არ შეიცავს, რაც სავსებით გამართლებულია მოვალისათვის შესაძლებლობების ფართო არჩევანის თვალსაზრისით, რომელიც ისევე მოვალის მიერ შეიძლება შეზღუდოს ამა თუ იმ ობიექტური ფაქტორით.¹⁰⁴

¹⁰⁴ § 439 III of the German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

ამას გარდა, გსკ-ის 440-ე პარაგრაფი ცალკე სპეციალური მუხლია ნაკლიანი შესრულების დროს ხელშეკრულებიდან გასვლისათვის. ასეთ დროს დამატებითი ვადის კონცეფციას სხვა, უფრო სპეციალური, გამონაკლისი აქვს. კერძოდ, დამატებითი ვადის დანიშვნის შესახებ მოთხოვნა ქარწყლდება, თუ გამყიდველი უარს აცხადებს ვალდებულების დარღვევის გამოსწორების ორივე შესაძლებლობაზე, ან თუ გამოსწორების მცდელობა ორჯერ უშედეგოდ დასრულდა, ან თუკი გონივრულია, არ მოელოდე გამყიდველისგან ნაკლის გამოსწორების ინიციატივას.

საინტერესოა ფრანგული სამართლის მიდგომა – აქ შეუსრულებლობის სერიოზული ხარისხი ცალკე კრიტერიუმად გამოკვეთილი არ არის, ვინაიდან იგი სასამართლო დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, არც ამ შემთხვევაშია ეს კრიტერიუმი სახელდებული კოდექსის შესაბამის მუხლებში. ფსკ-ის 1641-ე მუხლი შეიცავს ე.წ. საგარანტიო პასუხისმგებლობის პრინციპს ნივთის ფარული ნაკლისათვის. აღნიშნული პრინციპი გამიზნულია შემთხვევისათვის, როცა მყიდველმა ნივთი უკვე მიიღო, მაგრამ მოგვიანებით აღმოაჩნდა ფარული ნაკლი. კოდექსი ნაკლიანი შესრულების სამართლებრივ მონესრიგებაში ცალკე გამოყოფს ნივთის მიღების მომენტს და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს უკავშირებს მას. კერძოდ, საქონლის მიღებამდე მყიდველი უფლებამოსილია, მიმართოს მეორად მოთხოვნის უფლებათა მთელ სპექტრს, მათ შორის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის მეორად მოთხოვნის უფლებას, საქონლის მიღების შემდეგ კი მყიდველი საგარანტიო პასუხისმგებლობის პრინციპს ეყრდნობა.¹⁰⁵ საქონლის მიღების შემდეგ შეიძლება გამოყენებული იყოს ხელშეკრულების გაუქმებისა და ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებები. გამოდის, რომ საქონლის მიღებამდე მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის, ხოლო საქონლის მიღების შემდეგ ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს. აღნიშნული განსხვავება თვითონ სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს: ერთ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევა, მეორე შემთხვევაში – საგარანტიო პასუხისმგებლობა; ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებები განსხვავებული სამართლებრივი კატეგორიებია. მათ შორის ერთი ძირითადი განსხვავება ასეთია: საგარანტიო პასუხისმგებლობა მყიდველის არჩევანის თავისუფლებას ითვალისწინებს, ანუ მყიდველი თავისუფალია ხელშეკრულების გაუქმებისა თუ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებების შერჩევისას და მისი არჩევანი არ არის დამოკიდებული დეფექტის სერიოზულობასა თუ სასამართლოს შეფასებაზე. თუმცა თვითონ საგარანტიო პასუხისმგებლობა გამოიყენება მხოლოდ იმ დეფექტების მიმართ, რომლებიც გაყიდულ ნივთს ფაქტობრივად გამოუსადეგარს ხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის, ისე, რომ მყიდველს თუ ეცოდინებოდა ნაკლის შესახებ, საერთოდ არ იყიდდა ნივთს ან იყიდდა მას დაბალ ფასად.¹⁰⁶

სსკ-ის 491-ე მუხლის თანახმად, მყიდველს შეუძლია, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით. ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ტერმინოლოგიურად გამიჯვნის პრობლემა ნითელ ხაზად გასდევს მთელ კოდექსს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 491-ე მუხლი. ასევე გაუგებარია მიმართება 352-ე მუხლთან, რომელიც უპირატესად ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებზეა ორიენტირებული. მართებული იქნებოდა ბლანკეტური მითითება როგორც 352-ე, ისე 405-ე მუხლებზე.

საქონლის ნასყიდობის შესახებ 1979 წლის კანონის მე-13 და მე-15 მუხლების მიხედვით, ნებისმიერი ხელშეკრულება შეიცავს ნაგულისხმევ პირობას, რომ საქონელი უნდა

¹⁰⁵ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., *Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 756-760.

¹⁰⁶ იქვე, 756-757.

შეესაბამებოდეს აღწერილობასა თუ შეთანხმებულ ნიმუშს.¹⁰⁷ მე-14 მუხლი ასევე შეიცავს მითითებას, რომ საქონელი უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი ხარისხისა და შეთანხმებული მიზნისათვის გამოსადეგი.¹⁰⁸ ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ასახელებს სტატუტი კონკრეტულ სახელშეკრულებო პირობებს არსებითად ისე, რომ ეს პირობები იმთავითვე ნაგულისხმევია ხელშეკრულების შინაარსში, მხარეთა შეთანხმების მიუხედავად. ინგლისური სამართლის მიხედვით, მყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას საქონლის მიღებაზე როგორც შესრულების ვადის ამონურვამდე, ისე მის შემდეგ. შესრულების ვადის ამონურვამდე მოვალე უფლებამოსილია, გამოასწოროს ნაკლი ავტომატურ რეჟიმში, რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველი არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ხელშეკრულებით დათქმული ვადის გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულების დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამკარაა, ის არ გამოასწორდება. შესრულების ვადის უშედეგოდ გასვლა მყიდველს უფლებას აძლევს, დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია მხარე ვალდებული, წინასწარ გააფრთხილოს მოვალე.

სწიკ-ის მე-15(ა) მუხლი, რომელიც შეეხება არსებითი პირობის დარღვევისას მეორად მოთხოვნის უფლებათა მოდიფიცირებას არასამომხმარებლო ხელშეკრულების შემთხვევაში, განმარტავს, რომ, თუკი შესრულების ნაკლი უმნიშვნელოა, დარღვევა მიიჩნევა არა არსებით, არამედ მეორეხარისხოვან პირობის დარღვევად,¹⁰⁹ რომლის დროსაც მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაა შესაძლებელი. ამავე მუხლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მოვალეზეა. აქ შეიძლება პარალელის გავლება გერმანული კოდექსის 323-ე V პარაგრაფთან, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ სერიოზული ნაკლის დროს. ქართულ კოდექსში იგივე შედეგია მიღწეული 405-ე III(ბ) და 491-ე მუხლების კომბინაციით. აღსანიშნავია, რომ ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში მყიდველის უფლება, უარი თქვას საქონლის მიღებაზე, ცალკე მეორად მოთხოვნის უფლებად განიხილება. აესკ-ის 2:601-ე მუხლი მთლიანად ეძღვნება არასათანადო მიწოდებისას მყიდველის უფლებებს.¹¹⁰ მის 2:602(3)-ე მუხლში წარმოდგენილია განსხვავება ნაკლიანი საქონლის მიღებაზე კანონიერ და უკანონო უარის თქმათა შორის, ამასთან, მყიდველის მიერ საქონლის მიღებაზე უკანონოდ უარის თქმა, თავის მხრივ, მყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევად ითვლება. ძალიან საინტერესოა ამერიკული კოდექსის დეტალური რეგლამენტაცია ნაკლიანი შესრულებისას მყიდველის მოვალეობებთან მიმართებით, მაშინ, როდესაც გერმანული სამართალი უფრო მეტად მის უფლებებს განიხილავს. ცხადია ანალოგიურია მდგომარეობა ქართულ კოდექსში. მაგალითად, ამერიკულ კოდექსში გამოკვეთილია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დაკარგვის უფრო მეტი სამართლებრივი საფუძველი, ერთ-ერთია მყიდველის ვალდებულება, საქონლის მიღებაზე უარის თქმისას მიუთითოს კონკრეტული ნაკლი, მით უფრო, თუ ამ შემთხვევაში გამყიდველს შესაძლებლობა ექნება, გამოასწოროს ნაკლი, ან თუ მხარეები მენარმენი არიან და გამყიდველმა წერილობით სთხოვა მყიდველს, ჩამოეყალიბებინა შესრულების მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. ქართულ კოდექსში ამდაგვარი მუხლი არ მოიძებნება, ანუ მყიდველის ვალდებულება – დროულად და დეტალურად დაუსახელოს მოვალეს შესრულების ნაკლი. ერთადერთი შემთხვევა, როცა

¹⁰⁷ იქვე, 758-759.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ Sale of Goods Act - 1979 - This Act is Reproduced with Amendments as at 1st October 2003. Crown Copyright Material is Reproduced with the Permission of the Controller of HMSO and the Queen's Printer for Scotland.

¹¹⁰ *Burton*, Contract Law: Selected Source Materials, West Publishing Co., ST. Paul, Minn., 1995, 136.

მყიდველი ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას კარგავს, ესაა, როცა მან იცის ნივთის ნაკლის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს, ან თუკი მყიდველი მენარმეა და ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში არ წარუდგენს მოვალეს თავის პრეტენზიას. რაც შეეხება პირველ დანაწესს, გაუგებარია, რას ნიშნავს, იცოდე ნივთის ნაკლის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში; მაშინ გამოდის, რომ შეთანხმება იდება დეფექტურ, ნაკლის მქონე საქონელზე. აქ, ტელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ ნივთის ნაკლის ცოდნა საქონლის მიღების დროს. რაც შეეხება მეორე დანაწესს, გამოდის, რომ არამენარმე მყიდველი, თუნდაც ნაკლის შესახებ შეტყობიდან გონივრულ ვადაში არ წარუდგინოს გამყიდველს პრეტენზია, უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე.

ჭუბერი ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლებას ხელშეკრულებიდან გასვლის შემზღუდავ სამართლებრივ კატეგორიად ასახელებს. ერთი მხრივ, ეს მნიშვნელოვნად უკავშირდება დამატებითი ვადის კონცეფციას, მაგრამ მეორე მხრივ, საკითხი სხვაგვარად დგას. აქ უკვე ინიციატივა მოვალეს უფრო ეკუთვნის.¹¹¹ შეიძლება დავასკვნათ, რომ თუკი გერმანიაში შესრულების ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა მყიდველის პირველად მეორად მოთხოვნის უფლება და, შესაბამისად, ერთგვარი ვალდებულებაა (დამატებითი ვადის კონცეფციასთან კავშირში), ანგლოამერიკული სამართლით ეს უფრო გამყიდველის უფლებათა კატეგორიაშია, ამიტომაც არ არის აქ აქტუალური გამყიდველის მხრიდან ნაკლის გამოსწორებაზე უარის თქმის ინსტიტუტი, რაც ძირითადად ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგს გულისხმობს.

3.2 შესრულების მიღებაზე უარის თქმა – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება?

ნაკლიანი შესრულების სახით ვალდებულების შეუსრულებლობისას ერთი საინტერესო კითხვა ისმის – რამდენად შესაძლებელია, შესრულების მიღებაზე უარის თქმა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად იყოს განხილული, და თუკი ეს ასეა, რამდენად შესაძლებელია, შესრულების მიღებაზე უარის თქმას ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ცალსახა დატვირთვა ჰქონდეს? ანგლოამერიკული სამართლის სივრცე, ფაქტობრივად, სამართლებრივი დაცვის ცალკე საშუალებად მიიჩნევს მას. აესკ კი მიწოდებული საქონლის კანონიერად უარყოფის ცნებას იცნობს და ცალკე მუხლს უთმობს შესრულების მიღებაზე კანონიერად უარის თქმის წესსა და სამართლებრივ შედეგს, 2:602-ე მუხლის სახით. ამ მუხლითვეა განსაზღვრული უარყოფილი საქონლის მიმართ მყიდველის ვალდებულება, სათანადოდ შეინახოს საქონელი გამყიდველის ხარჯით. სნშკ-ის 35-ე II მუხლი ასევე ზუსტად უთითებს, თუ როდის ჩაითვლება საქონლის მფლობელობაში მიღება შესრულების მიღებად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. ასე რომ, შესრულების მიღების სამართლებრივი ეტაპი აქ ერთგვარ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად შეიძლება იყოს აღქმული, რაც არ შეიძლება ითქვას კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაზე, სადაც შესრულების მიღება მხარის თავდაპირველი შესრულების ვალდებულებაა. განსაკუთრებით საინტერესოა ასევე აესკ-ის 2:608-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, დასაშვებია აქცეპტის მთლიანად ან

¹¹¹ Huber, CISG-The Structure of remedies, Reproduced with Permission of 71 *Rebels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht* (January 2007) 13-34, Presentation at Seminar: "The Convention on the International Sale of Goods. The 25-th Anniversary: Its Impact in the Past; Its Role in the Future", German Society of Comparative Law, Private Law Division, Conference 2005 (22-24 September) Würzburg, Pace Law School Institute of International Commercial Law-Last updated June 19, 2007, 22.

ნაწილობრივ გამოხმობა-გამოწვევა. კერძოდ, მყიდველს უფლება აქვს, გამოითხოვოს თავისი აქცეპტი მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების მიმართ, თუკი მყიდველმა შესრულება მიიღო ორიდან ერთ-ერთი ამ პირობის დაცვით: 1) გონივრული ვარაუდით, რომ ნაკლიანი შესრულება გამოსწორებული იქნებოდა, და 2) არ აღმოუჩენია შესრულების შეუსაბამობა, რაც გამოიწვია ნაკლის აღმოჩენის სირთულემ ან გამყიდველის მიერ წარმოდგენილმა გარანტიებმა. ანუ, თუკი მყიდველს შეეძლო აღმოეჩინა ნაკლი, ის ვეღარ გამოითხოვს თავის შესრულების მიღებას. გამოხმობა უნდა განხორციელდეს გონივრულ დროში იმ მომენტიდან, როცა მყიდველი შეიტყობს აქცეპტის გამოთხოვის საფუძველს. უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, შესრულების მიღების სამართლებრივ ეტაპს მნიშვნელოვანი სამართლებრივი დატვირთვა აქვს, მაგალითად, მიღების შემდეგ საქონლის უარყოფა ან აქცეპტის გამოთხოვა განსაზღვრული, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, დაუშვებელია. კონტინენტურ ევროპაში, მეორად მოთხოვნის უფლებათა განხორციელების თვალსაზრისით, შესრულების მიღების ეტაპს ასეთი დატვირთვა არ აქვს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განიხილა საკითხი არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, სადაც შეეხო კიდევ შესრულების მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივ ბუნებას.¹¹²

სასამართლო მიწოდებული კირქვის მიღებაზე უარის თქმას განიხილავს როგორც ხელშეკრულების დარღვევას ან ვალდებულების შეუსრულებლობას. ქართული კოდექსის 477-ე მუხლიდანაც გამომდინარეობს, რომ ქართულ სამართლებრივ მოწესრიგებაში შესრულების მიღებაზე უარის თქმა ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობაა, მაშინ როდესაც ეს ასე ცალსახა არ არის ანგლოამერიკული სამართლებრივი სივრცისათვის. აქ მსჯელობა მიმდინარეობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, და ძიებაა პასუხზე, თუ რას შეადგენს შესრულების მიღებაზე უარის თქმა – ეს არის ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმის წინა ეტაპი თუ ვალდებულების დარღვევა?

გადაწყვეტილება, შესრულების მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, უთითებს უარყოფელი მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. „ხელშეკრულების შეწყვეტა“ არასწორი ტერმინია, რადგან კოდექსი ამომწურავად და უპირობოდ განსაზღვრავს ვალდებულებისა და, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს. ამიტომ აღნიშნული კონტექსტი გაგებელი უნდა იყოს ხელშეკრულებიდან გასვლის მნიშვნელობით, მაშინ შესრულების მიღებაზე უარის თქმის დატვირთვა აქ უკვე ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას უკავშირდება.

მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე გამოკვეთილი პოზიციისა, სასამართლო სხვაგვარად სვამს კითხვას და განმარტავს: უნდა გაირკვეს, შესრულების მიღებაზე უარის თქმისას ხდება ხელშეკრულების დარღვევა თუ ხელშეკრულებიდან გასვლა. სასამართლო აქვე ასე სვამს კითხვას: ორივე მხარემ ნებაყოფლობით თქვა თუ არა უარი ხელშეკრულებაზე? ამასთან, უთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია. საინტერესოა, რამდენად შეიძლება აქ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმი მოიაზროდეს. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც ცალმხრივად ხორციელდება მხარის მიერ, არ შეიძლება გაიგვიდეს შემთხვევასთან, როცა მხარეები ნებაყოფლობით უარს ამბობენ ხელშეკრულებაზე. შესაძლოა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის

¹¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება (20.01.2006წ.) ას-946-1203-05. http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1 (11.01.08).

სამართლებრივი ტერმინის გამოყენება მიზანშეწონილი იყოს სწორედ აღნიშნული შემთხვევის საიდენტიფიკაციოდ. მით უფრო, თუკი სასამართლოს განსხვავებული წესი შემოაქვს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაყენებას, ხოლო თუკი ეს სამართლებრივი კომბინაცია გამოირიცხვია ხელშეკრულებაზე ორივე მხარის მიერ ნებაყოფლობით უარის თქმის შემთხვევაში, მაშინ, შესაძლოა, ეს უკანასკნელი გაიმიჯნოს კიდევ ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებისაგან. აქედან ივარაუდება, რომ შეიძლება გამართლებულია, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ცნებაში გაერთიანდეს შემთხვევები, როცა ვალდებულების დარღვევა არაბრალეულია, ან როცა მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან.

3.3 ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევა

აესკ ხაზს უსვამს ნაკლიანი შესრულების დროს საქონლის ნაწილობრივ მიღების უფლებას, რაც, თავის მხრივ, არ უკრძალავს მყიდველს მეორად მოთხოვნის უფლებათათვის მიმართვას დანარჩენ ნაწილთან მიმართებით. ერთადერთი შეზღუდვა მყიდველისა – ესაა: აღნიშნულმა ნაწილობრივმა მიღებამ იმდენად არ უნდა გააუარესოს დარჩენილი ნაწილის ღირებულება, რომ გამყიდველს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგეს. თუკი ეს ასეა, მყიდველი შეზღუდულია და, შესაბამისად, ვალდებული, უარი თქვას ან მიიღოს მხოლოდ მთლიანი საქონელი.¹¹³ სსკ ასევე ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლას ნაკლიანი შესრულების დროს. ეს ერთგვარად პროგრესული ინსტიტუტია. 270-ე მუხლი განმარტავს, რომ ასეთ დროს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის შედეგია საპასუხო ვალდებულებების რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი პროპორციული შემცირება.

ხელშეკრულების ნაკლიანი შესრულება თავისთავად ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებად შეიძლება იყოს მიჩნეული. გერმანული კოდექსი ნაკლიან შესრულებასთან მიმართებით არ უშვებს მხარის შესაძლებლობას, ნაწილობრივ გავიდეს ხელშეკრულებიდან.¹¹⁴ ამ დროს კრედიტორის ინტერესი, ნაწილობრივ გათავისუფლდეს შესრულების ვალდებულებიდან, ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებით არის დაცული, იგი იღებს ნაკლიან შესრულებას და შეუსაბამობის თანაბარზომიერად იხდის შემცირებულ ფასს. ამგვარად, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება,¹¹⁵ რომ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის ინსტიტუტი. აღნიშნული განმტკიცებულია იმით, რომ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებას იგივე წინაპირობები უძღვის წინ, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას, გარდა იმისა, რომ დარღვევა უნდა იყოს მნიშვნელოვანი. სწორედ მოცემულ კონცეფციას ახმოვანებს გსკ-ის 441-ე პარაგრაფი თავისი ფორმულირებით: კრედიტორი უფლებამოსილია, ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად მოითხოვოს ფასის შემცირება... ქართული კოდექსის 492-ე მუხლი ფასის შემცირების მოთხოვნას ნაკლის გამოსწორებისა და ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებებს შორის შუალედურ ადგილს მიაკუთვნებს. ამ მიდგომას განამტკიცებს გსკ-ის 323-ე V პარაგრაფიც, რომელიც განმარტავს, რომ ვალდებულების ნაწილობრივ

¹¹³ Uniform Commercial Code, University Law School, Legal Information Institute, The American Law Institute and the National Conference of Commissioners on Uniform State Laws; reproduced, published and distributed with the permission of the Permanent Editorial Board for the Uniform Commercial Code for the limited purposes of study, teaching, and academic research, § 2:601, 2003.

¹¹⁴ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 426-427.

¹¹⁵ იქვე.

დარღვევისას კრედიტორს მხოლოდ მაშინ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, როცა დანარჩენი შესრულების მიმართაც კარგავს ინტერესს. უნდა აღინიშნოს,¹¹⁶ რომ აუცილებელია, ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევა გაიმიჯნოს ნაკლიანი შესრულებისგან. მაგალითად, კომპიუტერის პროგრამული და ტექნიკური ნაწილების მიწოდება ცალცალკე არის არა ნაწილობრივი შესრულება, 323-ე V პარაგრაფის გაგებით, არამედ ნაკლიანი შესრულება. აღნიშნული განსხვავება ვალდებულების ხასიათზეა დამოკიდებული – გაყოფადია იგი, თუ გაუყოფადი.

ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში შემოღებულია პერიოდულად შესასრულებელი ხელშეკრულების ცნება, მას იცნობს როგორც აესკ,¹¹⁷ ისე სახელშეკრულებო სამართლის შესახებ კანონის რევიზირებული ვარიანტი,¹¹⁸ კოდექსი აწესრიგებს როგორც შესრულების კონკრეტული ნაწილის, ისე მთლიანად ხელშეკრულების უარყოფის შესაძლებლობას. შესრულების ერთი ნაწილის შეუსრულებლობა თუ შეუსაბამობა ხელშეკრულებასთან მთლიანად ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს იძლევა მხოლოდ მაშინ, როცა აღნიშნული არსებითად ხელყოფს მთლიანად ხელშეკრულების მიზანს.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში¹¹⁹ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შემზღუდავ გარემოებად არის მიჩნეული, თუმცა ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების ფაქტი თავისთავად არ კრძალავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ნასყიდობის შესახებ კანონის მე-11(4) მუხლის თანახმად, თუკი ვალდებულება გაყოფადია და კრედიტორი იღებს შესრულების ნაწილს, ის არ კარგავს უფლებას, გავიდეს ხელშეკრულებიდან დარჩენილი ნაწილის მიმართ, რაც ასე გარკვევით არ ჩანს გერმანული სამართლით. ქართული კოდექსი საერთოდ არ ასხვავებს ვალდებულების შესრულებისას გაყოფად და გაუყოფად ვალდებულებებს ისე, რომ მათ ნაწილობრივ შესრულებას შეუსრულებლობის განსხვავებულ ტიპებსა და, შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის განსხვავებულ რეჟიმში აქცევდეს.

4. ხელშეკრულებიდან გასვლა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში

შეუძლებლობა შეუსრულებლობის სპეციფიკური გამოხატულებაა, რაც განაპირობებს კიდევც მის განსხვავებულ სამართლებრივ რეგულირებას. შესრულების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის კონკრეტული შემთხვევა, შეიძლება ითქვას, გამორჩეული სამართლებრივი შემთხვევაა. ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში ამ დროს მოვალის ბრალეულობა განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს იწვევს, ხოლო გერმანულ სამართლის სისტემაში კრედიტორის ავტომატური გათავისუფლების ინსტიტუტი ერთგვარ დუალისტურ მიდგომას აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის კონტექსტში.

4.1 ბრალის კონცეფცია შესრულების შეუძლებლობის კონტექსტში

გსკ შეუსრულებლობის ძირითადი სამი ტიპიდან შესრულების შეუძლებლობას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სამართლით

¹¹⁶ იქვე, 428-429.

¹¹⁷ "Installment Contracts", *White/Summers*, Uniform Commercial Code, 3rd ed., Hornbook Series Student ed., West Publishing Co., ST. Paul, MINN., 1998, § 2:612.

¹¹⁸ Sale of Goods Act-1979 -This Act is Reproduced with Amendments as at 1st October 2003, Crown Copyright Material is Reproduced with the Permission of the Controller of HMSO and the Queen's Printer for Scotland Sale.

¹¹⁹ *TreiTel*, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 726-727.

შესრულების შეუძლებლობას განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება, ის მაინც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სამართლებრივ რეჟიმში რჩება. ცენტრალური, 275-ე, პარაგრაფით შესრულების შეუძლებლობისას მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, თუმცა შეუძლებლობა, მოვალის ბრალის მიუხედავად, აფუძნებს შეუსრულებლობას და, მაშასადამე, ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, კრედიტორისათვის მეორად მოთხოვნის უფლებათა მთელი სპექტრი რჩება ხელმისაწვდომი. კერძოდ, ასეთ დროს დღის წესრიგიდან იხსნება მხოლოდ პირველადი მეორადი მოთხოვნის უფლება თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის სახით, ამიტომაც განმარტავს 326-ე V პარაგრაფი, რომ დამატებითი ვადის დაწესება საჭირო აღარ არის. ამასთან, მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, იმის მიუხედავად, ბრალეულია თუ არა ის იმ გარემოების დადგომისათვის, რომელმაც შესრულების შეუძლებლობა გამოიწვია.¹²⁰ ავტორი ასეთ გადაწყვეტას რეფორმის შემდგომი გერმანული სამართლის დუალისტურ მიდგომას უწოდებს. აქ ერთმანეთისაგან იმიჯნება თავდაპირველი შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება და შეუსრულებლობისათვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. ასე რომ, ეს ორი კატეგორია არ ემთხვევა ერთმანეთს. ერთი შეხედვით, უცნაურია, მოვალის მიერ ხელშეკრულების დარღვევა მაშინ, როცა, 275-ე მუხლის თანახმად, ეს უკანასკნელი საერთოდ თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან,¹²¹ რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვალდებული რჩება სხვა მეორად მოთხოვნის უფლებებთან მიმართებით. მოვალის ბრალეულობა განსაკუთრებულ სამართლებრივ დატვირთვას იძენს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისათვის. ამრიგად, ხელშეკრულების დარღვევის ერთიანი კონცეფცია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისათვის ერთიან პირობებს არ გულისხმობს. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელება დარღვევის სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს საჭიროებს, რაც ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებისათვის წინაპირობა სულაც არ არის, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელებადობას უპირობოდ მოვალის ბრალეულობა განაპირობებს. მაშასადამე, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინაპირობები განსხვავებულია თითოეულისათვის.

გერმანული კოდექსი შეუძლებლობის განსხვავებულ შემთხვევებს, ამ თვალსაზრისით, ასევე განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს; ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შეუძლებლობა 275-ე I და 275-ე II პარაგრაფების მიხედვით; 275-ე I პარაგრაფით გათვალისწინებული წესი, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია შესრულების მოთხოვნა, თუკი შესრულება შეუძლებელია, რომის სამართლიდან იღებს სათავეს.¹²² ესაა ე.წ. მორალური ფილოსოფია. აღნიშნული პრინციპი თავისი სახეცვლილებით ვლინდება აბსოლუტური (იგივე ფაქტობრივი) და ფარდობითი (იგივე პრაქტიკული) შეუძლებლობის სახით გერმანულ კოდექსში. თუკი მკაცრი შეუძლებლობისას მოვალე ავტომატურად თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, ფარდობითი შეუძლებლობის შემთხვევაში ეს ასე არ არის. 275-ე II პარაგრაფის თანახმად, მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას შესრულებაზე, რადგანაც შესრულება მოითხოვს ძალისხმევასა თუ დანახარჯს, რომელიც აშკარად შეუსაბამოა კრედიტორის შესრულების ინტერესისა.¹²³ ესაა შემთხვევა, როცა არაგონივრუ-

¹²⁰ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract - A Comparative Treatise*, 2nd ed., Oxford and Portland, Oregon, 2006, 386-387.

¹²¹ იქვე, 388-389.

¹²² *Zimmermann*, *Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations*, Saagi, *Conferenze e Seminari*, 48, Roma, 11.

¹²³ *German Civil Code*, Juris GmbH, Saarbrücken, 2005, BGB.

ლია, მოვალეს მოეთხოვოს შესრულება. მოვალის ბრალი დამდგარ დამაბრკოლებელ გარემოებასთან დაკავშირებით მხოლოდ ასეთ სამართლებრივ ვითარებაში გაითვალისწინება. ერთი რამ ცხადია – მოვალის მიმართ დამდგარი ნებისმიერი სამართლებრივი შედეგის შემთხვევაში კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების ხელმისაწვდომობა რჩება.

ამერიკული სამართალი მთელ თავს უთმობს არაბრალეულ შეუძლებლობას და, ძირითადად, ორ ტერმინს იყენებს – შესრულების არაპრაქტიკულობასა და ხელშეკრულების მიზნის ხელყოფას.¹²⁴ ასეთ დროს მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, ხოლო თუკი გარემოება ხელშეკრულების დადების ეტაპზევე იდენტიფიცირდება, აღნიშნული ვალდებულება საერთოდ არ წარმოიშობა, რაც შეეხება მეორე მხარეს, ნასყიდობის შესახებ კანონის 236-ე-237-ე მუხლების მიხედვით, ერთი მხარის მიერ შეუსრულებლობა აყვავებს მეორის თანმხვედრი ვალდებულებების ვადამოსულობას.

ნსკ-ით შესრულების შეუძლებლობა ცალკე სახით მონესრიგებული არ არის. ზოგადი 265-ე II მუხლი ერთმანეთისაგან მიჯნავს დროებით და მუდმივ შეუძლებლობას, თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლა ორივე შემთხვევაში რჩება ძალაში. ამდენად, ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობაც ვალდებულების დარღვევაა, განსხვავებით ინგლისური სივრცისა, რომელიც, როგორც წესი, ასეთ დროს ორივე მხარეს ათავისუფლებს შესრულების ვალდებულებისაგან. ქართული კოდექსი შეუძლებლობის პრობლემას ეხება ვალდებულების დარღვევის კარში, რაც სტრუქტურულად სწორი მიმართებაა, მაგრამ განხილულია მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქ ფრანგული დაუძლეველი ძალისა და გერმანული შესრულების შეუძლებლობის კონცეფციები ცალ-ცალკეა განხილული, თითოეული კი აღქმულია ზოგადი სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად. ცხადია, მოცემული საკითხის სამართლებრივი რეგლამენტირების დეფიციტია ჩვენს კანონმდებლობაში, კერძოდ, თუკი შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევაა 405-ე მუხლის გაგებით, რამდენად ხელმისაწვდომია მეორად მოთხოვნის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული წრე. თუკი ეს საკითხი მეტ-ნაკლებად გარკვეულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიმართ,¹²⁵ გაუგებარია, როგორია სამართლებრივი მონესრიგება სხვა, იმავე ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებასთან კავშირში. თუ სამართლებრივი პოზიცია გერმანულის მსგავსია, კერძოდ, მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, მაშინ რა გავლენა აქვს ამას კრედიტორის შესრულების ვალდებულებაზე – შესრულების ვალდებულებისაგან ავტომატურად თავისუფლდება, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ახორციელებს, ან იქნებ გერმანულის მსგავს დუალისტურ მიდგომას ირჩევს?

4.2 კრედიტორის ავტომატური გათავისუფლება შემდგომი შესრულების ვალდებულებისგან, გერმანული სამართლის მიხედვით

აღნიშნული საკითხი ცალკე გამოყოფას საჭიროებს, რადგან შესრულების შეუძლებლობისას კრედიტორი ორმაგ სამართლებრივ რეჟიმში ექცევა. ეს სამართლებრივი რეჟიმი ერთ-ერთი ყველაზე რთულია სამართლებრივ მონესრიგებებს შორის. გსკ-ის 275-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შემთხვევებში მოვალე განსაკუთრებულ შეღავათიან სამართლებრივ რეჟიმში

¹²⁴ “Impracticability” and “Frustration of Contract” in *Burton, Contract Law: Selected Source Materials*, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, Chapter 11, 233-236.

¹²⁵ რადგან 394:1:2 ნაწილი განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დასაკისრებლად აუცილებელია, მოვალე პასუხისმგებელი იყოს ვალდებულების დარღვევისთვის.

ექცევა, ვალდებულების დარღვევის ჩვეულებრივი რეჟიმისგან განსხვავებით. კოდექსის 326-ე პარაგრაფი მთლიანად ეძღვნება მოვალის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების კრედიტორის შემხვედრ დაკმაყოფილებაზე გავლენის ხარისხს. კერძოდ, 275-ე პარაგრაფით მოცულ შემთხვევებში კრედიტორი, თავის მხრივ, არ არის ვალდებული, განახორციელოს შესრულება – 326-ე I(1) პარაგრაფი. სხვაგვარად, კრედიტორს აღარ სჭირდება, მიმართოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის მეორად მოთხოვნის უფლებას, ის ავტომატურად მსგავს სამართლებრივ ჩარჩოშია მოქცეული. კოდექსის ასეთი მიდგომა ორმა ძირითადმა გარემოებამ განაპირობა: პირველი, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უმიზნოა, როცა კრედიტორს არ აქვს ალტერნატივა. შესრულების შეუძლებლობის ფაქტორის გათვალისწინებით, ის ვერ შეძლებს, სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეალიზების სამართლებრივ შედეგს მიაღწიოს.¹²⁶ ამრიგად, შესრულების შეუძლებლობის როგორც ბრალეულ, ისე არაბრალეულ შემთხვევაში კრედიტორის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების პროტოტიპია. მაშინ როგორ უნდა აიხსნას 326-ე V პარაგრაფი, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას უნარჩუნებს კრედიტორს? რა დატვირთვა აქვს მას შეუძლებლობისას კრედიტორის შესრულების ვალდებულებისაგან ავტომატური გათავისუფლების პარალელურად? კრედიტორის ინტერესი, შემხვედრი შესრულება მოეხსნას დღის წესრიგიდან, 326-ე I პარაგრაფით არის დაცული. მაშასადამე, 326-ე I და 323-ე IV პარაგრაფების კომბინაციით შესრულებისაგან თავდახსნისა და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ინტერესი დაკმაყოფილებულია, საჭიროა თუ არა საერთოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობა შესრულების შეუძლებლობისათვის?¹²⁷ გერმანული კოდექსი ამ კითხვას დადებითად პასუხობს. კერძოდ, ამ უფლებას მოცემულ კონტექსტში დატვირთვა აქვს ნაკლიანი შესრულებისა და ნაწილობრივი შესრულებისას. გსკ-ის 323-ე I(2) პარაგრაფი განმარტავს, რომ ნაკლიანი შესრულების დროს (როდესაც შეუძლებელია ნაკლის გამოსწორება) 326-ე I(1) პარაგრაფის დანაწესი არ გამოიყენება. როდესაც განხორციელებულია დეფექტური შესრულება, ხოლო ნაკლის გამოსწორება შეუძლებელია დამატებითი შესრულების სახით, კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ფასის შემცირება ან ხელშეკრულებიდან გასვლა, თუკი ნაკლი მნიშვნელობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს. სწორედ ამ არჩევანის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად 326-ე I(2) პარაგრაფი. სხვაგვარად, აუცილებელია, კეთილსინდისიერ მხარეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ჰქონდეს იმ შემთხვევებში, როცა ნაკლის გამოსწორება ხდება შეუძლებელი. აღნიშნული მიდგომა, ვფიქრობ, გაუმართლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას თავისთავად აფუძნებს ნაკლიანი შესრულება, რომელიც დამატებით ვადაში არ სწორდება;

მეორე, ხელშეკრულებიდან გასვლა აქტუალურია შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობის დროსაც. ასეთ შემთხვევაში მთლიანი შესრულების მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლა ხელმისაწვდომია გსკ-ის 323-ე V (1) და 326-ე V პარაგრაფების კომბინაციით. ასეთ დროს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დატვირთვა ნათელია, რადგან ის საშუალებას აძლევს კრედიტორს, გათავისუფლდეს შესრულების ვალდებულებისგან სრული მოცულობით;

მესამე, შეუძლებლობისას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ძალაში დატოვებას თავისი პრაგმატული მიზანი აქვს – საეჭვოობის შემთხვევაში, როცა არ არის ნათელი, რომ კრედიტორის შემხვედრი ვალდებულებისგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი

¹²⁶ *Zimmermann*, Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations, Saagi, Conferenze e Seminari 48, Roma, 36-37.

¹²⁷ *Markesinis/Unberath/Johnston*, The German Law of Contract-A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 430-431.

არსებობს 326-ე I(1) პარაგრაფის მიხედვით, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, დამატებითი ვადა დააწესოს. ამით ის თავისი შემხვედრი დაკმაყოფილების ვალდებულებასაც დროებით ლეგიტიმურად აყოვნებს. თუკი დამატებითი ვადა უშედეგოდ ჩაივლის, კრედიტორი ცალსახად უფლებამოსილი ხდება, გავიდეს, 323-ე V პარაგრაფზე დაყრდნობით. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, დავრწმუნდეთ, თუ რამდენად შეუძლებელია შესრულება. თუკი შესრულების შეუძლებლობა დროებითი აღმოჩნდება, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება 323-ე I პარაგრაფიდან აღმოცენდება. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შედეგს, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ერთნაირად ხელმისაწვდომია, შეუსრულებლობის მიზეზის მიუხედავად. ციმერმანის მიხედვით, აღნიშნული გამართლებულია ასევე იმდენად, რამდენადაც კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების სანაცვლოდ, როცა უფლებამოსილი იქნება ანაზღაურებაზე შესრულების სრული ღირებულების ოდენობით, ხოლო თვითონ – ასევე ვალდებული შესრულებაზე. ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულებიდან გასვლა კრედიტორის არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფას ემსახურება.

V. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი

ხელშეკრულებიდან გასვლა იმ მეორად მოთხოვნის უფლებათაგანია, რომელიც თავისი შინაარსით მხარის მხოლოდ მინიმალურ ინტერესს აკმაყოფილებს, ინტერესს, არ დაზარალებს და აღიდგინოს ის მდგომარეობა, რაც ჰქონდა სახელშეკრულებო ურთიერთობის წამოწყებამდე. სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლება.

1. ხელშეკრულებით შეთანხმებულ უფლება-ვალდებულებათაგან გათავისუფლება

გერმანიაში მომხდარმა რეფორმამ ხელშეკრულებიდან გასვლის თანამდევი შედეგის სამართლებრივ მონესრიგებაზეც იქონია გავლენა.¹²⁸ *Restitutio in integrum* – თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, ცხადია, არაერთი სამართლებრივი ურთიერთობისთვის არის გათვალისწინებული, ვთქვათ, ყველაზე სანყისი – უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის სახით. ასეთივე სამართლებრივი შედეგი წარუმატებელი სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის. ვიდრე უშუალოდ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის წესი იქნება დეტალურად განხილული, აუცილებელია, გააზრებული იყოს თვითონ სამართლებრივი ურთიერთობის სახეცვლილება ხელშეკრულებიდან გასვლის დროს. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგები, ერთი შეხედვით, ემსგავსება ერთმანეთს, მაგრამ ეს ასე არ არის სამართლებრივ ასპექტთა მთელ რიგში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს სახელშეკრულებო ურთიერთობა მხოლოდ გარკვეული მომენტიდან კარგავს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომის მიზანს, მაშინ, როცა ხელშეკრულების გაბათილების შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებისთანავე ბათილია.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს, მიუხედავად იმისა, ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებები აღარ არსებობს, ხელშეკრულება მბოჭავია მხარეთათვის სხვა ასპექტებში, კერძოდ, დამატებითი სახელშეკრულებო პირობები განაგრძობს მოქმედებას, მაგალითად, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვის ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების მონესრიგების წესის შესახებ. სახელშეკრულებო პირობა, რომელიც

¹²⁸ იქვე, 388-389.

ზღუდავს მხარის პასუხისმგებლობას ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ასევე მოქმედებს განსაზღვრული კანონისმიერი დანაწესების გათვალისწინებით, მაგალითად, გსკ-ის 444-ე ან სსკ-ის 497-ე მუხლი, რომელნიც განმარტავენ, რომ ნაკლიანი შესრულებისას გამყიდველი ვერ დაეყრდნობა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ შეთანხმებას, თუ შეგნებულად დუმდა ამ ნაკლის შესახებ. ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლა არავითარ სამართლებრივ შედეგს არ იწვევს დამხმარე პირობათა მიმართ და, ამდენად, ეს პირობები აღნიშნული უფლების განხორციელების შემდეგაც ძალაშია. ასე რომ, ხელშეკრულებიდან გასვლის განხორციელება არ აბათილებს ხელშეკრულებას, როგორც ასეთს. მაშინ იბადება კითხვა – რა მოსდის ხელშეკრულებით დათქმულ სახელშეკრულებო ურთიერთობას? მხარეს, რომლის მიმართაც დაირღვა ვალდებულება, ძირითადი ლეგიტიმური ინტერესი აქვს – უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და უფლებამოსილია კიდევ, მუდმივად უზრუნველყოს ამ უფლებით საკუთარი თავი ხელშეკრულებიდან გასვლის მექანიზმის გამოყენებით.

გერმანული კოდექსი არ შეიცავს პირდაპირ დანაწესს ხელშეკრულებიდან გასვლის დროს შესრულების ვალდებულებისგან მხარეთა გათავისუფლების შესახებ, ერთადერთი ასეთი სპეციფიკური შემთხვევაა შესრულების შეუძლებლობა. სხვა შემთხვევებში, ფორმულირება „მოვალე თავისუფლია“ ან „კრედიტორი თავისუფალია“ შესრულების ვალდებულებისაგან, არ იქნება სწორი, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში მხარეთა შესრულების ვალდებულებები გადაიტყვევს ვალდებულებებზე და დააბრუნონ მიღებული შესრულებები. სახელშეკრულებო ურთიერთობის პოზიტიური შინაარსი ერთგვარ ნეგატიურ შინაარსად იცვლება, ანუ კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობა სახეცვლილებას განიცდის.

ამერიკული სამართლის რევიზირებული კანონის 237-ე მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთის მიერ შეუსრულებლობა აყოვნებს მეორის შემხვედრი ვალდებულების შესრულების ვადამოსულობას.¹²⁹ ასეთია გავლენა კეთილსინდისიერი მხარის შესრულების ვალდებულებაზე, ასე რომ, შესრულების დაკავების უფლება ამ შემთხვევაში სამართლებრივი თვალსაზრისით ზედმეტია, აღნიშნული დანაწესი კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინებაა და ე.წ კონსტრუქციულ პირობად სახელდება მოცემული აქტის კომენტარში.

ფრანგული მიდგომა უფრო მკაცრია, ხელშეკრულებიდან გასვლას ის უახლოებს სამართლებრივ შედეგს, რომელიც უშუალოდ ბათილობისთვისაა დამახასიათებელი – თითქოს ხელშეკრულება არასდროს არ დადებულა. ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ამ ეფექტს ორმხრივი ხელშეკრულების შემობრუნებასაც უწოდებს. ნსკ-ის 271-ე მუხლი კი მეტად კომპაქტურად ასახავს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს. ის პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან, ხოლო თუკი ეს ვალდებულებები განხორციელებულია მთლიანად ან ნაწილობრივ, შესრულების სამართლებრივი საფუძველი ნამდვილი რჩება, ხოლო მხარეთათვის აღმოცენდება ახალი ვალდებულება, დააბრუნონ მიღებული შესრულება.

ინგლისური სამართალი ხელშეკრულებიდან გასვლის ეფექტს თითოეული მხარის მიმართ ცალ-ცალკე განიხილავს. კეთილსინდისიერი მხარე ყოველთვის არ თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, მაგალითად, მაშინ, როცა ვალდებულება ვადამოსულია. გემის დამქირავებელი, რომელმაც იკისრა ვალდებულება, გემის დატვირთვისთანავე გადაეხადა ქირავნობის საფასური, ვალდებულია, ასეც მოიქცეს, მიუხედავად იმისა, რომ

¹²⁹ *Burton*, Contract Law: Selected Source Materials, West Publishing Co., ST. Paul, Minn., 1995, 228.

მას ხელშეკრულებიდან გასვლის გამართლებული საფუძველი შეიძლება ჰქონდეს მომავალში. ასეთივეა სპეციფიკა მოვალის შესრულების ვალდებულების მიმართ, კერძოდ, მოვალე თავისუფლდება შესრულების იმ პირველადი ვალდებულებისგან, რომლის შესრულების ვადა არ დამდგარა ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან, თუმცა პასუხისმგებელი რჩება იმ ვალდებულების შესრულებისათვის, რომელიც ვადამოსულია მოცემული დროისათვის.¹³⁰ ანუ ვალდებულება, რომლის დარღვევასაც ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი მექანიზმი მოჰყავს მოქმედებაში, ტვირთად აწევს მოვალეს. არათანამიმდევრულია ქართული სამართლის მიდგომა იმასთან მიმართებითაც, თუ რა სამართლებრივ რეჟიმში თავსდება მხარეთა შესრულების ვალდებულებები ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად – ტრანსფორმირდება თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებებად, თუ ქარწყდება, ან ერთგვარ დანაწევრებულ რეჟიმშია, როგორც ინგლისში.

2. ხელშეკრულებიდან გასვლის უკუძალა

ცალკე მსჯელობის საგანია ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი ხელშეკრულებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის თაობაზე, რამდენად გამართლებულია აღნიშნული? ან რამდენად გაზიარებული განსახილველი სამართლებრივი სისტემების მიერ? ხელშეკრულებიდან გასვლას კონტინენტურ ევროპაში გამოკვეთილად რეტროსპექტიული ძალა აქვს. ასეთია გადაწყვეტა როგორც გერმანული, ისე ფრანგული სამართლის მიხედვით. ნაწილობრივი შესრულების დროს ფრანგული რესტიტუციის რეჟიმი მთლიანად ემსგავსება ბათილობისას მოქმედ რესტიტუციის რეჟიმს, როცა გათვალისწინებული უნდა იყოს გადაცემული შესრულების (ვთქვათ, ქონების) როგორც გაუარესება, ისე გაუმჯობესება.¹³¹ შეიძლება ითქვას, რომ ფრანგულ სამართალში რესტიტუციის ერთი ძირითადი რეჟიმი არსებობს. ფსკ-ის 1376-ე მუხლის მიხედვით, რესტიტუცია უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნებას ნიშნავს, ამასთან, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის წესები იმიჯნება მხოლოდ იმის მიხედვით, ფულადია თუ არა ვალდებულება.

ხელშეკრულებიდან გასვლის უკუძალის გამოხატულებაა, ვთქვათ, როცა გადაცემული საკუთრების უფლება უკან უბრუნდება მის გადამცემს, თუმცა ეს სამართლებრივად შეუძლებელი ხდება, როცა მესამე პირის კანონიერი ინტერესის დასაცავად განსაზღვრული დაცვის მექანიზმები მოქმედებს. ერთ-ერთი ასეთია კეთილსინდისიერი შემძენის პრეზუმფცია მოძრავი ნივთების შემთხვევაში. სსკ-ის 352-ე II(ბ) მუხლი და გსკ-ის 346-ე II(2) პარაგრაფი სპეციალური გარანტია შემძენისათვის, რადგან მიღებული შესრულების დატვირთვა ან გასხვისება ის გარემოებაა, რომელიც ნატურით რესტიტუციის ვალდებულებას ფულადი სახით ცვლის. აქ არ იკვეთება მესამე პირის კეთილსინდისიერების საკითხი, და იბადება კითხვა – რამდენად შესაძლებელია, კეთილსინდისიერების კრიტერიუმში მარტივად იყოს უგულვებლყოფილი მოცემულ შემთხვევაში? თუმცა, რომ არაფერი ითქვას კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპზე, სპეციალური მუხლი კეთილსინდისიერი შემძენის თაობაზე, ვფიქრობ, ანალოგიის წესით უნდა იყოს გამოყენებული.

რეფორმის შემდგომ გერმანიაში უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი რეჟიმის ალტერნატივად რესტიტუციის სპეციალური რეჟიმი იქნა შემოღებული ხელშეკრულებიდან გასვლისათვის, რაც ამ უკანასკნელის სპეციფიკამ განაპირობა. აქ საქმე არ გვაქვს უსაფუძვლო გამდიდრებასთან, რადგან სახელშეკრულებო შესრულების საფუძველი

¹³⁰ *TreiTel*, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 762-763.

¹³¹ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 796-797.

ნამდვილია. ამრიგად, ფრანგული გადანყვეტისაგან განსხვავებით, გერმანულ სინამდვილეში ხელშეკრულების ბათილობისა და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ ვითარებებში თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა განსხვავებული წესით ხდება.

მიღებული შესრულებების უკან დაბრუნების შესახებ დანაწესი არ არის არც ზოგადი და არც უპირობო ინგლისურ სამართლებრივ სივრცეში. საქმე ისაა, რომ აქ რესტიტუციული რეჟიმი სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ნაწილად არ აღიქმება. ინგლისური გადანყვეტა მთლიანად ინტერესთა ბალანსის უზრუნველყოფას გამოხატავს. ინგლისურ სამართალში ხელშეკრულებიდან გასვლას ეფექტი მხოლოდ მომავალი ურთიერთობის მიმართ აქვს, ასე რომ, მხარე მხოლოდ მომავალში შესასრულებელი ვალდებულებებისაგან თავისუფლდება, ხოლო მოვალის ვადამოსული ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი გახდა, გარდაიქმნება მოვალის უზოგადეს მეორად ვალდებულებად, ანაზღაურის დარღვევით მიყენებული ზიანი. რაც შეეხება კეთილსინდისიერ მხარეს, ის მხოლოდ მაშინ თავისუფლდება ვადამოსული შესრულების ვალდებულებისგან, თუ ეს გამართლებულია კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით. შეიძლება ითქვას, რომ აქ ხელშეკრულებიდან გასვლას უკუძალა არ აქვს. გამყიდველი, რომლისთვისაც მყიდველს არ გადაუხდია მიღებული საქონლის საფასური, მხოლოდ მაშინ შეიძლება საქონლის საკუთრებაში დაბრუნებას, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. ასეთია, ვთქვათ, დათქმა, საქონელზე საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ, შესაბამისი საფასურის სრულად გადახდის მომენტამდე.¹³²

ქართულ სამართლებრივ სივრცეში საუბარია იმაზე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით შესრულების ვალდებულება ქარწყლდება და წარმოიშობა ახალი, უკვე შესრულებული უკან დაბრუნების ვალდებულება. გერმანული სამართალი ამას ერთგვარ ტრანსფორმაციას უწოდებს, ხოლო ანგლოამერიკულ სამართალში, ძირითადი წესის თანახმად, ვადამოსული პირველადი ვალდებულებები რჩება ძალაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში მხარეთა მიერ განხორციელებული შესრულებების უკან დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი (სამართლებრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით) არ არის გააზრებული თუ გაცნობიერებული. აქ ერთ შემთხვევაში მიმართება კეთდება ახალი ვალდებულების წარმოშობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში პირველადი ვალდებულებების გაქარწყლებაზე, რაც მეტად აბსტრაქტული ცნებებია.

3. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა-რესტიტუცია

რა წესით ხდება თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, ან რამდენად არის ეს ყოველთვის შესაძლებელი? გერმანული სამართალი მეტად დეტალურად განერს, თუ როგორ უნდა მოხდეს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში.

გერმანული სამართლის მიხედვით, რესტიტუცია სამ ეტაპად ხორციელდება. 346-ე პარაგრაფი იმპერატიულად განსაზღვრავს ამ ეტაპების მიმდევრობას, კერძოდ, პირველი ეტაპია ნატურით დაბრუნება, 346-ე I პარაგრაფით, მეორე – შესრულებულის ღირებულების ანაზღაურება, 346-ე II პარაგრაფით და, ბოლოს, 346-ე პარაგრაფი აღნიშნავს განსაზღვრულ გარემოებებს, როცა ფულადი კომპენსაცია გამორიცხულია.¹³³ ფაქტობრივად, საუბარია იმაზე, თუ რა შემთხვევაშია შესრულების ნატურით დაბრუნების შეუძლებლობა საპატიო. 346-ე I პარაგრაფი უთითებს, რომ მხარეები ვალდებული არიან, დაუბრუნონ ერთმანეთს

¹³² იქვე, 802-803.

¹³³ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 432-433.

შესრულებით მიღებული სარგებელიც, რაც ზუსტად ასახავს თავდაპირველი მდგომარეობის მიღწევის მიზანს. ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დარღვევით არც ერთი მხარე არ უნდა დარჩეს მოგებული და არც მეორე. გსკ-ის მე-100 პარაგრაფი პირდაპირ განსაზღვრავს სარგებლის ცნებას. 347-ე პარაგრაფი კი მიუთითებს, რომ, თუკი მოვალეს შეეძლო და უნდა მიეღო განსაზღვრული სარგებელი გადაცემული შესრულების გონივრულად გამოყენების შედეგად და არ მიუღია, მან უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს დანაკარგი. ივარაუდება, ნივთი რომ კრედიტორთან ყოფილიყო, ის ამ სარგებელს მიიღებდა. ასეთი სახის „ანგარიშსწორება“, ფაქტობრივად, სცილდება რესტიტუციის რეჟიმს და ზიანის ანაზღაურების ფორმას იძენს. თუმცა, თავის მხრივ, კეთილსინდისიერი მხარეც ვალდებულია, იმდაგვარად იზრუნოს მიღებულ შესრულებაზე, როგორც კუთვნილ ნივთზე იზრუნებდა.¹³⁴

ნსკ-ის 78-ე მუხლი უფრო სწორ სამართლებრივ პოზიციას ავითარებს კრედიტორისათვის ასანაზღაურებელი სარგებლის თვალსაზრისით, კერძოდ, ის განმარტავს: თუკი მოვალე განსაზღვრულ სარგებელს იღებს შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ისე, რომ ამ სარგებელს შესრულებით ვერ მიიღებდა, კრედიტორი უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია, უსაფუძვლო გამდიდრების სახით მოქმედი წესების გამოყენებით, მოვალის მიერ მიღებული სარგებლის მაქსიმალური ოდენობით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სარგებლის კომპენსაცია უსაფუძვლო გამდიდრების წესით ხდება და არა სპეციალური რესტიტუციის რეჟიმის ფარგლებში, როგორც ეს გერმანულ სამართალშია მოცემული.

ფულადი რესტიტუციის შესახებ მოთხოვნიდან გსკ-ის 346-ე III(3) პარაგრაფით გათვალისწინებული გამონაკლისი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების მიმართ გამოიყენება, (რომელიც 323-ე პარაგრაფით არის უზრუნველყოფილი), რაც დაფიქრებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში კრედიტორი თავისუფლდება რესტიტუციის ვალდებულებისაგან, რადგან შესრულების საგანი მნიშვნელოვნად ზიანდება ან ნადგურდება, კრედიტორის მხრიდან სათანადო ზრუნვის მიუხედავად, ანუ შესრულების საგნის შემთხვევით დაღუპვის რისკი მოვალეზეა. ვთქვათ, ვითარება, რომელშიც, მხარეთა შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმოცენდება, არ არის საკმარისი იმავე უფლების დასაფუძნებლად, კანონის მიხედვით. აღნიშნული რისკის გათვალისწინებით, კრედიტორისათვის რესტიტუციის ასეთი შეღავათიანი რეჟიმის მოხსნის შესაძლებლობა მიზნად ისახავს განსაზღვრული უსამართლო შედეგის დადგომის ალბათობის მინიმალიზებას. აღსანიშნავია, რომ კრედიტორის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აღნიშნული წესი თვითონ კანონისმიერი რესტიტუციის პირობებშიც საკამათოა. გამოთქმულია მოთხოვნა, შეიზღუდოს აღნიშნულ გამონაკლისთა მოქმედება. მაგალითად, ეს უკანასკნელი გამონაკლისი აღარ იყოს გამოყენებადი მას შემდეგ, რაც კრედიტორი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ შეიტყობს. ამ მხრივ საინტერესოა ნსკ-ის 273-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, იმ მომენტიდან, როცა ნათელია ხელშეკრულებიდან გასვლის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, მხარე, ისევე როგორც ნებისმიერი გონიერი და გულისხმიერი ადამიანი, ვალდებულია, უზრუნველყოს შესრულების უკან დაბრუნების შესაძლებლობა. ფსკ-ის 1647-ე მუხლი რესტიტუციის ნებისმიერ სამართლებრივ რეჟიმში ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკს მყიდველს აკისრებს, რაც ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც ნივთი ჯერ კიდევ მისი რეალური ძალაუფლების ქვეშ იმყოფება.

გსკ-ის 346-ე II(2) პარაგრაფი განმარტავს ფულადი რესტიტუციის დროს გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრის წესს. კერძოდ, თუ ხელშეკრულება (და, როგორც წესი, ეს ასეა) განხორციელებული შესრულების შემხვედრ დაკმაყოფილებას განსაზღვრავს (მაგალითად, მანქანის ფასი), ეს უკანასკნელი უნდა იყოს გათვალისწინებული ფულადი

¹³⁴ იქვე.

რესტიტუციისას. მაგალითად, თუკი მხარეთა შეთანხმებით გადაცემული ნივთის საფასური 500 ლარია, ხოლო მხარე იძულებულია, ფულადი სახით აანაზღაუროს შესრულება, კომპენსაციის განსაზღვრისას ორიენტირი იქნება იმთავითვე შეთანხმებული ფასი 500 ლარის ოდენობით. საინტერესოა, რომ ნსკ-ს ორიენტირად აქვს შესრულების საბაზრო ღირებულება შესრულების მიღების მომენტისათვის.

ინგლისში ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, იმაზე, თუ რა სახის შესრულებასთან გვაქვს საქმე.¹³⁵ ამასთან, აქ რესტიტუციის განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმებია ვალდებულების დამრღვევ და კუთვნილების მხარეთათვის.¹³⁶ მაგალითად, კრედიტორი უფლებამოსილია, დაიბრუნოს განხორციელებული შესრულება იმ შემთხვევაში, თუ შემხვედრი დაკმაყოფილება არ მიუღია, თუმცა კრედიტორის მიერ დეფექტური საქონლის ნაწილობრივ მიღებისას სასამართლოები, როგორც წესი, ნებას რთავენ მას, დაიბრუნოს გადახდილი საფასური უარყოფილი საქონლის პროპორციულად.¹³⁷ ყველა სხვა შემთხვევაში, როცა მხარე შესრულებისათვის შემხვედრ დაკმაყოფილებას იღებს, ინგლისური სამართალი მიმართავს არა უპირობო რესტიტუციის რეჟიმს, არამედ ზიანის ანაზღაურების სარჩელის სახით განსაზღვრული ბალანსის მიღწევას ცდილობს. უნდა ითქვას, რომ ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში არსებობდა ტენდენცია, ხელშეკრულებიდან გასვლა შეზღუდულიყო ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობის დროს. თუმცა ეს ტენდენცია სასამართლომ შემდგომ სხვაგვარად განავითარა: საქმეში – *Mahoney v. Purnell*¹³⁸ – დადგინდა, რომ სამართლიანი ანაზღაურება ამ დროს ნატურით რესტიტუციის ფულადი ეკვივალენცია.¹³⁹ აქვე უნდა ითქვას, რომ ინგლისური სამართლის სივრცეში რესტიტუციის ძირითადი მიზანია, არ დაუშვას განსაზღვრული სარგებლის მიღება ვალდებულების დამრღვევი მხარის მიერ, სარგებლისა, რასაც შესაძლოა მიიღებდა, ხელშეკრულება რომ შეესრულებინა.¹⁴⁰ თუმცა გამოითქვა ასევე აზრი, რომ მიზანშეწონილია გაიზომოს არა მოპასუხის მიერ მიღებული სარგებელი, არამედ გამოყენებულ იქნეს ფორმულა – მოსარჩელის მიერ გადახდილ შესრულების საფასურს გამოაკლდეს სანაცვლოდ მიღებული შემხვედრი დაკმაყოფილება ფულადი სახით.¹⁴¹

ქართული კოდექსით გათვალისწინებული რესტიტუციის რეჟიმი გერმანულის ანალოგია, თუმცა 352-ე III პარაგრაფი შესაბამისი კომენტარით მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისი ანალოგისაგან. ამ მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით. მუხლის შესაბამისად კი განმარტებულია, რომ სამუშაოს შესრულებისა თუ მომსახურების ხელშეკრულებებში რესტიტუციის რეჟიმი იხსნება და მის ადგილს იკავებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამაგიერო შესრულება, ფულადი თანხის ანაზღაურების ნაცვლად.

¹³⁵ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., *Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 802-803.

¹³⁶ *Burrows*, ed., *Essays on the Law of Restitution*, Clarendon Press, Oxford, 1991, 289-298.

¹³⁷ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., *Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 802-803.

¹³⁸ *Equitable Compensation When Rescission is Impossible: a Response*, available at <http://shelburne.butterworths.co.uk/truststaxestates/articles/dataitem.asp?ID=30530&tid=7> (15.01.08).

¹³⁹ *Sullivan*, *Rescission as a Self-Help Remedy*, *Cambridge Law Journal*, 59(3), November 2000, 509-543 available at <http://heinonline.org/HOL/TextGenerator?handle=hein.journals/camlj59&collection=jo>, (25.02.08).

¹⁴⁰ *Burrows*, ed., *Essays on the Law of Restitution*, *Beatson*, *Should There Be Legislative Development of the Law of Restitution?*, Oxford, New York, 1991, 298.

¹⁴¹ *Burrows*, ed., *Essays on The Law of Restitution*, *Waddams*, *Restitution As Part of Contract Law*, Oxford, 1991, 196-213.

როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართლებრივ მონესრიგებაში ვითარება, როცა განხორციელებული შესრულების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, ცალკეულ შემთხვევებადაა კლასიფიცირებული. ერთ-ერთი კლასიფიცირებული შემთხვევაა ნატურით დაბრუნების შეუძლებლობა შეძენილის, უფრო სწორად შესრულების, ხასიათიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნული ნარდობა თუ მომსახურება სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. ამრიგად, გაუგებარია სსკ-ში გამოკვეთილი ეს რეგულირება, მაშინ, როდესაც ნარდობის ტიპის ურთიერთობა, კერძოდ მომსახურება, სწორედ ფულადი რესტიტუციის აღნიშნული შემთხვევის მაგალითად არის მოყვანილი. თუკი ქართველ კანონმდებელს სურდა, სამართლებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული სპეციფიკა ფულადი რესტიტუციის აკრძალვის სამართლებრივ საფუძვლად გამოეკვეთა, ეს ნაწილი სტრუქტურულად მუხლის შესაბამის ნაწილში უნდა მოეთავსებინა, იქ, სადაც მოცემულია გამონაკლისი ფულადი ანაზღაურების ვალდებულებიდან. ინგლისურ სამართლებრივ სივრცეში ამ ტიპის ხელშეკრულებებში მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულების შესრულების ან ფულადი რესტიტუციის სახით.

ერთი მხარის მიერ შესრულების გადაცემა და მეორის მიერ შესრულების მიღება უფლებას აძლევს პირველს, მოითხოვოს გადაცემულის ფასი. ანსონი ამას ახალ კონტრაქტად განიხილავს, ხოლო თავდაპირველ ხელშეკრულებას სპეციალურ კონტრაქტს უწოდებს, რომელიც გამოხატულ დაპირებებზეა აღმოცენებული. ამრიგად, თუკი ა-მ შესრულა ბ-სთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და თუკი ბ-მ მთლიანად ან მნიშვნელოვან ნაწილში დაარღვია ხელშეკრულება, ა-ს შეუძლია, სარჩელი შეიტანოს არა მარტო ვალდებულების დარღვევის, არამედ ახალი და განსხვავებული კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც აღმოცენდება ოფერტით გათვალისწინებული დანაპირების შესრულებითა და ამ შესრულების მიღებით.

4. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვა

თითოეული განსახილველი სამართლებრივი სისტემა განსაზღვრულ გამონაკლისს უდგენს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას. ეს ნიშნავს, რომ თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები დაცულია, ხელშეკრულებიდან გასვლა ამა თუ იმ საფუძველით დაუშვებლად ცხადდება.

გერმანული სამართალი ხელშეკრულებიდან გასვლას გამორიცხავს კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად: თუკი კრედიტორი თვითონ არის პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევისათვის, ან თუკი ვალდებულების დარღვევა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების დროს შედგა. ორივე კრედიტორის ბრალეული ქცევის გამომხატველია, თუმცა პირველი ალტერნატივა მის აქტიურ ბრალს გულისხმობს, მეორე კი შედარებით პასიურს. ასეთივეა წინაპირობა შესრულების შეუძლებლობისას, კერძოდ, შეუძლებლობა, რომელიც კრედიტორის ბრალით არის გამოწვეული, არ ათავისუფლებს ამ უკანასკნელს თავდაპირველი შესრულების ვალდებულებისაგან მოვალის წინაშე, თუმცა ამ დროს არც მოვალე თავისუფლდება უპირობოდ. იგი ვალდებულია, გამოუქვითოს კრედიტორს შესრულებიდან ის სარგებელი, რაც მიიღო შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შედეგად.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებისათვის უზოგადესი წინაპირობაა 242-ე პარაგრაფით განმტკიცებული კრედიტორის კეთილსინდისიერი ქცევა მთლიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ. ეს არის ერთგვარი დამატებითი გარანტია იმისა, რომ კანონით გაუთვალისწინებელი შემთხვევები, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

ფორმალურ-მატერიალურ დონეზე წარმოიშობა, მაგრამ განუხორციელებელია კრედიტორის არაგულისხმიერი ქცევის გამო, მოცემული დანაწესის ქვეშ ხვდება. აღნიშნულს აწონასწორებს კოდექსის 324-ე პარაგრაფი რომელიც უფლებას ანიჭებს კრედიტორს, გავიდეს ხელშეკრულებიდან მხოლოდ გულისხმიერების მოვალეობის დარღვევაზე მითითებით, ეს ერთადერთი ექსტრაორდინარული შემთხვევაა, როცა ხელშეკრულებიდან გასვლა შეფასებით კატეგორიაზეა დამოკიდებული.

აბსოლუტურად საპირისპირო შემთხვევას ითვალისწინებს ქართული კოდექსი 405-ე III(ბ) მუხლის სახით, რომელიც განმარტავს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია, თუნდაც 316-ე II მუხლის მოთხოვნა იყოს დარღვეული, თუკი კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება. მიუხედავად იმისა, წინადადების ბოლო ნაწილი თავის თავში მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის დასაშვებობას გულისხმიერების მოვალეობის დარღვევისთვის, მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის განსაზღვრას ისახავს მიზნად და, შესაბამისად, არასწორ სამართლებრივ პოზიციაზე დგება.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება სხვადასხვა მექანიზმით იზღუდება. გსკ-ის 350-ე პარაგრაფით მოვალე უფლებამოსილია, განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის გონივრული დრო მხოლოდ მაშინ, როცა ეს უფლება სახელშეკრულებო წარმოშობისაა და მხარეებს დროის ლიმიტი არ შეუთანხმებიათ. სსკ-ის ანალოგი 405-ე V მუხლი ასეთ დათქმას არ შეიცავს, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალის უფლებამოსილება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე გერმანული კოდექსის შესაბამისი მუხლითაა დადგენილი. აღნიშნული დანაწესი, ერთი მხრივ, პრაქტიკულ მნიშვნელობას არის მოკლებული, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარად გადამეტებული უფლებამოსილების წყაროა მოვალისთვის. პრაქტიკულ მნიშვნელობას არის მოკლებული მაშინ, როცა ხელშეკრულებიდან გასვლა კანონისმიერი საფუძვლითა და წესით ხორციელდება, რადგან ასეთ დროს უფლების განხორციელების ვადა არსებობს და ის იმთავითვე მოვალის კანონიერი ინტერესის დაცვას ემსახურება, ხოლო გადამეტებული უფლებამოსილება იმდენად, რამდენადაც შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითონ ხელშეკრულებიდან გასვლის სახელშეკრულებო რეჟიმის პირობებშიც კი მხარეთა შეთანხმება არ არის ბარიერი და მოვალეს უფლება აქვს, დროის ახალი განაწესი დაადგინოს.

მხარე უფლებამოსილია, დაადასტუროს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება განაცხადითა თუ ქცევით. ამ დროს ის უარს აცხადებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებაზე. ეს უფლებამოსილება გათვალისწინებულია როგორც გერმანული, ისე ფრანგული სამართლით.¹⁴² უნდა ითქვას, რომ სასამართლოთა ფრანგული დისკრეცია ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანია. როგორც წესი, სასამართლო უარყოფს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მხარის სარჩელს, თუკი მას მანამდე დადასტურებული აქვს სამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, მსვლელობა მისცეს საქმეს. ასე რომ, ფრანგული სამართლისათვის უცხო არ არის ხელშეკრულების დადასტურების გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილება.

ინგლისური დოქტრინები არჩევანისა და გაპროტესტების უფლების დაკარგვის შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გაქარწყლებას უკავშირდება. დადასტურების შესახებ დოქტრინა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი სამართლებრივი შედეგით, კერძოდ, თუკი მხარე თავისი ქცევით, ფაქტობრივად, ადასტურებს მოვალესთან დადებულ კონტრაქტს, რასაც ეყრდნობა კიდევ მოვალე შემდგომში, კრედიტორი იბოჭება ამ დადასტურებით.

¹⁴² *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., *Casebooks on the Common Law of Europe*, Clarendon Press, Oxford and Portland, Oregon, 2002, 806-807.

შესაბამისად, აღარ აქვს უფლება, გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუნდაც არ იცოდეს ამ უკანასკნელის არსებობის შესახებ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ეფექტის შესარბილებლად, სსკ-ს საფუძველს ქმნის, რათა მყიდველს შესაძლებლობა მიეცეს, შეიტყოს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი საფუძველი.¹⁴³ კერძოდ, 35-ე II მუხლის თანახმად, თუკი მყიდველს წინასწარ არ შეუმონებია საქონელი, ეს უკანასკნელი არ შეიძლება მიღებულად ჩაითვალოს, ვიდრე მყიდველს არ ექნება რეალური შესაძლებლობა, შეამოწმოს იგი. ამრიგად, საქონლის მფლობელობაში დატოვება არ არის შესრულების მიღება სამართლებრივი გაგებით, თუმცა, მეორე მხრივ, მყიდველი შეზღუდულია დროში, უარი განაცხადოს შესრულების მიღებაზე. ესაა ის გონივრული ვადა, რაც ესაჭიროება მყიდველს ხილული დეფექტის აღმოსაჩენად. ფარული ნაკლისათვის კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაა უპირატესი, რომლის ხანდაზმულობა ვალდებულების დარღვევის შეტყობიდან ექვსი წლის ვადით განისაზღვრება. ფრანგული სამართლის მიდგომა განსხვავებულია, ფარული ნაკლის შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გააუქმოს ხელშეკრულება, ე.წ. საგარანტიო პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე. მხოლოდ მან ეს უნდა გააკეთოს გონივრულ დროში იმ მომენტიდან, როცა აღმოაჩინა ან უნდა აღმოეჩინა ნაკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს არა მარტო ხელშეკრულების გაუქმების, არამედ დანარჩენ, მათ შორის ზიანის ანაზღაურების, მეორად მოთხოვნის უფლებასაც.

ვალდებულების ნაკლიანი შესრულების დროს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ხანდაზმულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე. სწორედ ამით აიხსნება გსკ-ის 438-ე პარაგრაფის შინაარსი, რომელშიც ზუსტადაა ფორმულირებული, თუ რა ვადა აქვს მყიდველს განსაზღვრული მეორად მოთხოვნის უფლებათა – ნაკლის გამოსწორების, ხელშეკრულებიდან გასვლისა თუ ზიანის ანაზღაურების – განსახორციელებლად.

რაც შეეხება ქართულ კოდექსს, ერთადერთი შემთხვევა, როცა მყიდველი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეამოწმოს მინოდებული საქონელი და დროულად შეატყობინოს გამყიდველს ნაკლიანი შესრულების შესახებ, ესაა 495-ე მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული სტატუსის მქონე მყიდველის – მენარმის შემთხვევა. თუკი ის ამას არ გააკეთებს, მას ერთმევა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ. ასევე განსაზღვრულ საგარანტიო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კოდექსი 496-ე მუხლით ნივთის ვარგისიანობის შემოღების გზით. თუმცა აღნიშნული მნიშვნელოვნად განსხვავდება ფრანგული საგარანტიო პასუხისმგებლობისაგან, რომელიც, თავისი არსით, კეთილსინდისიერი მხარის სასარგებლოდ არის დათქმული. სსკ-ის 496-ე მუხლით გამყიდველს ენიჭება უფლება, დაადგინოს ნივთის ვარგისიანობის ვადა და ამ ვადით შემოფარგლოს მყიდველის უფლებამოსილება, მიმართოს მეორად მოთხოვნის უფლებას, მათ შორის ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.

თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა ის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ დატვირთვას იძენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების თვალსაზრისით. მაგალითად, ფრანგულ სამართლებრივ სისტემაში შესრულების საგნის განადგურება ან დაზიანება, რომელიც თვითონ საგნის ნაკლით არ არის გამოწვეული, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას უზღუდავს მხარეს.

სსკ-ის 405-ე III(დ) მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გაქარწყლების საფუძველი, როცა მოვალე შესაგებელს უპირისპირებს კრედიტორის

¹⁴³ Sale of Goods Act, 1979-This Act is Reproduced with Amendments as at 1st October 2003. Crown Copyright Material is Reproduced with the Permission of the Controller of HMSO and the Queen's Printer for Scotland.

პროტესტს შეუსრულებლობის მიმართ, გსკ ასე ცალსახად არ იცნობს. აქერთგვარი ორმხრივი ურთიერთობების სპეციფიკის გათვალისწინებით ურთიერთგამანონასწორებელი სამართლებრივი წესრიგია შემოღებული 320-ე, 321-ე, 323-ე მუხლების მეშვეობით: ერთი შეეხება შესაგებელს შეუსრულებლობისთვის, თავდაცვის სახით, მეორე – მოსალოდნელი შეუსრულებლობის წინაშე სამართლებრივ მექანიზმს, მესამე – ასეთ სადავო სიტუაციაში შესრულებათა ერთდროულობის ვალდებულებას.

სსკ-ის 358-ე მუხლში მოცემულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გაქარწყლების დამოუკიდებელი საფუძველი მოვალის მიერ მოთხოვნის უფლების გაქვითვის სახით. ამ მუხლის სამართლებრივი კონსტრუქცია მეტად წინააღმდეგობრივია. თუკი მუხლის ბოლო ნაწილში საუბარია, რომ მოვალე გაქვითვის შესახებ დაუყოვნებლივ განაცხადებს „ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ“, მაშინ ამავე მუხლის დასაწყის ნაწილში რატომ არის აქცენტი ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობაზე? შესაბამისი ანალოგიური მუხლით გერმანულ კოდექსში¹⁴⁴ ხაზგასმულია, რომ ამ დროს ხდება ხელშეკრულებიდან გასვლის გაბათილება და არა მისი პრევენცია.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ სამართლებრივ სივრცეში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას არაერთი სტატუტური შეზღუდვა მოეძებნება. მათ შორისაა სნშკ-ის მე-15 მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუკი გამყიდველი შეძლებს დაამტკიცოს, რომ ვალდებულების დარღვევა მეტად უმნიშვნელოა, ნაკლიანი შესრულება არა არსებით, არამედ არაარსებით სახელშეკრულებო პირობის დარღვევად მიიჩნევა.¹⁴⁵ ამ დროს ერთადერთ ქმედით მეორად მოთხოვნის უფლებად ზიანის ანაზღაურება რჩება.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება საერთოდ არ აღმოცენდება, როცა მხარეები იმთავითვე ხელშეკრულებით გამორიცხავენ მას, თუმცა, იმავე სნშკ-ის მიხედვით, თუკი მყიდველი მომხმარებელია, მხარეთა შეთანხმება ვერ შეცვლის კანონისმიერ სამართლებრივ რეჟიმს.¹⁴⁶

შესრულების განხორციელებისათვის ხელშეშლა ცალკე საფუძველია ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების უგულებელსაყოფად. თუ გერმანული სამართალი შემთხვევას, როცა კრედიტორია პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევისათვის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამომრიცხავ გარემოებად ასახელებს, ინგლისურ სამართალში ხელშეშლა იმთავითვე ვალდებულების დარღვევად იდენტიფიცირდება, რამაც მოვალისათვის, თავის მხრივ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება შექმნას.

VI. უარი გრძელვადიან სახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაზე და ხელშეკრულებიდან გასვლა

წინამდებარე ნაშრომში მიზანშეწონილია ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეჟიმების შედარება იმდენად, რამდენადაც ერთი და იმავე წინაპირობის ფარგლებში, კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით, განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმებია წარმოდგენილი, ესენია: სახელშეკრულებო ვალდებულების სამართლებრივი ხასიათი და სამართლებრივი შედეგი.

¹⁴⁴ § 352 of the German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

¹⁴⁵ Sale of Goods Act, 1979-This Act is Reproduced with Amendments as at 1st October 2003. Crown Copyright Material is Reproduced with the Permission of the Controller of HMSO and the Queen's Printer for Scotland.

¹⁴⁶ *TreiTel*, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 716-717.

1. განსხვავება სახელშეკრულებო ვალდებულების სამართლებრივი ხასიათისა და სამართლებრივი წინაპირობის მიხედვით

სსკ-ის 399-ე მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ რეჟიმს. ეს მუხლი დასათაურებულია შემდეგნაირად: „უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე“, რაც სამართლებრივად გამართული არ არის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, თავისი არსით, მოიცავს როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ ფორმულირება – „უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე“ – აშკარად მცდარია, სწორი იქნებოდა, ეს მუხლი ასე დასათაურებულიყო: „უარი გრძელვადიან სახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაზე“, როგორც გერმანული კოდექსის 314-ე პარაგრაფი დასათაურებული, რამდენადაც ნათელი ხდება, რომ საუბარია მრავალჯერადად განხორციელებადი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შემცველი ხელშეკრულების, და არა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მოშლაზე პატივსადები საფუძვლით.

ხელშეკრულების მოშლა ის სამართლებრივი რეჟიმია, რომელიც მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ გამოიყენება. გერმანული კოდექსის 314-ე I პარაგრაფი განმარტავს, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია, საპატიო მიზეზით მოშალოს მრავალჯერადი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა მხარეთა შეთანხმებით ან სხვადასხვა სპეციალური მუხლით ხელშეკრულების მოშლისათვის განსაზღვრული ვადის დაუცველად. ის, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მიმართოს მხარემ ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ ინსტრუმენტს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მუხლის შესაბამის ნაწილში. კერძოდ, პატივსადები საფუძველი ობიექტური დამკვირვებლის დისკრეციას განეკუთვნება. საინტერესოა, რომ კანონმდებელი გერმანულ და, შესაბამისად, ქართულ კოდექსში ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ საფუძველს ასე აბსტრაქტულ კატეგორიად აფუძნებს, თუმცა მისი გამოყენება მაინც განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს ექვემდებარება, კერძოდ: პატივსადებია საფუძველი, თუ, კონკრეტული გარემოებებისა და მხარეთა სახელშეკრულებო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ან ხელშეკრულების მოშლისათვის კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით. ამრიგად, საქმის კონკრეტული გარემოებები და მონაწილეთა კანონიერი ინტერესების შეპირისპირება მნიშვნელოვანი ფაქტორებია იმის განსაზღვრად, თუ რამდენად გამართლებულია ხელშეკრულების მოშლა. ქართული კოდექსის შესაბამის მუხლში ფორმულირება „ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით“ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით ორივე მხარეა დაინტერესებული, რაც არ გამოხატავს რეალურ სამართლებრივ დატვირთვას. აქ უნდა შეფასდეს, თუ რამდენად ჭარბობს ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი მხარის კანონიერი ინტერესი, შეწყდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა.

გსკ-ის 314-ე II პარაგრაფის ანალიზიდან ირკვევა, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების მოშლის დამოუკიდებელი საფუძველია. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქ შემოდის ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრული ელემენტი დამატებითი ვადის კონცეფციის სახით. კერძოდ, მუხლში განმარტებულია, რომ, როდესაც პატივსადებ საფუძველს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა ქმნის, მხარე არ არის უფლებამოსილი, მოშალოს იგი მოვალისათვის განსაზღვრული დროის მიცემის ან უშედეგო გაფრთხილების გარეშე. ცხადია, ასეთი ვალდებულება მით უფრო უნდა არსებობდეს

გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის, როცა მხარეებს ერთმანეთთან ურთიერთობის განსაზღვრული პრაქტიკა აქვთ დაგროვილი. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი ნიშნების გადმოტანას ადასტურებს მოცემულ ნაწილში ხელშეკრულებიდან გასვლის მარეგულირებელ 323-ე II პარაგრაფზე მიმართება. ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა პარალელის გავლება ანალოგიურ ქართულ მუხლთან, კერძოდ, 399-ე II მუხლი იწყება ფორმულირებით: „თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაა“, რაც აბსოლუტურად გაუგებარია თავისი სამართლებრივი დატვირთვით. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება კუმულაციურად არსებობდეს სხვა პატივსადებ საფუძველთან ერთად. ეს აბსოლუტურად დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძველი ერთგვარად დამატებით კუმულაციურ პირობად არის მოხსენიებული ამ მუხლში, რაც არავითარ მიზანს არ ემსახურება.

სსკ-ის 541-ე მუხლი ხელშეკრულების მოშლის კონკრეტული შემთხვევაა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა დაქირავებულს ენიჭება უფლება, მოშალოს ქირავნობის გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა გამქირავებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევისას. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი მდგომარეობის იდენტიფიკაციის მიზნით, მუხლში დომინირებს ტერმინი „უარი ხელშეკრულებაზე“ და საერთოდ არ იხსენიება ტერმინი „ხელშეკრულების მოშლა“. ეს სირთულე, ტერმინოლოგიური გამიჯვნის თვალსაზრისით, წითელ ხაზად გასდევს მთელ სამოქალაქო კოდექსს. იგი სათანადოდ არ მიჯნავს ერთმანეთისაგან ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ცნებებს. ამის ნათელ მაგალითს არაერთგან ვხვდებით კოდექსში. მის 405-ე II მუხლში, სადაც მოცემულია შემთხვევები, როცა ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლის უფლებამოსილება ფუძნდება, გამოყენებულია ტერმინი „ხელშეკრულების მოშლა“. ხოლო ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტის მარეგულირებელ 399-ე მუხლში კანონმდებელი არაერთხელ მიმართავს ტერმინს „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის სინონიმია ქართულ კანონმდებლობაში.

აღსანიშნავია, რომ 541-ე III მუხლით, ბათილია საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს ან გამორიცხავს დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლებას. ეს ნიშნავს იმას, რომ, ზოგადად, კანონმდებელი არ უშვებს მხარეთა შეთანხმებით აღნიშნული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, როგორც ეს ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაშია ნებადართული. საინტერესოა სსკ-ის 562-ე მუხლი, რომელიც დამქირავებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის პატივსადებ საფუძველთა განსაზღვრულ კატალოგს შეიცავს. ასეთი ჩამონათვალი არ არის გამართლებული; საქმე ისაა, რომ, თუკი პატივსადებია საფუძველი იმდენად, რამდენადაც გადალახულია სახელშეკრულებო ინტერესთა დისპროპორციის ბარიერი, ასე ცალსახად დამქირავებლისათვის პატივსადებ საფუძველთა განსაზღვრა არ არის სწორი, რადგან ენინააღმდეგება ხელშეკრულების მოშლის ზოგად პრინციპს, რომელიც სსკ-ის 399-ე მუხლშია განმტკიცებული.

გსკ-ის 314-ე III პარაგრაფით მხარე უფლებამოსილია, პატივსადები საფუძველით ხელშეკრულება მოშალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე შეტყობინებას გააკეთებს გონივრულ დროში. აღნიშნული ერთ-ერთი სამართლებრივად მნიშვნელოვანი შეზღუდვაა უფლებამოსილი მხარისათვის. შესაბამისი ქართული მუხლი აქაც გაუმართავია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ის აცხადებს, რომ მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში. სწორი ფორმულირება იქნება: უფლებამოსილია მხარემ ხელშეკრულების მოშლის შესახებ უნდა განაცხადოს ხელშეკრულების მოშლის საფუძველის შეტყობის მომენტიდან გონივრულ დროში. ეს უფრო ვალდებულებაა, ვიდრე მხარის უფლება,

რაც სათანადოდ არ ამოიკითხება სსკ-ის 399-ე მუხლის შესაბამისი ფორმულირებიდან. გამოითქვა აზრი, რომ აღნიშნული დანაწესი არ არის აქტუალური ხელშეკრულების მოშლის ისეთ შემთხვევაში, როცა შეუსრულებლობაა მისი საფუძველი, რადგან, 399-ე II მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოშლას წინ უნდა უძღოდეს გაფრთხილება ან დამატებითი ვადა ნაკლის აღმოფხვრისათვის. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოსაზრება არ არის მართებული, რადგან ხელშეკრულების მოშლის შესახებ გადაწყვეტილების განცხადება და ამ სამართლებრივი ინსტრუმენტის რეალიზების წინაპირობები განსხვავდება ერთმანეთისგან. ხელშეკრულების მოშლის შესახებ გადაწყვეტილების გონივრულ დროში განცხადების აუცილებლობა, რაც დადგენილია როგორც გსკ-ის 314-ე III პარაგრაფით, ისე სსკ-ის 399-ე III მუხლით, დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების ნებისმიერი სამართლებრივი საფუძველით მოშლის შემთხვევაში.

ხელშეკრულების მოშლა, ისევე როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ გამოიციხავს, თუმცა გერმანული დანაწესი ამის თაობაზე ზოგად წესს აყალიბებს, ხოლო ქართული შესაბამისი მუხლი შეიცავს ბლანკეტურ მითითებას 407-ე მუხლით გათვალისწინებულ, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს მოქმედ ზიანის ანაზღაურების წესზე. ეს არ არის სამართლებრივად გამართული, რადგან 407-ე მუხლით მხოლოდ შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, მაშინ როდესაც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი არა მხოლოდ შეუსრულებლობა, არამედ პატივსაღებო გარემოებაცაა; თუმცა ეს არ ქმნის სამართლებრივ უნესრიგობას იმდენად, რამდენადაც ასეთი ობიექტური საფუძველი თავისთავად გამოიციხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მაშასადამე, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლისას ზიანის ანაზღაურება ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, როცა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა (ცხადია, ბრალეული) აპირობებს ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ საფუძველს.

ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეჟიმის ცალკე შემოღება განპირობებულია გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობათა სპეციფიკის გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების მოშლა მხოლოდ კონკრეტული ტიპის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება. ეს ის შემთხვევაა, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთჯერადი შესრულებით არ შემოიფარგლება, მხარეები მრავალჯერადად განსახორციელებელ შესრულებებს ითვალისწინებენ განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. გერმანული ლიტერატურა¹⁴⁷ ასეთ ხელშეკრულებებს განგრძობადს უწოდებს, ანუ ხელშეკრულებები, რომლებიც შესრულების ერთიანი აქტით არ ამოიწურება და შესრულების განმეორებად აქტებს საჭიროებს ისე, რომ დროის განსაზღვრულ პერიოდზეა განელილი. ასეთია, მაგალითად, ქირავნობის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. მსგავსი სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება დაიგეგმოს განსაზღვრული დროით ან განუსაზღვრელად, დროით ლიმიტზე ყოველგვარი დათქმის გარეშე. პირველ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულია მხარეთა მიერ მითითებული ვადის გასვლისთანავე, ხოლო მეორე შემთხვევაში, მხარეთაგან ნებისმიერი უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება კანონით დადგენილი მოშლის ვადის დაცვით. კანონი კი ცალკეული გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისათვის ხელშეკრულების მოშლის სპეციალურ ვადებს ადგენს. მაგალითად, სსკ-ის 561-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა სამ თვეს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს, მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება შეტყობინებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

¹⁴⁷ *Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 436-437.

ხოლო პატივსაღები საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ის უფლებამოსილი იქნება, მოშალოს ხელშეკრულება აღნიშნული სამი თვის ვადის დაუცველად 399-ე მუხლის სამართლებრივ ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის განსაკუთრებული უფლება აღმოცენდება ისე, რომ საჭირო აღარ არის მოშლისათვის კანონით განსაზღვრული სპეციალური ვადების დაცვა. მაშასადამე, ხელშეკრულების მოშლის ვადა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა საფუძველი აქვს ხელშეკრულების მოშლას.

ერთ-ერთი საქმის¹⁴⁸ მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, 5 წლის ვადით დაედოთ ქირავნობის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მხარეთა მიერ განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების დრო, ასე რომ, ხუთი წლის ამონაწერისთანავე ხელშეკრულება მოშლის სამართლებრივ რეჟიმში აღმოჩნდება; ხოლო როცა მხარეები შეთანხმებით არ განსაზღვრავენ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, კანონი თვითონ განსაზღვრავს სპეციალურ დროს ხელშეკრულების მოშლისათვის – ეს იქნება მოშლის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან და შესაბამისი შეტყობინებიდან სამი თვე. ამ შემთხვევაში სამი თვის ვადა იქნება ის მინიმუმი, რაც დაცული უნდა იყოს მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მხარეები, ითვალისწინებენ ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაზე ადრე მოშლის შესაძლებლობას და ამას გარკვეულ პირობას უკავშირებენ, კერძოდ, დაქირავებული საცხოვრებელი ფართის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც თავისთავად საინტერესო შემთხვევაა იმისა, თუ როგორ შეიძლება შეზღუდოს ერთმა მხარემ მეორის მიერ ხელშეკრულების შეთანხმებულ ვადაზე ადრე მოშლის შესაძლებლობა სსკ-ის 399-ე მუხლზე დაყრდნობით, დამატებითი პირობის დანების გზით.

ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის ნეგატიურია თავისი გაგებით, ხორციელდება ერთი – კეთილსინდისიერი მხარის – ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად, მაშინ როცა ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენის, ისე მხარეთა შეთანხმების შედეგად.

2. განსხვავება სამართლებრივი შედეგის მიხედვით

ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეჟიმი იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ხელშეკრულებიდან გასვლისა, თუმცა მნიშვნელოვანია განსხვავება საბოლოო სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. რა საჭიროა ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეჟიმისათვის მიმართვა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი კონსტრუქცია არსებობს? საქმე ის არის, რომ გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის სახით გამართლებული არ შეიძლება იყოს არც ერთი და არც მეორე მხარისათვის. ხელშეკრულების მოშლას ეფექტი აქვს მხოლოდ მომავალში შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ. გრძელვადიანი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის დროს ხელშეკრულებიდან გასვლა არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ასეთ დროს დაუშვებელია ყველა წარსულში განხორციელებული შესრულების იგნორირება. ამიტომაც, წმინდად პრაქტიკული მიზნიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოშლას, როგორც წესი, უკუძღა არ აქვს. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წესისათვის ქართული სამართალი გამონაკლისს ითვალისწინებს, კერძოდ, 399-ე

¹⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება (23.05.2001) 3კ/382-01, http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1 (11.02.08).

IV მუხლით განმარტებულია, რომ თუკი უფლებამოსილ პირს აღარ აქვს არავითარი ინტერესი შესრულებაში, ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ამ შესრულებაზეც გავრცელდეს. რესტიტუციისათვის ჩვეული ელემენტის შემოტანას მონაშობს მითითება 352-ე-354-ე მუხლებზე. მასასადამე, ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ რეჟიმში თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა მხოლოდ გამონაკლისია. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის გამიჯვნის საკითხი ცალკე სამართლებრივ პრობლემად იხილება ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში. საკითხი ასე დგას: როგორია მხარეთა განზრახვა კონკრეტულ ვალდებულებასთან მიმართებით – ერთიანია თუ გაყოფადი ვალდებულება? სწორედ ამაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა უკუძალა ხელშეკრულებიდან გასვლას. თუკი ხელშეკრულება უნდა შესრულდეს ერთმანეთის მიმდევარ შესრულების აქტებად, ისე, თითქოს რამდენიმე ხელშეკრულება ხორციელდებოდეს დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლას განხორციელებული შესრულებების მიმართ არავითარი სამართლებრივი შედეგი არ აქვს. ასეთად სახელდება ქირავნობის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულებიდან გასვლას უკუძალა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მხარეებს იმთავითვე ჰქონდათ განზრახული, გაუყოფადი ხელშეკრულებით ყოფილიყვნენ შებოჭილნი. ასეთ დროს ხელშეკრულებიდან გასვლა ტოტალურია, მიუხედავად იმისა, მხარე შესრულებას ახორციელებს ერთბაშად თუ ნაწილ-ნაწილ. მაგალითად ავტომანქანის მართვის გაკვეთილების შესახებ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ, რადგანაც გაკვეთილების მთლიანი საფასური გათვალისწინებული იყო გადასაცემად გაკვეთილების სრული კურსის ჩატარების შემდეგ, გაუყოფადი ხელშეკრულების სახით, შემკვეთს უკან უნდა დაუბრუნდეს წინასწარ გადახდილი საფასური, თუნდაც გაკვეთილების განსაზღვრული რაოდენობა იყოს ჩატარებული. ფრანგული კანონმდებლობა ცალკე ტერმინით აღნიშნავს „ხელშეკრულებიდან გასვლას უკუძალის გარეშე“, ¹⁴⁹ რაც გერმანული ხელშეკრულების მოშლის ანალოგიურია; იმავე სამართლებრივ შედეგს აღწევს ინგლისური სასამართლო საქმეში – *Sumpter v. Hedges*¹⁵⁰, სადაც მშენებელმა იკისრა ვალდებულება, რომ შეასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს კონკრეტულ საფასურად. დამკვეთმა, თავის მხრივ, საფასურის გადახდა დაუკავშირა მშენებლის მიერ სამუშაოს სრულად განხორციელებას. აქ სახეზეა დროის განსაზღვრულ პერიოდზე განაწილებული, მაგრამ ერთჯერადი და თანაც გაუყოფადი ვალდებულება. მშენებელმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება მშენებლობის სანახევროდ შესრულებით, მყიდველმა კი მიმართა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას და მთლიანი გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება მოითხოვა. სასამართლომ მშენებელს არ დაუკმაყოფილა მოთხოვნა შესრულებული სამუშაოს ფულადი რესტიტუციის სახით ანაზღაურების შესახებ, სწორედ სახელშეკრულებო ვალდებულების სპეციფიკის გათვალისწინებით. 1983 წელს სამართლის კომისიის მოხსენებაში ფულადი რესტიტუციის წესის შესახებ¹⁵¹ გაიჟღერა შემოთავაზებამ, რომ აღნიშნული მიდგომა საჭიროა გადაისინჯოს, მაგრამ, ამასთან, გამოითქვა პროტესტი, რომ აღნიშნულ სახელშეკრულებო რისკთა განაწილებას სამართლიანი უპირატესობა მოაქვს შემკვეთისათვის, რომელსაც ყოველთვის შეუძლია თქვას: „ვიდრე სამუშაოს არ დაასრულებ, საფასურს ვერ მიიღებ“. ეს ერთგვარად ნათელი მაგალითია იმისა, რომ რესტიტუციის სამართლებრივი

¹⁴⁹ “Resiliation” in *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., *Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 798-800.

¹⁵⁰ Available at http://www.kevinboone.com/lawglos_SumpterVHedges1898. and [http://law2.biz.uwa.edu.au/lprosch/Cases/Sumpter%20\(note\).html,\(05.02.08\)](http://law2.biz.uwa.edu.au/lprosch/Cases/Sumpter%20(note).html,(05.02.08)).

¹⁵¹ *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, eds., *Casebooks on the Common Law of Europe*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 804-805.

რეჟიმი არათუ გრძლვადიან გაყოფად სამართლებრივ ურთიერთობებშია დაუშვებელი, არამედ ზოგჯერ ხელმიუწვდომელი მოკლევადიან სახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებშიც, ხელშეკრულების გაუყოფადობის მოტივით. მიუხედავად იმისა, რესტიტუციის რეჟიმის დღის წესრიგიდან მოხსნის სამართლებრივი საფუძველი განსხვავებულია განხილულ სამართლებრივ ვითარებებში, ასეთ დროს ერთმანეთის იდენტიური ხდება ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგი. ამდენად, ინგლისურ სამართლებრივ სივრცეში სამართლებრივ პრობლემად იკვეთება თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის დასაშვებობის საკითხი, და არა ხელშეკრულებიდან გასვლისა თუ მოშლის საკანონმდებლო დონეზე იდენტიფიცირება, რაც ინგლისელთა ჩვეულ პრაქტიკულობას უსვამს ხაზს ამ შემთხვევაშიც.

VII. დასკვნა

ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმი ზუსტადაა განსაზღვრული როგორც კონტინენტურეკროპულ, ისე ანგლოამერიკულ სამართლის სისტემაში, ასე რომ, მისი იდენტიფიკაცია რთული არაა, რაც არ შეიძლება ითქვას ქართულ სამართლებრივ სივრცეზე. მიუხედავად იმისა, განხილულ სამართლის აქტებში ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეგულირება რამდენიმე მუხლით ამოინურება, ხოლო ქართული კოდექსი ცალკე თავს უთმობს ამ ინსტიტუტს, იგი არაერთი ხარვეზით ხასიათდება, კერძოდ:

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, პრობლემა აშკარაა – ამის ყველაზე მარტივი გამოხატულებაა კოდექსის ტენდენცია ერთი და იმავე ინსტიტუტის განსხვავებულად სახელდებისაკენ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულებაზე უარის თქმის სახით. სსკ-ის 352-ე მუხლით განსაზღვრულია „ხელშეკრულებაზე უარის თქმის“ სამართლებრივი შედეგი, ხოლო 354-ე, 355-ე, 356-ე და სხვ. მუხლებით „ხელშეკრულებიდან გასვლაზე“ ხდება აპელირება. საკანონმდებლო დონეზე ამგვარი არაერთგვაროვანი მიდგომა პრაქტიკაში პრობლემებს წარმოშობს, ვინაიდან მხარეები სხვადასხვა ინსტიტუტად აღიქვამენ მათ და, შესაბამისად, ხშირად განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს უკავშირებენ თითოეულს, როცა ხელშეკრულებებში მიმართავენ ამ ტერმინებს. ამიტომ, საკანონმდებლო აქტის დონეზე მაინც, ერთი სახელწოდება უნდა გამოიკვეთოს. მიზანშეწონილია, დამკვიდრდეს ტერმინი „ხელშეკრულებიდან გასვლა“, რადგან „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“, თავისი ეტიმოლოგიური დატვირთვით, აერთიანებს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ შემთხვევებს. ამ თვალსაზრისით, პრინციპულია დამოკიდებულება განხილულ სამართლის სისტემაში, არც ერთ სამართლის წესრიგში მსგავსი დუალისტური მიდგომა არ ვითარდება.

ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში პირველი ეტაპი შეუსრულებლობის იდენტიფიცირებაა, თუმცა არა ყოველგვარი შეუსრულებლობა ქმნის ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ საფუძველს. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების წინაპირობა მხოლოდ არსებითი შეუსრულებლობაა, რომელიც დოქტრინულ დონეზე არ განხილულა ქართული სამართლის სფეროში. აღნიშნული საკითხი დამუშავებულია როგორც განხილულ სამართლის სისტემაში, საკანონმდებლო თუ დოქტრინულ დონეზე, ისე უნიფიცირებულ სამართლის აქტებში. ქართული სამართალი შეუსრულებლობის შეფასების კრიტერიუმებს არ აყალიბებს, ასევე ნათელს არ ხდის, თუ რამდენად ბოლომდე იზიარებს გერმანულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, დამატებით ვადას შეუსრულებლობის მიმართ ერთგვარი მატრანსფორმირებელი ფუნქცია აქვს – ვალდებულების დარღვევა, რომელიც დამატებით ვადაში არ სწორდება, არსებითი ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

ის მეტად ტრივიალური ან დაუდევარია თავისი ხასიათით. ქართული სამართლებრივი პოზიცია ამ შემთხვევაშიც გერმანულ სამართალთან უფრო ახლოს დგას, მაგრამ მისი დამახინჯებული რეცეფციაა.

ქართული კოდექსი არ შეიცავს არც შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის ერთიან ცნებას და არც ცალკე მუხლებს უთმობს შეუსრულებლობის ცალკეულ კატეგორიას, როგორც ეს გერმანულ კოდექსშია მოცემული. ერთადერთი კატეგორია, რომელიც ცალკე მსჯელობის საგანია, მოვალის მიერ ვადის გადაცილებაა, მისთვის განკუთვნილ ცალკე თავში კი შესრულების შეუძლებლობას ერთადერთი მუხლი აქვს დათმობილი, ისიც იმ შემთხვევის საიდენტიფიკაციოდ, როდის არ ჩაითვლება ვადა გადაცილებულად. ვალდებულების დარღვევის ნაწილში კოდექსის ხარვეზები ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტზეც ვრცელდება. შესაბამისად, არ იკვეთება ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციფიკა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებში.

სსკ-ის 405-ე II(ა) მუხლის ფორმულირებით, დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არ არის, რადგან აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. გსკ-ის ანალოგიური 323-ე II(1) პარაგრაფის მიხედვით კი, დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არ არის, როცა მოვალე განსაზღვრულ და საბოლოო უარს ამბობს შესრულებაზე. მოცემულ ფორმულირებაში ქართველი კანონმდებელი, სავარაუდოდ, აერთიანებს, როგორც შემთხვევას, როცა შესრულება შეუძლებელია, ასევე შემთხვევას, როცა მოვალე უარყოფს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას. საქმე ისაა, რომ ქართულ სამართალში არც ერთი ამ შემთხვევათაგან ცალკე გამოყოფილი არ არის არც საკანონმდებლო და არც დოქტრინულ დონეზე, განსხვავებით გერმანული კოდექსისა, რომელსაც თითოეული ეს შემთხვევა, – როცა აშკარაა, რომ დამატებით ვადას შედეგი არ მოჰყვება, – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელ სახეობად გამოაქვს 275-ე III და 323-ე I პარაგრაფების სახით. მიზანშეწონილია, სსკ-მა მეტი სამართლებრივი განსაზღვრულობა შემოიტანოს შეუსრულებლობის კატეგორიებთან დაკავშირებით, რათა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმის თავისებურება ნათელი გახდეს თითოეულ ტიპურ შემთხვევაში შეუსრულებლობის სახეთა სპეციფიკის გათვალისწინებით. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ მუხლში სამართლებრივი შედეგი არასამართლებრივი ენით არის გადმოცემული, როცა ის განმარტავს, რომ „დამატებითი ვადის ან გაფრთხილების დაწესება საჭირო არ არის“, თუ...; რამდენად სწორია, კანონმდებელს მიანდო საკითხი, განსაზღვროს საჭიროების მომენტი, როცა ეს წმინდად სასამართლო პრაქტიკისეული საკითხია? მიუხედავად გერმანულ ანალოგიურ მუხლთან მსგავსებისა, კონსტრუირების ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება იყოს: „დამატებითი ვადის დაწესების შესახებ მოთხოვნა ქარწყდება, თუ...“

მოსალოდნელი დარღვევის დროს ხელშეკრულებიდან გასვლისას ქართული სამართალი არავითარ ბერკეტს არ უტოვებს მოვალის შესრულების სახელშეკრულებო ინტერესს. მართალია, 405-ე III მუხლი შესაგებლის წარდგენის უფლებას აძლევს მოვალეს, თუმცა, თუკი მივმართავთ შეზღუდვით განმარტებას, რომლითაც შესაგებელი მხოლოდ მოთხოვნის უფლებაა, მაშინ მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევაში ის კარგავს სამართლებრივ დატვირთვას, რადგან, როგორც წესი, ასეთ დროს, მოვალის ინტერესი სხვაა – დაამტკიცოს, რომ სურს და შეუძლია, განახორციელოს შესრულება. კოდექსი მხოლოდ 367-ე მუხლში ახსენებს შეპირებული უზრუნველყოფის ინსტიტუტს, როცა განსაზღვრავს კრედიტორის უფლებამოსილებას შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის შესახებ. ამრიგად, ქართულ სამართლებრივ მონესრიგებაში არ არსებობს შესრულების გარანტიის წარმოდგენის ინსტიტუტი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სწორედ მოსალოდნელი დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლის დროს.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა მოვალის მიერ ვადის გადაცილების ცნების ხარვეზს. მე-400 მუხლის ფორმულირებაში „გაფრთხილების“ წარმოდგენილ კონტექსტში მოხსენიება სამართლებრივად გაუმართავია. იმდენად, რამდენადაც მუხლი ვადის გადაცილების ცნებას აყალიბებს, ის 365-ე მუხლთან კავშირში უნდა იყოს გაგებული, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის, კრედიტორი შესრულებას სთხოვს მოვალეს და შესაბამის გაფრთხილებას აძლევს მას, ასეთ დროს გაფრთხილების მიცემა მართლაც პირველად შესრულების მოთხოვნის უფლებასთან არის კავშირში და ვადის გადაცილებას აფუძნებს. მე-400(ბ) მუხლის ფორმულირებით კი, შესრულების ვადა უკვე დამდგარია, მაშინ, როცა მოცემულ სამართლებრივ კონსტრუქციაში სწორედ კრედიტორის გაფრთხილება ამცნობს მოვალეს შესრულების ვადის დადგომის შესახებ. გამართული ფორმულირება იქნება: „თუკი შესრულებისთვის ვადა განსაზღვრული არ არის, მოვალის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, როცა კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნის შემდეგაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას.“

სსკ-ის ერთადერთი მუხლი, რომელიც შესრულების შეუძლებლობით არის დასათაურებული, 401-ე მუხლია, თუმცა არც ეს უკანასკნელი ასახავს შეუძლებლობის სპეციფიკას, არამედ მას ასახელებს მხოლოდ მოვალის მიერ ვადის გადაცილების გამომრიცხავ გარემოებად. მუხლის ფორმულირებით ვადა გადაცილებულად არ ითვლება, თუ ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ცხადია, ეს არ არის შეუძლებლობის კლასიკური შემთხვევა, რადგან შეუძლებლობა მოვალის ბრალის მიუხედავად არსებობს, გარდა იმისა, რომ შეუსრულებლობა კრედიტორის ბრალითაც შეიძლება იყოს გამოწვეული. გამოდის, რომ მოვალის არაბრალეული შეუსრულებლობა შეუძლებლობაა ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ არის სწორი. თუკი მივმართავთ სამართლის ამ ნორმის ტელეოლოგიურ განმარტებას, შეფასება ასეთი იქნება: არაბრალეული შეუსრულებლობისას მოვალე თავისუფლდება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან, თუმცა შეუსრულებლობის დასრულებული შემადგენლობა სახეზეა. ქართული კოდექსი ამ შემთხვევაში ვერ ასხვავებს შეუსრულებლობას შეუსრულებლობისათვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან.

ქართული სამოქალაქო კოდექსი, რომელიც უმთავრესად გერმანული ხაზის მიმდევარია, მეტად არასისტემურია ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისითაც. ხელშეკრულებიდან გასვლისადმი მიძღვნილ თავში ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგებია მოცემული 352-ე მუხლის სახით, მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ საფუძველსა და წესზე მხოლოდ ვალდებულების დარღვევის ნაწილში, 405-ე მუხლშია საუბარი. ამასთან, არათანამიმდევრულია ქართული სამართლის მიდგომა იმასთან მიმართებით, თუ რა სამართლებრივ რეჟიმში თავსდება მხარეთა შესრულების ვალდებულებები ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად – ტრანსფორმირდება თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებებად, თუ ქარწყლდება, ან ერთგვარ დანაწევრებულ რეჟიმშია, როგორც ინგლისში, სადაც, მხარის ვადამოსული შესრულების ვალდებულება ძალაში რჩება, ზიანის ანაზღაურების გენერალური მეორადი მოთხოვნის უფლება დამოუკიდებლად აღმოცენდება, ხოლო მომავალში შესასრულებელი ვალდებულება ქარწყლდება.

სსკ-ის 352-ე III მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით. ამ მუხლის შესაბამისად განმარტებულია, რომ სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობების, მაგალითად მომსახურების დროს რესტიტუციის, რეჟიმი იხსნება და მის ადგილს იკავებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამაგიერო შესრულება ფულადი თანხის ანაზღაურების

ნაცვლად, მაშინ, როცა აღნიშნული ტიპის სამართლებრივი ურთიერთობები მარტივად ხვდება იმ კლასიფიკაციაში, როცა ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია შესრულების ხასიათიდან გამომდინარე და, შესაბამისად, შესრულების უკან დაბრუნება ფულადი რესტიტუციის გზით ხდება. ასე რომ, ამ დანაწესის მიზანი არ ჩანს. თუკი კანონმდებელს სურდა, ფულადი რესტიტუციის აკრძალვის სამართლებრივ საფუძვლად სამართლებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული სპეციფიკა გამოეკვეთა, ეს ნაწილი სტრუქტურულად უნდა მოეთავსებინა მუხლის იმ ნაწილში, სადაც მოცემულია გამონაკლისი ფულადი ანაზღაურების ვალდებულებიდან, ხოლო თუკი აქ მიმართება კეთდება ფულადი რესტიტუციის განსაზღვრის წესზე, როცა ის ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ღირებულების ოდენობას შეადგენს, როგორც ეს გერმანულ სამართალშია, მაშინ ფორმულირება არ არის სწორი, რადგან ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს აყალიბებს. ფორმულირება – „შესრულება ცვლის ანაზღაურებას“ – ყველა შემთხვევაში გაუმართლებელია, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი ამას გამორიცხავს.

სსკ-ის 405-ე III(ბ) მუხლი უპირისპირდება გსკ-ის 324-ე პარაგრაფს. გსკ გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევას ცალკე 324-ე პარაგრაფის სახით არეგულირებს. აქ ძირითადი სამართლებრივი ბარიერი ობიექტური დამკვირვებელია, რომელმაც უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად გონივრულია გაგრძელდეს კრედიტორის სახელშეკრულებო ბოჭვა. ქართული სამართლით კი, გულისხმიერების მოვალეობის დარღვევისას ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება. მოცემული დანაწესი წინააღმდეგობრივია თავისი დატვირთვით, თუმცა ეს კონსტრუირება გერმანული ნორმის ნეგატიური შინაარსის მატარებელია და არასწორ სამართლებრივ პოზიციას ავითარებს. მის თანახმად, ასეთ დამატებით ვალდებულებათა დარღვევის საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება გამონაკლისია და არა წესი.

ქართულ სამართლის მონესრიგებაში ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტები სათანადოდ გამიჯნული არ არის; თუკი დამუშავებულია განსხვავება სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ნაკლებად იკვეთება ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობათა ხასიათი, როგორც განსაზღვრული წინაპირობითი სპეციფიკა ხელშეკრულების მოშლის შემთხვევისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ხელშეკრულების მოშლის ზოგადი უფლება და ე.წ. ხელშეკრულების მოშლის „განსაკუთრებული უფლება“, რაც, საბოლოო ჯამში, ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოშლა უმეტესად მოვლენათა ნორმალური მიმდინარეობისას ხორციელდება, და მხოლოდ პატივსადაც საფუძვლით ხელშეკრულების მოშლისას ირთვება ე.წ. ხელშეკრულების მოშლის განსაკუთრებული რეჟიმი, რაც არ შეიძლება ითქვას ხელშეკრულებიდან გასვლაზე, რომელიც ცალსახად მეორადი მოთხოვნის უფლებაა თავისი ნეგატიური დატვირთვით, თუმცა მიზანი ორივეს ერთი აქვს – მხარემ თავი დააღწიოს უპერსპექტივო სახელშეკრულებო ურთიერთობას, ამიტომაცაა, რომ ინგლისში ხელშეკრულების მოშლას უწოდებენ ხელშეკრულებიდან გასვლას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის გარეშე.